ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 30 მაისი 2000 №100 (1122) | ფასი 50 თეთრი


## ირანი რიგში ჩადგა

საქართველოს ნაკრები აგვისტოში თეირანში ჩავა

## ესეც ასე...



კალაძემ და დემეტრაძემ უკრაინის, ხოლო ჯამარაულმა და ყაველაშვილმა შვეიცარიის თასი მოიგეს



## მერვედფინალში მხოლოდ მაია?

პარასკევს ბათუმში დაწყებულ ევროპის ქალთა პირველ ჩემპიონატში მართალია, ყველა უძლიერესი არ თამაშობს, თუმცა ნოკაუტსისტემით მიმდინარე შეჯიბრში მონაწილე 32 მოჭადრაკეს შორის ბევრი სახელიანია. დასტურად ჩვენებურებს მაია ჩიბურდანიძეს, ნონა გაფრინდაშვილს და ნანა ალექსანდრიას დავასახელებთ.

უცხოელთაგან კი ამათ გამოვარჩევთ: დიდოსტატებს, რუს ეკატერინა კოვალევსკაიას და სვეტლანა მატვეევას, უკრაინელ ნატალია ჟუკოვას, სლოვენიელ რეგინა პოკორნას და ადრეული წარმატებებით განთქმულ უნგრელ ილდიკო მადლის.

მეთექვსმეტედფინალში ქართველებმა საკმაოდ წარმატებით ითამაშეს. ორპარტიიანი მიკრომატჩები მოიგეს და მერვედფინალში გავიდნენ ჩიბურდანიძე, გაფრინდაშვილი, ალექსანდრია, გურიელი, ხურციძე და მათნაძე. ლომინეიშვილი და კიდევ სამი ქართველი კი მეთექვსმეტედფინალშივე დაემშვიდობნენ ტურნირს. გუშინ მერვედფინალისტების პირველი პარტიები შედგა და ვერაფრით გაგახარებთ: ექვსი ჩვენებურიდან მხოლოდ მაია ჩიბურდანიძემ მოიგო — მან ბელარუსის სახელით მოთამაშე ჰენრიეტა ლაგვილავას სძლია. ნონა გაფრინდაშვილმა ნახევარი ქულა მოიპოვა, დანარჩენებმა წააგეს და ცხადია, სანუგეშო ვერ იქნება ის, რომ მარცხი ზოგმა ძლიერი მეტოქისგან იწვნია: ალექსანდრიას კოვალევსკაიამ მოუგო, გურიელს — ჟუკოვამ.

**დავით გულუა**

# ოქროს ქალაქში ვერცხლიც ფასობს



ბადრი კილაძის ფოტო

ბოლო „ვიტ ჯორჯია" — „ტორპედო" 1:1. ქუთაისელი მალხაზ ასათიანი ვიტელ სევასტი თოდუას (მარცხნივ) და თენგიზ კობიაშვილს დაუძვრა

დღეს საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის ის ნახევარი ჩაივლის, რომელიც ევროთასების საგზურებს მფლობელებს გაუჩენს. აქამდე ცხადი ერთი იყო, ჩემპიონთა თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს „ტორპედო" წარადგენს, უეფას თასზე კი ვერცხლის პრიზიორთან ერთად თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი". ინტერტოტოზე ბელგიურ „სტანდარდთან" ბრინჯაოსმედალოსანი ითამაშებს. გასარკვევი ვერცხლ-ბრინჯაოს პატრონიღა დარჩენილა. დღეს „ვიტ ჯორჯიამ" თუ ქუთაისში ქულა მაინც მოინადირა, ვიცე-ჩემპიონობას და უეფაზე თამაშის უფლებას ვერავინ შეეცილება. ასეთ შემთხვევაში მესამეობის საუკეთესო შანსი შინ „დილას" მძლეველ „დინამოს" ექნება. ხოლო თუ თასდაკარგულმა „ტორპედომ" პრესტიჟის მატჩის მოგება შეძლო, „დინამო" მეორე იქნება და „ვიტ ჯორჯია" მესამე. ვიტელთა წაგების შემთხვევაში ერთის შანსიცაა, ბრინჯაოს ფოთის „კოლხეთიც" შესწვდება, თუ კი ბათუმში უმოტივაციოდ დარჩენილ მასპინძლებს მოუგებს.

## დღეს პლეი ოფი იწყება!

### ეროვნული ტექნიკურ უნივერსიტეტში შეივლის

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალმა სიახლე მოიტანა — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზი პირველად უმასპინძლებს ოფიციალურ მატჩს: დღეს 17 საათზე სტუ რუსთავის „აზოტს" დაუხვდება. მანამდე კი, 14 საათზე, სდასუ ვერის ბაღში ბათუმის „ბასკოს" უმასპინძლებს.

იხილეთ მეათე გვერდი



[illegible] ფოტო

1999 წლის 31 ოქტომბერს „აზოტი" და სტუ რუსთავში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, დღეს კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გაარკვევენ ურთიერთობას

## საქართველოს ჩემპიონატი

### 14 ტური

#### «ა» ზონა

30 მაისი, სამშაბათი

ტორპედო — ვიტ ჯორჯია

დინამო — დილა

ბათუმი — კოლხეთი

იბერია — სიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 13 | 8 | 3 | 2 | 37:11 | 45 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 15:7 | 40 |
| დინამო | 13 | 4 | 9 | 0 | 13:3 | 38 |
| კოლხეთი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:8 | 37 |
| ბათუმი | 13 | 7 | 2 | 4 | 20:10 | 36 |
| სიონი | 13 | 2 | 1 | 10 | 12:32 | 18 |
| იბერია | 13 | 2 | 2 | 9 | 6:28 | 17 |
| დილა | 13 | 2 | 0 | 11 | 9:31 | 16 |

#### «ბ» ზონა

31 მაისი, ოთხშაბათი

სამგურალი — თბილისი

თსუ — ხობი

არსენალი — მერანი

ლოკომოტივი — გორდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 13 | 8 | 4 | 1 | 16:5 | 36 |
| გორდა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:8 | 34 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:7 | 33 |
| თსუ | 13 | 8 | 0 | 5 | 19:13 | 32 |
| სამგურალი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:7 | 30 |
| თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 11:24 | 18 |
| არსენალი | 13 | 3 | 0 | 10 | 11:25 | 14 |
| ხობი | 13 | 1 | 0 | 12 | 11:38 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია „არსენალი", „თბილისი" და „ხობი" მეორე ლიგაში დაქვეითდნენ

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

14 ტური



ბათუმელი ივანე მახარაძე და კოლხი გოჩა ტრაპაიძე (ბურთით)

# რაც გვინახავს, ისევ ვნახავთ?...

**ხვალ** ყველაფერი დასრულდება და საქართველოს რიგით მეთერთმეტე გათამაშებას ისტორია ჩაიბარებს

მართლაც საინტერესო და დაძაბული გამოდგა მეთერთმეტე ჩემპიონატი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრის აზრით დაძაბულობა და ინტრიგა ხელოვნურად შექმნილია, გათამაშებას რამდენიმე სიახლე მაინც ახლდა.

გვყავს საქართველოს ახალი ჩემპიონი. თასსაც ახალი მეპატრონე გამოუჩნდა. პირველი ჯგუფიც ახალმა გუნდმა დატოვა და ასე შემდეგ. მოკლედ, ირგვლივ ყველაფერი ახალია. ისიც ხომ შესაძლებელია, ვერცხლს ახალი პატრონი გამოუჩნდეს? ბევრს არ გაუკვირდება ეს ამბავი, მაგრამ აბა, ზოგიერთებს ჰკითხეთ. უეფას თასზე თამაში რომ სჯობს ინტერტოტოზე ბურთაობას, ეს განა საკითხავია?!

დღეს ვერცხლისა და ბრინჯაოს პატრონები გამოჩნდებიან. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, მაშინ ქუთაისსა და ბათუმში წასვლა ნამდვილად ღირს. თანამედროვე ფეხბურთის დარი უშელავათო მატჩები სწორედ იქ უნდა ვიხილოთ.

სანამ ქუთაისურ და ბათუმურ ბრძოლებზე რაიმეს ვიტყოდეთ, მანამ აწ უკვე ყოფილი ჩემპიონების საქმე გავარჩიოთ. „დინამომ" ინტერტოტოზე თამაში იუარა — ხარჯის მეტი მაგ გათამაშებაში არაფერი ყრია და ვალებით დახუნძლულებს ზედმეტი გასავალი ხელს არ გვაძლევსო. ინტერტოტოზე მოხვედრა „დინამოს" განაღდებული აქვს. მოუგებენ ხვალ თბილისელები გორელებს და... „დინამოს" „ტორპედოსი" ეიმედება. თუ ჩემპიონებმა ვეტერინარები დასცეს, მაშინ ამათ ვერცხლს ვერავინ შეეცილება. მეტად შეუფერებელი და შეუჩვეველი ტიტული კია, მაგრამ ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. „ვიტ ჯორჯიას" ერთი ნაბიჯი აკლია და მერე სადღესასწაულოდ ექნება საქმე. ამისთვის ქუთაისიდან ქულის წამოღებაღაა საჭირო.

სტუმარ-მასპინძელი განსხვავებული ფსიქოლოგიური დატვირთვით ელოდება სეზონის ბოლო თამაშს. „ტორპედო" უკვე ჩემპიონია. ზურგსუკან 120-წუთიანი და მერე პენალტებში წაგებული თასის ფინალია. გააჩნიათ კი ტორპედოელებს საკმარისი მოტივაცია იმისთვის, რომ ტიტულებს და გამარჯვებებს მოწყურებული მეტოქე დაამარცხონ?! ამაზე პასუხს დღევანდელი მატჩი გასცემს.

დიდი სიხარული, ანაც არაფერი. „ვიტ ჯორჯია" მეტად სარისკო გზაზე მიდის, მაგრამ სწორედ ამ ერთ თამაშზეა დამოკიდებული მთელი წლის ნაჯაფი. თუ ვეტერინარები ქუთაისიდან ქულით მაინც დაბრუნდნენ, მაშინ ჭირნახული მეტად ბარაქიანი ექნებათ, არადა...

ფოთის „კოლხეთმა" ბათუმში აუცილებლად უნდა მოიგოს, თან იმაზეც ილოცოს, „ვიტ ჯორჯია" ქუთაისში დამარცხდეს, თორემ მოგჭამათ ჭირი ევროსარბიელზე ოცნებამ. თავად „ბათუმი" სულ უმოტივაციოა. ევროპაზე იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ ჯერ „კოლხეთს" დაამარცხებს და „დინამო" ვერ მოუგებს „დილას". მართალია, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და „ბათუმს" ინტერტოტოზე მოხვედრის თეორიული შანსი კიდევ შერჩენია, მაგრამ ეს ისეთი იმედია, რომელსაც ასრულება არ უწერია.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ კიდეც, რომ ბათუმში „კოლხეთი" მოიგებს, მაგრამ გამორიცხული არც სხვა ვარიანტია. მოკლედ, ასეა — „ვიტ ჯორჯიას" ჯერ „ტორპედოს", მერე კი „დინამოსა" და „კოლხეთის" წინააღმდეგობათა დაძლევა მოუწევს. ამათ დაპირისპირებაში ვერცხლისა და ბრინჯაოს, მფლობელები გამოვლინდებიან.

სამტრედიულ „იბერიას" და ბოლნისურ „სიონს" სულ სხვა საფიქრალი გასჩენოდათ. რა თქმა უნდა, ჯგუფიდან არც ერთი ვარდება, მაგრამ მასპინძელმა არ იცოდა, ნამგზავრ „სიონისთვის" „სუფრა სად გაეშალა". ამიტომ, ბუნებრივია, არც სტუმარმა უწყოდა, სად დაეფასებინა „იბერია".

გუშინ, საღამოს ხუთი საათისთვის, ფეხბურთის ფედერაციაში ჯერაც არ იცოდნენ, თუ სად, რომელ სტადიონზე ჩატარდებოდა „იბერია" — „სიონი". სამტრედიულ გუნდს ისევ არ უშვებდნენ „ეროსი მანჯგალაძეზე". ბოლოს ზესტაფონში უშოვიათ სტადიონი სამტრედიელებს და ბოლნისელებიც 150 კილომეტრით შეიმოკლებენ სავალ გზას. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ბოლნისელები იტყვიან.

სხვა მხრივ, მნიშვნელობა არა აქვს, სტუმარი მოიგებს თუ მასპინძელი. ჩაამთავრებენ როგორმე ჩემპიონატს და მომდევნო გათამაშებამდე სანერვიულოც არაფერი ექნებათ.

ხვალ კი „ბ" ზონაში გაირკვევა ყველაფერი და მეოთხე გავარდნილის ვინაობასაც შევიტყობთ. რა თქმა უნდა, „ხობის", „არსენალისა" და „თბილისის" მეგობარი ვერაფრით იქნებიან „მერანი" და „გორდა", მაგრამ ქვედა ლიგაში შეიძლება „სამგურალი", თსუ ან „ლოკომოტივი" ვიხილოთ.

წყალტუბოური კლუბი „თბილისს" მასპინძლობს და, ალბათ, აუცილებლად მოიგებს, თუმც ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ეს სულაც არ გახლავთ საკმარისი. მთავარია, თსუ-მ ვერ მოიგოს, „ლოკომოტივმა" კი წააგოს, მაგრამ თუა სიმართლესთან ახლოს ეს ამბავი?! რატომღაც არა გვგონია.

თასის მფლობელი „ლოკომოტივი" შინ „გორდას" დაუხვდება, რომლისთვისაც ბოლო ტურში მოგება-წაგებას ერთი ფასი აქვს. საქართველოში რკინიგზის გაჩერება უფროა მოსალოდნელი, ვიდრე ხვალ „ლოკომოტივის" დამარცხება.

თსუ ასევე საკუთარ სტადიონზე გავარდნილ და ნახევრად დაშლილ „ხობს" დაუხვდება. ბურთი რომ მრგვალია, კი ვიცით, მაგრამ წამით დავფიქრდეთ, რეალურია თუ არა თსუ-ს წაფორხილება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლო ტურს სტუდენტებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება?! რა გითხრათ, პირადად მე მოვლენების ამგვარად განვითარება ვერ წარმომიდგენია.

გამოდის, „სამგურალი" გავარდნილა. ჯერ არა, იმედი კვლავაც არის. ის მუდამ ბოლოს კვდება. ისე, ერთიც საკითხავია, ხვალინდელი მატჩებიდან რომელი უფრო დააინტერესებს „სამგურალის" პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძეს? ასარჩევი ორიდან ერთია: „ლოკომოტივი" — „გორდა" და თსუ — „ხობი". მოწადინებულ კაცს ორივეს ნახვა შეუძლია ერთი ტაიმი თბილისში, მეორე მცხეთაში, ან პირიქით. ავტომანქანის პატრონს ეს არ გაუჭირდება.

ხვალვე, ალბათ, „მერანი" ოფიციალურად გააფორმებს „ბ" ზონაში თავის პირველობას და მერე მომავალი წლისთვის დაიჭერს თადარიგს. დღევანდელი, თითქმის დაშლილი „არსენალი" ავჭალელთა გამჩერებელი რომ არ არის, ფაქტია.

ხვალეც და მერე სულ ცოტა ორთვენახევარი საქართველოს საფეხბურთო გათამაშება ბევრსაც არ გაახსენდება. გულშემატკივრებს კი ვთავაზობთ, მანამდე ევროპის ჩემპიონატით, მერე კი ევროტურნირებში ჩვენი გუნდების მოსალოდნელი [illegible] იქციონ თავი.

ამასობაში [illegible] გამოჩნდეს, თუ არა და იმაზე უარესს [illegible] ვნახავთ, რაც არ გვინახავს?

**მამუკა ქვანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 25 - იონანიძე | ტორპედო |
| 22 - მ. კილასონია | გორდა |
| 13 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 10 - წუწუნავა | თსუ |
| მ. ჩიტაია | ხობი |
| 9 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| ხორგუაშვილი | დილა |
| წიტაიშვილი | დინამო |

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 13 | 8 | 3 | 2 | 37:11 | 26 | 45 | 6 | 5 | 1 | 0 | 22:3 | 19 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 15:8 | 7 | 11 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 15:7 | 8 | 40 | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 5 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 13 |
| 3 | დინამო | 13 | 4 | 9 | 0 | 13:3 | 10 | 38 | 6 | 2 | 4 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 7 | 2 | 5 | 0 | 6:1 | 5 | 11 |
| 4 | კოლხეთი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:8 | 10 | 37 | 7 | 6 | 1 | 0 | 14:2 | 12 | 19 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 5 |
| 5 | ბათუმი | 13 | 7 | 2 | 4 | 20:10 | 10 | 36 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:2 | 13 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 10 |
| 6 | სიონი | 13 | 2 | 1 | 10 | 12:32 | -20 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:19 | -18 | 0 |
| 7 | იბერია | 13 | 2 | 2 | 9 | 6:28 | -22 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 7 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:21 | -18 | 1 |
| 8 | დილა | 13 | 2 | 0 | 11 | 9:31 | -22 | 16 | 7 | 2 | 0 | 5 | 4:12 | -8 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:19 | -14 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | მერანი | 13 | 8 | 4 | 1 | 16:5 | 11 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 10:1 | 9 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 11 |
| 10 | გორდა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:8 | 16 | 34 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 10 |
| 11 | ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:7 | 13 | 33 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 7 | 12 | 7 | 4 | 0 | 3 | 11:5 | 6 | 12 |
| 12 | თსუ | 13 | 8 | 0 | 5 | 19:13 | 6 | 32 | 6 | 5 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:11 | 0 | 9 |
| 13 | სამგურალი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:7 | 8 | 30 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:4 | 1 | 9 |
| 14 | თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 11:24 | -13 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 4 |
| 15 | არსენალი | 13 | 3 | 0 | 10 | 11:25 | -14 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 7 | 0 | 0 | 7 | 1:13 | -12 | 0 |
| 16 | ხობი | 13 | 1 | 0 | 12 | 11:38 | -27 | 8 | 7 | 1 | 0 | 6 | 7:22 | -15 | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 |

## «ა» ზონა

ქუთაისი. „ტორპედო". 30 მაისი. 18 საათი

### ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ს. კახიანი; მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: კ. კვეტანეძე (ტორპედო)

ბათუმი. „დინამო". 30 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — კოლხეთი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: მ. მახარაძე, არჩვაძე (ბათუმი)

თბილისი. „ეროვნული". 30 მაისი. 18 საათი

### დინამო — დილა

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: სახვაძე, გუჩუა (დინამო)

ზესტაფონი. „მარგვეთი". 30 მაისი. 18 საათი

### იბერია — სიონი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

## «ბ» ზონა

მცხეთა. „არმაზი". 31 მაისი. 18 საათი

### თსუ — ხობი

მსაჯები: გ. ასკაროღლი; გ. მარღიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: ადამია (თსუ)

წყალტუბო. „26 მაისი". 31 მაისი. 18 საათი

### სამგურალი — თბილისი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებულნი: ბურდული (თბილისი)

თბილისი. „ეროვნული". 31 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — გორდა

მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ზ. დოლიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ხუროძე, ხიზანიშვილი, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), გ. კილასონია, ბურნაძე, მ. სახვაძე, მჭედლიძე (გორდა)

თბილისი. „ისანი". 31 მაისი. 18 საათი

### არსენალი — მერანი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: ე. ალადაშვილი (არსენალი)

# ციურიხის მეექვსე — ქართველთა პირველი

## ყაველაშვილისა და ჯამარაულის ციურიხი უეფას თასზე ითამაშებს

გოჩა ჯამარაულის და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი“ კვირას შვეიცარიის თასის მფლობელი გახდა.

ფინალური მატჩის წინ ქართველების გუნდი გვარიანი პრობლემის წინაშე იდგა. მოგეხსენებათ, „ციურიხი“ რჩეულთა შორის დარჩენისთვის იბრძვის და ევროპულ სარბიელზე გასასვლელად მხოლოდ თასის აღება ესაჭიროებოდა. საამმატჩოდ კი კლუბმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი მოისაკლისა. სათუო იყო გოჩა ჯამარაულის თამაშიც, რადგან ქართველი ფეხბურთელი ათი დღით ადრე საზარდულმა შეაწუხა და ჟილბერტ გრესი — გუნდის მთავარი მწვრთნელი შემადგენლობის შერჩევისას გარკვეულ პრობლემებს წააწყდა.

გარდა ამისა, ფინალში „ციურიხის“ მეტოქე „ლოზანა“ გახლდათ, გუნდი, რომელსაც შვეიცარიაში სათასო კლუბის სახელი აქვს მოპოვებული. ლოზანელები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სამჯერ გავიდნენ ფინალში, შარშან და შარშანწინ კი მიყოლებით დაეუფლნენ ქვეყნის თასს. მოკლედ, „ლოზანა“ ფავორიტი იყო, მაგრამ „ციურიხმა“ ბოლო შანსი გამოიყენა, თასიც აიღო და ევროსაგზურსაც გამოჰკრა ხელი...

„ლოზანა“ პირველ ნახევარში დანილევიჩუსმა დააწინაურა, მეორე ტაიმში კი მატჩის გმირების — გოჩა ჯამარაულისა და შონ ბარტლეტის ჯერი დადგა. ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბარტლეტმა მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე საჯარიმოს მისადგომებთან თავით დაუგდო ბურთი ჯამარაულს და ... „იშვიათი სილამაზის გოლი იყო, აქ ყველა გაოცებულია. გოჩამ შეუჩერებლივ დაჰკრა და მოხდენილი ტრაექტორიით კარში ჩაჭედა ბურთი“ — უთხრა გუშინ „სარბიელს“ ჯამარაულის თანაგუნდელმა მიხეილ ყაველაშვილმა. თავისი არცთუ მცირე წვლილი ამ ფეხბურთელმაც შეიტანა „ციურიხის“ საბოლოო გამარჯვებაში. დამატებით დროში ჟილბერტ გრესის გუნდმა საგრძნობი უპირატესობა რომ მოიპოვა, ყაველაშვილის დამსახურებაც გახლდათ. მიშას არცთუ იშვიათი ფლანგური გარღვევები უფრო და უფრო მეტ ხიფათს უქმნიდა ლოზანელებს. სწორედ ერთ-ერთ ასეთ შეტევას მოჰყვა ბარტლეტის გოლი. „ციურიხს“ საბოლოო გამარჯვებამდე 25 წუთი რჩებოდა, მაგრამ დამატებითი დროის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ანდრეს გერბერმა გაქვითა. პენალტების სერიაში კი ყაველაშვილმა აულელვებლად, უნაკლოდ შეასრულა ბოლო დარტყმა. მანამდე შვეიცარიის ნაკრების მეკარე მარკო პასკოლომ იყოჩაღა — სამი პენალტი მოიგერია და „ციურიხმაც“ თასი ჩაიხუტა.

„მიშას ბოლო პენალტის შემდეგ ვერც კი ვაცნობიერებდით, რა მოხდა. ამ გოლმა, მგონი, ჩვენი „ციურიხიდან“ წამოსვლის საკითხი გარკვეული ვადით გადადო“ — ეს კი გოჩა ჯამარაულის სიტყვებია. თანაგუნდელის აზრს ყაველაშვილიც იზიარებს — ნამატჩევს დიდი ზეიმი მოგვიწყვეს გულშემატკივრებმა, მათთან ერთად აღვნიშნეთ ეს დიდი წარმატება... უეფას თასზე თამაში დამატებითი სტიმულია ჩვენთვის და ალბათ ამ ეტაპზე ისევ „ციურიხში“ დავრჩებით. მერე კი ვნახოთ, რა იქნება.

ასე რომ, „ციურიხის“ მეექვსე სათასო ზეობის მონაწილე ქართველებიც გახდნენ. ორივესთვის ეს ჯილდო პირველია ამ კლუბის შემადგენლობაში. „ციურიხმა“ ბოლოს ქვეყნის თასის გათამაშებაში 1976 წელს იმარჯვა.

ყაველაშვილის და ჯამარაულის მთელი ყურადღება კი 4 და 7 ივნისის მატჩებისკენაა მიპყრობილი, როცა „ციურიხი“ „არაუს“ (შინ) და „ბელინცონას“ (სტუმრად) ეთამაშება. სწორედ ეს შეხვედრები გასცემს პასუხს მთავარ კითხვას — დარჩება „ციურიხი“ შვეიცარიის უმაღლეს დივიზიონში?

**პაატა ქვანტალიანი**



გოჩა ჯამარაული (მარჯვნივ) თანაგუნდელ მარიო ფრიკთან ერთად



თემურ ქეცბაია

# ნიუკასლი: ქეცბაია იყიდება!

ქეცბაია ზაფხულში გაიყიდება — ასეთია ნიუკასლური კლუბის მიერ გავრცელებული ბოლო ინფორმაცია.

ქართველი ნახევარმცველის ახალი კლუბი შესაძლოა, ინგლისის პირველი დივიზიონის „ბლექბერნი“ იყოს. „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავკაც ბობი რობსონს „ბლექბერნის“ და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის მატ იანსენის შეძენა სურს, მაგრამ პირველდივიზიონელთა მენეჯერი გრემ სუნესი უფრო მის გაცვლას ეშურება. სუნესი დაინტერესებულია იანსენის ნაცვლად საკუთარ გუნდში „ნიუკასლის“ ქართველი ნახევარმცველის და მცველ ენდი გრიფინის ხილვა სურს.

ქეცბაიათი პრემიერლიგური „ტოტენჰემიცაა“ დაინტერესებული, რომელმაც კარგად იცის, რომ ბობი რობსონის სატრანსფერო ნუსხაში ქართველი, შესაძლოა, ერთ-ერთი პირველია.

თავად თემურს მხოლოდ პრემიერლიგის სხვა კლუბში გადასვლა სურს და თანაც ძირითად გუნდში ადგილის გარანტიით. თუკი ქეცბაია „სფურზმა“ შეიძინა, უკრაინელი რებროვის ამასწინდელი ტრანსფერის გათვალისწინებით ეს ლეს ფერდინანდისა და კრის არმსტრონგის „ტოტენჰემური“ კარიერის დასასრულს ნიშნავს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ქართველ მსაჯებს უეფა უხმობს

ჩვენში ევროპული ტურნირების დაწყებას ფეხბურთელების გარდა მსაჯებიც მოუთმენლად ელიან. საქართველო რომ ფიფა-უეფას წევრია, ცნობილია და ღვთის მადლით ჩვენში ამ სოლიდური ორგანიზაციების მიერ ჩინით მოსილი შავოსნებიც მოიძებნებიან. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ სეზონის განმავლობაში საქართველოს მსაჯებს ერთი ორჯერ ევროსარბიელზე გასვლის საშუალებაც გამოუჩნდებათ ხოლმე. ამის დასტურად უეფა რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შეეხმიანა, ინტერტოტოს გათამაშება იწყება და თქვენებური არბიტრები პირველი ეტაპის ორი მატჩისთვის უკვე შევიგულეთო.

17 ან 18 ივნისს თურქეთის და ლიტვის წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს ამ ნაკლებ პრესტიჟული გათამაშების პირველ წრეში. 3 ივნისისთვის იმ გუნდების ვინაობა გაირკვევა, რომლებიც ამ ორ ქვეყანას წარმოადგენენ, ის კი ცნობილია, რომ ამ შეხვედრას ქართველ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. ზუგდიდელ სერგო კვარაცხელიას ასევე ზუგდიდელი კახა მესხი და თბილისელი ალექსანდრე შილაკაძე დაეხმარებიან. სათადარიგო არბიტრად კი ადგილობრივი თურქი მსაჯი იქნება.

მეორე მატჩში ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ქართველი რომ განსჯის უნგრეთის და ფარერის კუნძულების წარმომადგენელთა შორის გაიმართება (24 ან 25 ივნისს). უნგრეთში თბილისელ მერაბ მალალურაძეს თანაქალაქელი მამუკა ელიკაშვილი და ლანჩხუთელი ოთარ გუნთაძე დაუმშვენებენ გვერდს, სათადარიგო არბიტრად იქაც ადგილობრივი მსაჯია გამწესებული.

**პაატა ქვანტალიანი**

# მეთორმეტე ახალი ჰიმნით

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მომავალი, მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატიდან ფეხბურთის გულშემატკივართ რამდენიმე სიახლეს ჰპირდება. გაისიდან პირველ ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა რომ თორმეტამდე შემცირდება, დიდიხანია ცნობილია. „სარბიელის“ მკითხველს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ფედერაცია მომავალი სეზონიდან პირველი ლიგის ყველა კლუბის მთავარ მწვრთნელს დაავალდებულებს, თითოეული მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოცხადდეს, ურჩებს კი სოლიდური ფულადი ჯარიმებით ემუქრება.

და აი, კიდევ ერთი სიახლე — მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩი ჰიმნით დაიწყება. გუნდები მინდორზე ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, ჯანსულ კახიძის შექმნილი მუსიკის ფონზე გავლენ. ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ქართული კინოფილმი — „პირველი მერცხალი“ არ ენახოს. სწორედ ამ ფილმში გამოყენებული ნაწარმოები აირჩია ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობამ ეროვნული ჩემპიონატის ჰიმნად.

ვისაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ახსოვს, ბლანტერის მარშიც უთუოდ ემახსოვრება. სწორედ ეს მარში უძღოდა მსაჯის სასტარტო სასტვენს. ამიერიდანაც ასე იქნება. ეგაა, ბლანტერის მარშის ნაცვლად კახიძის მუსიკა გაიჟღერებს.

მეთორმეტე ჩემპიონატის დაწყების წინ ფედერაცია თორმეტივე პირველლიგელს შესაბამის აუდიოკასეტას უსახსოვრებს.

**ვანო ოქროპირიძე**

# მაკაბიში ორი წლით

გუშინ ისრაელს გაემგზავრა ორი თბილისის დინამოელი — გივი დიდავა და კობა წიტაიშვილი. ისინი საქართველოს ათგზის ჩემპიონებს დაემშვიდობნენ და სავარაუდოდ დღეს თელავივის „მაკაბისთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. მათ სანაცვლოდ თბილისის „დინამო“ 200 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს. ისე კი, „მაკაბის“ გადმორიცხულ ფულს თბილისელები მთლიანად ვალებს მოახმარენ.

წიტაიშვილისა და დიდავას გარდა მოსალოდნელია, რომ „დინამოს“ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს, კონკრეტულად ვინ, ჯერჯერობით უცნობია.

**ლუკა თალაკვაძე**



ეროვნული ნაკრების დებიუტანტი კოლხი ჯონი შალამბერიძე

# ირანი რიგში ჩადგა

## ნაკრების მწვრთნელებმა ცხრამეტი აარჩიეს

ცოტა ხნის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა — რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა ივნისის პირველ ნახევარში აზერბაიჯანისა და ესტონეთის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებისთვის მიწვეულ ფეხბურთელთა შემადგენლობა გააცხადეს. მწვრთნელებმა თავიდან იმდენი მოთამაშე გამოიძახეს, ერთს კი არა, ორ გუნდსაც გასწვდებოდა, გუშინ კი ის შემადგენლობა დადგინდა, რომელიც 4 ივნისს აზერბაიჯანელებს დაუპირისპირდება. ბაქოში შემდეგი 19 ფეხბურთელი გაემგზავრება:

*მეკარეები:* სოსო გრიშიკაშვილი („დინამო“), დავით გვარამაძე („კრილია სოვეტოვი“, სამარა, რუსეთი);

*მცველები:* ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ჩიხრაძე (ორივე „ლოკომოტივი“), სევასტი თოდუა, გიორგი ჭანკოტაძე (ორივე „ვიტ ჯორჯია“), ლევან სილაგაძე („ალანია, ვლადიკავკაზი, რუსეთი), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია);

*ნახევარმცველები:* რევაზ არველაძე, თენგიზ სიჭინავა (ორივე „დინამო“), კახა გოგიჩაიშვილი („ლოკომოტივი“), გიორგი ქინქლაძე („დერბი ქაუნთი“, ინგლისი), რატი ალექსიძე („ჩელსი“, ლონდონი, ინგლისი), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი“, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* ზურაბ იონანიძე („ტორპედო“), ვიტალი დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), შოთა არველაძე („აიაქსი“, ამსტერდამი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე („კიოლნი“, გერმანია)

როგორც მოსალოდნელი იყო, საბოლოოდ გამოირიცხა შვეიცარიულ „ციურიხში“ მოთამაშე გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის ჩამოსვლის შესაძლებლობა. შვეიცარიაში სეზონი ჯერ არ დასრულებულა და კლუბის ხელმძღვანელობამაც ჩვენი ნაკრების თავკაცებს სთხოვა, მათი მიპატიჟებისგან თავი შეეკავებინათ. ყიფიანმა და ძოძუშვილმაც ანგარიში გაუწიეს მათ თხოვნას.

მოგეხსენებათ, ნაკრები ბაქოში 3 ივნისს ჩარტერული რეისით მიფრინავს, უკან კი 4 ივნისს მატჩის დასრულებისთანავე გამობრუნდება. მეორე დღიდან კი ფეხბურთელები სამდღიან შეკრებაზე გადავლენ, ოღონდ გაზრდილი შემადგენლობით. ყიფიანისა და ძოძუაშვილის გადაწყვეტილებით, საესტონეთოდ გუნდს კიევის დინამოელები — კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე, „ფრაიბურგის“ ახლახან გამოჯანმრთელებული მცველი ლევან ცქიტიშვილი, ნაკრების დებიუტანტი, ფოთელი ჯონი შალამბერიძე და თბილისის დინამოელები — გივი დიდავა და ირაკლი ვაშაკიძე დაემატებიან. ეროვნული გუნდის კაპიტანი გიორგი ნემსაძე კი დაშავებულია და ნაკრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდება, თუ მანამდე გამოჯანმრთელდება.

5, 6 და 7 ივნისს ნაკრები თბილისში მოემზადება, 8-ში კი მოსკოვს ეწვევა, საიდანაც მეორე დღეს ტალინს ესტუმრება.

ესტონელებს ჩვენებურები 11 ივნისს პიარნუში დაუპირისპირდებიან. მატჩი იქაური დროით... დილით, 11 საათზე დაიწყება.

და კიდევ ერთი სიახლე — ბოლო დღეებია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას აწარმოებს ირანთან ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, თამაში 16 აგვისტოს თეირანში ჩატარდება. 16 აგვისტო უეფას ამხანაგური მატჩების დღედ აქვს გამოცხადებული და მწვრთნელებს ამ შეხვედრისთვის ლეგიონერების მოწვევის უფლებაც ექნებათ. აქვე შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს ჩვენი ნაკრები კიდევ ერთ შეხვედრას გეგმავს — 30 აგვისტოს იტალიაში მექსიკის ეროვნულ გუნდთან.

ვანო ოქროპირიძე

# იბერიას კარი მიუხურეს

არისტოფანი და გივი ივანიჩი გეხსომებათ „მიმინოდან“. ამ ლამაზი ფილმის ერთი ეპიზოდის გახსენებაზე ალბათ გაგეღიმებათ კიდეც. ჰო, სწორედ იმაზე ვამბობ, გაგულისებული არისტოფანი ფუნჯს და საღებავს რომ მიუგდებს გივი ივანიჩს — თვითონ შეარჩიე ფერები და შეღებეო. ქვემოთ მოყვანილი ამბავიც ფუნჯს, საღებავს და არისტოფანის დღეში ჩავარდნილ ხალხს უკავშირდება.

17 მაისს, ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში, სამტრედიაში, ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ჩასატარებლად ჩასულ „დინამოს“ მოუმზადებელი სტადიონი დახვდა. „ეროსი მანჯგალაძეზე“ საშინაო მატჩებს „იბერია“ ატარებს. ამ კლუბს და სტადიონის ხელმძღვანელობას შორის უთანხმოება ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყების წინ დაიწყო. სამტრედიული სარბიელის მესვეურნი იბერიელებს მატჩისთვის სტადიონის დათმობის სანაცვლოდ გარკვეულ გადასახადს სთხოვდნენ. ბუნებრივია, სამართლიანადაც. გაიხსენეთ ეროვნულ პირველობას ჩამოშორებული თბილისის „შევარდენის“ სტადიონი. ამ, ჩვენში სხვათაგან ბევრად უკეთეს მოედანზე, დღეს ეროვნულ პირველობაზე მონაწილე არც ერთი გუნდი არ თამაშობს. მიზეზი? შევარდნელები მარტივი პრინციპით მოქმედებენ — გადაიხადე, ითამაშე. აბა, რა გასაკვირია, სამტრედიელებსაც ამავე პრინციპით რომ ემოქმედათ, მაგრამ ჩემპიონატის წინ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე „იბერია“ სკანდალს და უსტადიონობას გადაურჩა. თუმც ჩემპიონატის მსვლელობის დროს სამტრედიის სტადიონის ხელმძღვანელთაგან არცთუ იშვიათად გვსმენია, „იბერია“ თუ დანაპირებს არ მოგვცემს, მოედანს აღარ გავაკარებთო. ითმინეს, ითმინეს იქაურებმა და 17 მაისს ფუნჯ-საღებავი მიუყარეს სტადიონზე მისულ გუნდებს — თვითონ დახაზეთ სტადიონი (ფერი შერჩეული იყო) და ბალახიც გაკრიჭეთო. „იბერია“ — „დინამოს“ „ეროსი მანჯგალაძეზე“ თამაში 17 მაისს როგორღაც მოხერხდა, ხვალ კი სამტრედიელები ჩემპიონატის ბოლო კალენდარულ მატჩში ზესტაფონში დაუხვდებიან „სიონს“. „ეროსი მანჯგალაძის“ კარები დახურული აღმოჩნდა „იბერიისთვის“.

პაატა ძვანტალიანი

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი
### „ა“ ზონა
XXI ტური

24 მაისი

**მეტალურგი 3:0 რწმენა**
1:0, 2:0 ქურციკიძე (65, 72), 3:0 მინაშვილი (25)
გაფრთხილება: ქიმაძე (რწმენა)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**იბერია 2 4:1 გურია**
1:0 ოდიკაძე (10), 2:0 ბანძელაძე (20), 2:1 კუკულაძე (35), 3:1 ოდიკაძე (75), 4:1 ბანძელაძე (80)
გაფრთხილება: ოდიკაძე, ონიანი (ორივე იბერია 2)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**ინტერი 2:3 მარგვეთი**
1:0 ნერგაძე (12), 1:1 სულაკაძე (15), 2:1 ორბელაძე (20ს.კ.), 2:2 ძნელაძე (21), 2:3 ენდელაძე (41)
გაფრთხილება: გორგოძე (ინტერი), ლონლაძე (მარგვეთი)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**მეშახტე 1:0 გაგრა**
1:0 ხელაძე (87)
გაფრთხილება: ხელაძე (მეშახტე)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**რაჭა 0:0 ოკეანე**
გაფრთხილება: სახელაშვილი, პ. ჯელაძე (ორივე რაჭა), გოგავა (ოკეანე)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**მაღაროელი 3:3 სულორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 21 | 17 | 4 | 0 | 68:18 | 55 |
| ოკეანე | 21 | 12 | 6 | 3 | 46:23 | 42 |
| მეტალურგი | 21 | 12 | 5 | 4 | 40:23 | 41 |
| იბერია 2 | 21 | 11 | 6 | 4 | 46:26 | 39 |
| ინტერი | 21 | 9 | 6 | 6 | 34:25 | 33 |
| გაგრა | 21 | 6 | 8 | 7 | 27:32 | 26 |
| რაჭა | 21 | 5 | 7 | 9 | 26:33 | 22 |
| სულორი | 21 | 5 | 6 | 10 | 30:53 | 21 |
| გურია | 21 | 6 | 1 | 14 | 32:43 | 19 |
| რწმენა | 21 | 4 | 7 | 10 | 13:29 | 19 |
| მაღაროელი | 21 | 3 | 6 | 12 | 28:44 | 15 |
| მეშახტე | 21 | 3 | 4 | 14 | 24:65 | 13 |

## დასავლეთი
### „ბ“ ზონა
XXI ტური

25 მაისი

**კოლხეთი 2 2:0 მერცხალი**
1:0 ყურაშვილი (18), 2:0 ბაჩილავა (69)
გაფრთხილება: ჯაფარიძე, მანჯავიძე (ორივე მერცხალი)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**სქური 0:4 მეგრი**
0:1 ღურწკაია (1), 0:2 მებონია (64), 0:3, 0:4 იოსავა (72, 89)
გაფრთხილება: ჭანია (სქური)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**ლაზიკა 5:1 ფაზისი**
1:0 ჯაბუა (5), 2:0 ჯოჯუა (6), 3:0 ჯაბუა (21), 4:0 ლიპარტია (59), 4:1 მასხულია (69), 5:1 ლიპარტია (88)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**ბახმარო 1:5 შუქურა**
0:1 ბერიძე (5), 0:2, 0:3 ფუტკარაძე (12, 25), 0:4, 0:5 ყულეჯიშვილი (43, 68), 1:5 კალანდაძე (78)
მეფარიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (53, ბახმარო)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**ჩელა 1:5 ზუგდიდი**
0:1 ჯოლოხავა (103), 0:2 მარკოზია (20), 1:2 კ. აბსანძე (60), 1:3 გოგიტიძე (76), 1:4 ჯურხანძე (82), 1:5 ჯოლოხავა (86)
გაფრთხილება: ხასაია (ჩელა)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი

**სამეგრელო 3:0 ბათუმი 2**
*ბათუმი 2 არ გამოცხადდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 21 | 17 | 2 | 2 | 63:20 | 53 |
| ზუგდიდი | 21 | 15 | 3 | 3 | 64:21 | 48 |
| მეგრი | 21 | 15 | 2 | 4 | 36:14 | 47 |
| კოლხეთი 2 | 21 | 14 | 4 | 3 | 34:14 | 46 |
| ლაზიკა | 21 | 12 | 5 | 4 | 53:20 | 41 |
| ფაზისი | 21 | 9 | 3 | 9 | 33:37 | 30 |
| სქური | 21 | 6 | 2 | 13 | 24:51 | 20 |
| სამეგრელო | 21 | 5 | 5 | 11 | 23:40 | 20 |
| ბათუმი 2 | 21 | 3 | 8 | 10 | 23:38 | 17 |
| მერცხალი | 21 | 3 | 6 | 12 | 19:42 | 15 |
| ჩელა | 21 | 2 | 4 | 15 | 19:52 | 10 |
| ბახმარო | 21 | 2 | 2 | 17 | 18:60 | 8 |

გამთავრულებული გუნდები გაისად მეორე ლიგაში ითამაშებენ

## აღმოსავლეთი
### „ა“ ზონა
XIX ტური

24 მაისი

**ვარძია 0:1 მრეტები**
0:1 გელაძე (81)
გაფრთხილება: მაზმიშვილი (ვარძია), ჩახვაძე, ძაგნიძე (ორივე მრეტები)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

25 მაისი

**საუ 1:2 თორი**
0:1, 0:2 გლუნჩაძე (3, 23), 1:2 მაჭარაშვილი (61)
გაფრთხილება: დენისკინი (თორი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

**იბერია 1:0 ცხინვალი**
1:0 გრიგალაშვილი (75 ს.კ.)
გაფრთხილება: არეშიძე (იბერია)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

**განთიადი 0:3 ცხუმი**

**მესხეთი 0:3 ივერია**
მესხეთს ჩაეთვალა ტექნიკური წაგება, რადგან ათამაშა დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 19 | 14 | 2 | 3 | 38:7 | 44 |
| თორი | 19 | 14 | 2 | 3 | 38:14 | 44 |
| ივერია | 19 | 13 | 0 | 6 | 44:20 | 39 |
| იბერია | 19 | 11 | 2 | 6 | 28:17 | 35 |
| ცხუმი | 19 | 9 | 2 | 8 | 36:25 | 29 |
| მესხეთი | 19 | 8 | 4 | 7 | 42:36 | 28 |
| გათიადი | 19 | 7 | 1 | 11 | 23:41 | 22 |
| საუ | 19 | 6 | 1 | 13 | 24:39 | 19 |
| მრეტები | 19 | 4 | 5 | 10 | 17:35 | 17 |
| ვარძია | 19 | 4 | 2 | 13 | 16:46 | 14 |
| არაგვი | 19 | 4 | 1 | 14 | 20:46 | 13 |

## აღმოსავლეთი
### „ბ“ ზონა
XIX ტური

24 მაისი

**სამგორი 0:0 ხალიბი**
გაფრთხილება: ქენქაძე, ჯანგოიანი (ორივე სამგორი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ზოოვეტი 1:2 ჭაბუკიანი**
1:0 ზაკუტაშვილი (52), 1:1, 1:2 მერებაშვილი (55პ, 78)
გაფრთხილება: ბოსტოლანაშვილი, შედანია (ორივე ზოოვეტი), მერებაშვილი (ჭაბუკიანი)
გაძევება: მერებაშვილი (80, ჭაბუკიანი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**თბილისი 2 0:1 ლოკომოტივი 2**
0:1 ჩაჩუა (75)
გაფრთხილება: სახურია (თბილისი 2)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**არსენალი 2 0:3 ალაზანი**
0:1 ტარიელაშვილი (56), 0:2 ვარამიშვილი (61), 0:3 ტარიელაშვილი (83)
გაფრთხილება: ბერიანიძე (არსენალი 2), კობაიძე (ალაზანი)

**აკადემი 3:0 დურუჯი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 19 | 14 | 3 | 2 | 34:12 | 45 |
| ალაზანი | 19 | 13 | 2 | 4 | 50:18 | 41 |
| არსენალი 2 | 19 | 12 | 4 | 3 | 39:21 | 40 |
| ჭაბუკიანი | 19 | 12 | 3 | 4 | 36:13 | 39 |
| ზოოვეტი | 19 | 9 | 5 | 5 | 37:29 | 32 |
| ამირანი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:36 | 24 |
| ხალიბი | 19 | 6 | 3 | 10 | 23:32 | 21 |
| აკადემია | 19 | 5 | 6 | 8 | 15:14 | 21 |
| თბილისი 2 | 19 | 4 | 4 | 11 | 21:36 | 16 |
| სამგორი | 19 | 3 | 2 | 15 | 20:35 | 11 |
| დურუჯი | 19 | 2 | 1 | 16 | 12:50 | 7 |

„დურუჯი“ მოიხსნა გათამაშებიდან

## ესპანეთი

II დივიზიონი. XLI ტური

**ბადახოსი 1:2 ალბასეტე**
0:1 ხ. გერერო (14), 0:2 საბასი (44), 1:2 საბინო (56პ)

**ხეტაფე 1:3 სალამანკა**
0:1 ბარბარა (39), 0:2, 0:3 ბონილია (45, 78), 1:3 პულიდო (84)

**ეიბარი 2:0 ლეიდა**
1:0 ნაჩო გარსია (54), 2:0 მორალესი (79)

**ელჩე 2:1 ლოგრონიესი**
1:0 კლაუდიო (8), 1:1 არენასა (52), 2:1 კრისტიან დიასი (90)

**ვილიარეალი 1:1 ლას პალმასი**
1:0 ლოპესი (11), 1:1 ტევენე (67პ)

**ლევანტე 3:0 კორდობა**
1:0 ხესუსი (40), 2:0 გარტსენი (47), 2:0 ისრაელი (57)

**ტენერიფე 0:0 კომპოსტელა**

**სპორტინგი 1:1 ოსასუნა**
1:0 ხურადო (85), 1:1 ივან როსადო (86)

**უელვა 1:0 ლეგანესი**
1:0 მენდესი (87)

**ტოლედო 1:1 ატლეტიკო B**
1:0 მიგელ ანხელი (28), 1:1 მარკოსი (60პ)

**მერიდა 1:0 ესტრემადურა**
1:0 პრიეტო (24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 41 | 19 | 12 | 10 | 58:40 | 69 |
| ვილიარეალი | 41 | 18 | 12 | 11 | 61:45 | 66 |
| ოსასუნა | 41 | 19 | 7 | 15 | 48:35 | 64 |
| სალამანკა | 41 | 17 | 12 | 12 | 52:42 | 63 |
| მერიდა | 41 | 16 | 14 | 11 | 41:34 | 62 |
| ლევანტე | 41 | 16 | 13 | 12 | 54:50 | 61 |
| ლეიდა | 41 | 17 | 9 | 15 | 61:50 | 60 |
| ესტრემადურა | 41 | 16 | 12 | 13 | 47:45 | 60 |
| სპორტინგი | 41 | 17 | 8 | 16 | 53:48 | 59 |
| ალბასეტე | 41 | 15 | 14 | 12 | 51:52 | 59 |
| ეიბარი | 41 | 14 | 15 | 12 | 47:47 | 57 |
| ლეგანესი | 41 | 15 | 14 | 12 | 41:41 | 56 |
| კორდობა | 41 | 14 | 12 | 15 | 44:48 | 54 |
| ელჩე | 41 | 12 | 17 | 12 | 46:53 | 53 |
| ტენერიფე | 41 | 13 | 13 | 15 | 45:49 | 52 |
| ბადახოსი | 41 | 9 | 23 | 9 | 36:37 | 50 |
| ატლეტიკო B | 41 | 13 | 10 | 18 | 44:57 | 49 |
| კომპოსტელა | 41 | 10 | 18 | 13 | 49:52 | 48 |
| უელვა | 41 | 12 | 9 | 20 | 39:52 | 45 |
| ხეტაფე | 41 | 12 | 9 | 20 | 38:51 | 45 |
| ლოგრონიესი | 41 | 10 | 13 | 18 | 51:56 | 43 |
| ტოლედო | 41 | 9 | 10 | 22 | 32:54 | 37 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXXIV ტური

**კოტბუსი 2:0 კიოლნი**
1:0 ირგანგი (42), 2:0 მირიუტა (49)

**მაინცი 2:0 ვალდჰოფი**
1:0 დემანდტი (48), 2:0 როდრიგესი (60)

**ნიურნბერგი 2:1 გლადბახი**
1:0 მიოკელი (58), 2:0 დრილერი (68), 2:1 ფრომერი (74)

**ქემნიცი 1:0 ბერლინი**
1:0 შკელა (14)

**ჰანოვერი 3:3 ბოხუმი**
0:1 მ. მარიჩი (16), 1:1 ბლანკი (29), 1:2 რისტაუ (58), 2:2 კეიტა (76), 2:3 ა. ვებერი (87), 3:3 მორინასი (90)

**კარლსრუე 1:1 კიკერსი**
0:1 ტ. მარიჩი (31პ.), 1:1 ამადუ (62)

**ალემანია 2:2 ფიურტი**
1:0 ლამერმანი (37), 1:1 რაიხელი (57), 2:1 დიანე (60), 2:2 ლამპტეი (77)

**ზანქტ პაული 1:1 ობერჰაუზენი**
0:1 კიუკა (23), 1:1 მარინი (89)

**ფორტუნა 4:1 ოფენბახი**
1:0 ზერნიკი (20), 2:0 იბრაჰიმი (52), 3:0 კატიჩი (65), 3:1 გაისმაიერი (69), 4:1 შულერი (87)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 34 | 19 | 8 | 7 | 68:39 | 65 |
| ბოხუმი | 34 | 18 | 7 | 9 | 67:48 | 61 |
| კოტბუსი | 34 | 18 | 4 | 12 | 62:42 | 58 |
| ნიურნბერგი | 34 | 15 | 10 | 9 | 54:46 | 55 |
| გლადბახი | 34 | 14 | 12 | 8 | 60:43 | 54 |
| ობერჰაუზენი | 34 | 12 | 13 | 9 | 43:34 | 49 |
| ფიურტი | 34 | 10 | 16 | 8 | 40:39 | 46 |
| ალემანია | 34 | 12 | 10 | 12 | 46:54 | 46 |
| მაინცი | 34 | 11 | 12 | 11 | 41:42 | 45 |
| ჰანოვერი | 34 | 12 | 8 | 14 | 56:56 | 44 |
| ქემნიცი | 34 | 11 | 10 | 13 | 42:49 | 43 |
| ვალდჰოფი | 34 | 10 | 12 | 12 | 50:56 | 42 |
| ბერლინი | 34 | 10 | 10 | 14 | 42:50 | 40 |
| ზტ. პაული | 34 | 8 | 15 | 11 | 37:45 | 39 |
| კიკერსი | 34 | 10 | 9 | 15 | 49:58 | 39 |
| ფორტუნა | 34 | 8 | 11 | 15 | 38:50 | 35 |
| ოფენბახი | 34 | 8 | 11 | 15 | 35:58 | 35 |
| კარლსრუე | 34 | 5 | 12 | 17 | 35:56 | 27 |

## იტალია

სერია B
XXXVI ტური

**ვიჩენცა 3:2 ჩეზენა**
0:1 პანჩუ (1), 0:2 კამპოლონი (39), 1:2 ბერნარდინი (48), 2:2 პალადინი (67), 3:2 დიჩარა (85)

**ტრევიზო 1:1 ჯენოა**
0:1 კარპარელი (51), 1:1 პიცი (85)

**ტერნანა 2:2 მონცა**
0:1 მაცეო (9), 0:2 ბრნჩიჩი (16), 1:2 ბრეშანი (36), 2:2 სტელინი (86)

**სამპდორია 2:1 სავოია**
1:0 ფლაკი (10), 2:0 ვერგასოლა (59), 2:1 ტისკი (73)

**რავენა 2:0 სალერნიტანა**
1:0 გრაბი (15პ), 2:0 სოტია (86)

**პესკარა 1:0 პისტოიეზე**
1:0 ალეგრი (43პ)

**ნაპოლი 3:0 ბრეშა**
1:0 სტელონე (8), 2:0 შვოხი (31პ), 3:0 ბელუჩი (84)

**ემპოლი 2:1 ალძანო**
1:0 საუდატი (47), 2:0 კაპელინი (54), 2:1 მადონა (85)

**კოზენცა 2:0 კიევო**
1:0 აპა (24), 2:0 დანა (44ს.კ.)

**ატალანტა 4:0 ფერმანა**
1:0 როსინი (27), 2:0 დონატი (47), 3:0 პინარდი (62პ), 4:0 სივილია (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 36 | 19 | 7 | 10 | 65:41 | 64 |
| ნაპოლი | 36 | 16 | 12 | 8 | 53:41 | 60 |
| ატალანტა | 36 | 16 | 11 | 9 | 48:32 | 59 |
| ბრეშა | 36 | 15 | 14 | 7 | 51:36 | 59 |
| სამპდორია | 36 | 15 | 11 | 10 | 40:37 | 56 |
| სალერნიტანა | 36 | 14 | 10 | 12 | 54:52 | 52 |
| ჯენოა | 36 | 14 | 9 | 13 | 45:39 | 51 |
| რავენა | 36 | 11 | 15 | 10 | 38:34 | 48 |
| ტრევიზო | 36 | 12 | 12 | 12 | 48:45 | 48 |
| ემპოლი | 36 | 12 | 12 | 12 | 38:49 | 48 |
| პესკარა | 36 | 10 | 16 | 10 | 57:48 | 46 |
| კოზენცა | 36 | 11 | 13 | 12 | 31:36 | 46 |
| კიევო | 36 | 10 | 14 | 12 | 44:48 | 44 |
| ჩეზენა | 36 | 8 | 19 | 9 | 43:41 | 43 |
| მონცა | 36 | 8 | 19 | 9 | 40:42 | 43 |
| ტერნანა | 36 | 9 | 16 | 11 | 41:46 | 43 |
| პისტოიეზე | 36 | 12 | 10 | 14 | 37:41 | 42 |
| ალძანო | 36 | 9 | 12 | 15 | 33:46 | 39 |
| სავოია | 36 | 6 | 11 | 19 | 33:57 | 29 |
| ფერმანა | 36 | 6 | 11 | 19 | 34:62 | 29 |

### სერია C1/A

პლეი ოფი
ნახევარფინალი
I მატჩები

ბრეშელო — პიზა 1:1; ვარეზე — ჩიტადელა 1:0

*საპასუხო მატჩები გაიმართება 4 ივნისს*

### სერია C1/B

პლეი ოფი
ნახევარფინალი
I მატჩები

არეცო — ანკონა 1:1; ვიტერბეზე — ასკოლი 0:1

*საპასუხო მატჩები გაიმართება 4 ივნისს*

## ჰოლანდია

პლეი ოფი
IV ტური

**A ჯგუფი**

ემენი — გრონინგენი 0:1; მაასტრიხტი — ჰერაკლესი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 12 |
| მაასტრიხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 9:10 | 4 |
| ჰერაკლესი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:11 | 4 |
| ემენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:9 | 2 |

*ახალი სეზონიდან „გრონინგენი" I დივიზიონში ითამაშებს*

**B ჯგუფი**

კამბური — როოსენდალი 1:1; ექსელსიორი — ცვოლე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როოსენდალი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| კამბური | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| ცვოლე | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| ექსელსიორი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |

*ახალი სეზონიდან „როოსენდალი" I დივიზიონში ითამაშებს*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08




„ციურიხმა" შვეიცარიის თასი მეექვსედ მოიგო

## შვეიცარია

თასის ფინალი

**ლოზანა 2:2 (პენ.0:3) *ციურიხი***
1:0 დანილევიჩუსი (35), 1:1 ჯამარაული (77), 1:2 ბარტლეტი (96), 2:2 გერბერი (105)
პენალტები: 0:1 ფიშერი, 0:1 ორელი (ძელი), 0:2 დუგლასი, 0:2 ლონდონო (მეკარე), 0:3 ყაველაშვილი, 0:3 კრისტი (მეკარე)
ლოზანა: რაპო, ლონდონო, პუჩე, კრისტი, ჰანცი (კარლენი 89), ორელი, რენი, სელესტინი, გერბერი (სიმონი 113), მაცონი, დანილევიჩუსი (ჰორიაკი 76)
ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ტსავა, ჯორჯევიჩი, პალასი (შასო 46), დელ სინიორე (დუგლასი 58), ჯამარაული, კვენტინი, ფრიკი (ყაველაშვილი 62), ბარტლეტი, ჯანინი
მწვრთნელი: ჟილბერტ გრესი
გაფრთხილება: კვენტინი, ტსავა, დელ სინიორე, ფრიკი, ჰანცი, ჯორჯევიჩი, ფიშერი, ბარტლეტი, ჰორიაკი
გაძევება: ბარტლეტი (112)
მსაჯი: ბერტოლინი
18 500 მაყურებელი

კვირას „ციურიხმა" შვეიცარიის თასის ფინალში „ლოზანა" დაამარცხა და ქვეყნის თასი მოიგო. გამარჯვებული მატჩისშემდგომმა პენალტების სერიამ გამოავლინა. გუნდებს მხოლოდ სამ-სამჯერ დასჭირდათ დარტყმა. ციურიხელებმა, რომლებიც ჩემპიონატში ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან, სამჯერვე ზუსტად დაარტყეს, მესამე ადგილზე მყოფმა „ლოზანამ" კი...

ორელის დარტყმული ძელს მოხვდა, ლონდონოსა და კრისტის პასკოლომ აუღო და „ციურიხმაც" სერია 3:0 მოიგო.

ისე, პენალტებამდე საქმე სულაც არ მივიდოდა, ციურიხელთა ქართველ ლეგიონერ გოჩა ჯამარაულს რომ არ ემარჯვა. გოჩამ, ბოლო ტურში ტრავმის გამო რომ ვერ ითამაშა, 77-ე წუთზე გაიბრწყინა, რაპოს აუღებელი დაურტყა და წონასწორობა აღადგინა — 1:1. „ლოზანა" კი 35-ე წუთზე დაწინაურდა, თავი გუნდის ლიტველმა თავდამსხმელმა დანილევიჩუსმა გამოიჩინა.

მთლიანობაში შვეიცარიის თასის 75-ე ფინალი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სტადიონზე მისულმა 18 500 მაყურებელმაც ისიამოვნა, თუმც დამარცხებული გუნდის ქომაგნი, ცხადია, საბოლოო შედეგმა გააწბილა.

„ციურიხს" წლევანდელი სეზონი აშკარად ჩაუვარდა. გუნდი შვეიცარიის ჩემპიონის ტიტულს უმიზნებდა, მაგრამ...

თასის მოგებამ კი კლუბის პრეზიდენტ სვენ ჰოტცს ხასიათი გამოუკეთა: „საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ვიდრე რაიმონდო პონტეს ჟილბერტ გრესით შევცვლიდი, ბევრი ვიფიქრე. აშკარაა, გრესის მოსვლის შემდეგ კლუბის საქმეები უკეთ წავიდა".

დამატებითი დრო ძირითადზე დრამატული გამოდგა. 96-ე წუთზე ციურიხელთა სამხრეთაფრიკელმა ფეხბურთელმა შონ ბარტლეტმა თავისიანები დააწინაურა. გოლით გამოწვეული სიხარული კი ისე გამოხატა, მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რაც თხუთმეტ წუთში ძვირად დაუჯდა. ბერტოლინიმ ბარტლეტს არც უხეშობა აპატია და გასახდელის გზას გაუყენა. მანამდე კი ფავორიტად შერაცხულმა „ლოზანამ" გათანაბრება შეძლო. ბოლო წუთებზე კაცნაკლულმა ციურიხელებმა მეტოქის დაწოლას გაუძლეს და საქმე თერთმეტმეტრიანებამდე მიიყვანეს. იქ თავისი სიტყვა მინდორზე 62-ე წუთზე შესულმა მიხეილ ყაველაშვილმაც თქვა — მესამე, გადამწყვეტი დარტყმის შესრულება სწორედ მან ითავა.

„ციურიხისთვის" ეს მეშვიდე ფინალი გახლდათ. აქედან გუნდმა ექვსჯერ იმარჯვა.

მე-12 ტური: ივერდონი — გრასჰოპერი 4:4; ბაზელი — ლუცერნი 0:0; სენტ გალენი — სერვეტი 0:0; ქსამაქსი — ლოზანა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 12 | 8 | 3 | 1 | 29:12 | 50 |
| ლოზანა | 12 | 7 | 2 | 3 | 18:10 | 41 |
| ბაზელი | 12 | 5 | 6 | 1 | 16:10 | 40 |
| გრასჰოპერი | 12 | 4 | 4 | 4 | 26:25 | 33 |
| ლუცერნი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:26 | 28 |
| სერვეტი | 12 | 3 | 4 | 5 | 19:17 | 27 |
| ქსამაქსი | 12 | 3 | 2 | 7 | 19:25 | 25 |
| ივერდონი | 12 | 2 | 1 | 9 | 14:30 | 22 |

# ტიტანთა ამბავი

გერმანული ფეხბურთის უბერებელი ვარსკვლავი ლოთარ მათეუსი კვირას, მალიორკაზე, სადაც გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, დაშავდა. მან ფეხის კუნთი გაიჭიმა და შეჯიბრების წინ დარჩენილ ორ ამხანაგურ თამაშს გამოსტოვებს. ამ მატჩებში გერმანელთა მეტოქეები არიან კლუბი „მალიორკა" და ჩეხეთის ნაკრები.

რაც შეეხება ევრო 2000-ის პირველ მატჩს, იგი მათეუსის თანაგუნდელებს 12 ივნისს, ლიეჟში, რუმინეთთან მოუწევთ და როგორც გუნდის ექიმი ჰანს-ვილჰელმ მიოლენ-ვოლფარტი გვაიმედებს, მათეუსიც იქ იქნება.

ჯერჯერობით კი უბერებელ გერმანელს სამი-ოთხი დღით დასვენება მოუწევს, ხოლო მის ნაცვლად მოედანზე „ლევერკუზენის" მოთამაშე კარსტენ რამელო იქნება.

ამასობაში კი, მათეუსის გამოსათხოვარ მატჩზე მიუნხენს ჩასულმა არგენტინელმა დიდვარსკვლავმა დიეგო მარადონამ, ესპანურ გაზეთ „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფეხბურთში მწვრთნელად... „ბარსელონას" მწვრთნელად დაბრუნება სურს. ოლონდ იქვე დასძინა, მანამდე ჩემში ჩაბუდებული მტერი (ნარკომანია) უნდა დავამარცხოო.

„სერიოზულად მოგახსენეთ, „ბარსელონას" მწვრთნელობა მსურს, მით უფრო ახლა, როდესაც ნუნიესი კლუბის პრეზიდენტობიდან გადადგა. მესმის, რომ 100-დან ერთი პროცენტი მაქვს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ერთი წლის წინ მადრიდის „ატლეტიკოზე" ვფიქრობდი, ხესუს ხილს დავურეკე კიდეც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რცხვენოდეს, მე ხომ „ატლეტიკოში" დიდი რიდითა პატივისცემით ვიმუშავებდი" — თქვა მარადონამ.




ლოთარ მათეუსი და დიეგო მარადონა

## ესპანეთი

### თასის ფინალი

**ესპანიოლი 2:1 ატლეტიკო**

1:0 ტამუდო (2), 2:0 სერხიო (85), 2:1 ჰასელბაინკი (90)
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, ნანდო, კრისტობალი, არტეაგა, სერხიო, გალკა, როხერი, ტამუდო (სერანო 71), მარტინ პოსე (როტჩენი 77), ველამასანი
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
ატლეტიკო: ტონი ხიმენესი, კაპდევილა, გამარა (ლუკე 50), სანტი, გასპარი, აგილერა (სოლარი 75), ვალერონი, უგო ლეალი, ბარახა, ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი
მწვრთნელი: ფერნანდო სამბრანო
გაფრთხილება: ჰასელბაინკი, გასპარი, ნანდო, არტეაგა, ბარახა, სანტი
გაძევება: ნანდო (76), სანტი (83)
მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო
50 000 მაყურებელი

შაბათს გამოცხადებული სავარაუდო შემადგენლობების მიხედვით, „ატლეტიკოს" კარი ფრანსისკო მოლინას უნდა დაეცვა. მატჩის წინ კი რადომირ ანტიჩის დროებითმა მემკვიდრე ფერნანდო სამბრანომ გადაწყვეტილება შეცვალა და კარში ყოფილი ესპანიოლელი, ტონი ხიმენესი ჩააყენა. მატჩი დაიწყო და ხიმენესმა მეორე წუთზევე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. მან მეტოქის დარტყმული ბურთი აილო და სანამ თამაშში დააბრუნებდა, ხელით კენწვლა დაუწყო. მეკარეები ასე ხშირად იქცევიან, მაგრამ არა მაშინ, როცა ზურგს უკან მოწინააღმდეგე გიდგას. რაულ ტამუდომ ხიმენსი დასაჯა — ბურთი თავით აართვა და ანგარიში გახსნა.

თამაშის გადასარჩენად მადრიდელებს საკმარისი დრო ჰქონდათ, მაგრამ მოსაგებად მარტო ეს არ კმარა, „ესპანიოლი" უკეთ ირჯეობოდა. პირველი ტაიმი მთლიანად კატალონიელების იყო. იგივე რაულ ტამუდო, ტონი ველამასანი და მოისეს არტეაგა დიდ პრობლემებს უქმნიდნენ მეტოქე მცველებს.

შესვენების მერე „ატლეტიკო" გამოცოცხლდა. ჯიმი ფლოიდ ჰასელბონკი (რომელიც სამბრანომ ხვეწნა-მუდარით გამოსთხოვა ფრანკ რაიკარდს რუმინეთთან ამხანაგური მატჩის წინ) ჩვეულად ათამაშდა და გოლის გატანა თუ ვერ შეძლო, „ესპანიოლის" დაცვის კარგად გარჯის შედეგია.

76-ე წუთზე ბარსელონელმა ვეტერანმა ნანდო მუნოსმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. რიცხობრივმა უპირატესობამ ატლეტიკოელებს იმედი მისცა, მაგრამ ნერვიულობასაც უმატეს — დრო ცოტა რჩებოდა. ამას უხეშობაც მოჰყვა. 83-ე წუთზე ესპანეთის ნაკრების ყოფილმა წევრმა სანტი დენიამ თანაგუნდელებს ცუდი სამსახური გაუწია — მსაჯმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ ის ნანდოს გზას გაუყენა. ამ გაძევებას კი სერხიომ მეორე გოლი მიაყოლა — „ესპანიოლმა" თასი მოიგო, ბოლო წუთზე ჰასელბაინკის გატანილი ბურთი უკვე აღარაფერს ცვლიდა.

მადრიდის „ატლეტიკომ" ვერ შეძლო ის, რაც საფრანგეთში „გენიონმა" მოახერხა — აწ უკვე მეორედივიზიონელი გუნდი ფინალში დამარცხდა, „ესპანიოლის" ქომაგებმა კი დიდად გაიხარეს — ამ გამარჯვებას ისინი ზუსტად 60 წელი ელოდნენ.



ფინალში მონაწილე ორმა ქართველმა: გიორგი დემეტრაძემ, კახა კალაძემ და სხვა კიეველმა ფეხბურთელებმა თასის მოგებით გაიხარეს

REUTERS ვალენსიიდან




მადრიდელები მეკარე ტონი ხიმენესმა დაღუპა

## უკრაინა

### თასის ფინალი

**დინამო 1:0 კრივბასი**

1:0 ხაცკევიჩი (45)
დინამო: კერნოზენკო, ხაცკევიჩი, მამედოვი (იაშკინი 56), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, ბელკევიჩი, რებროვი, გუსინი, შაცკიხი (დემეტრაძე 71)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
კრივბასი: ლავრენცოვი, იეზერსკი (პლატონოვი 88), მონახოვი, გრანოვსკი, ზოტოვი, სიმაკოვი (იოკშასი 87), მიზინი, გეცკო, პალიანიცა (რიმშინი 73), მოროზი, პონომარენკო
მწვრთნელი: გენადი ლიტოვჩენკო
გაფრთხილება: გეცკო, ზოტოვი, ვაშჩუკი
მსაჯი: ვ. ონუფერი
45 500 მაყურებელი

ფინალური შეხვედრის დაწყებამდე კიევის „ოლიმპიურ" სტადიონზე შეკრებილმა 45 ათასმა ქომაგმა „დინამოს" 1975 წლის გუნდის ფეხბურთელები გაიხსენა. ოცდახუთი წლის წინ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასისა და სუპერთასის მომპოვებელ „დინამოს" მოთამაშეებს — ლეონიდ ბურიაკს, ვლადიმირ ტროშკინს, ანატოლი კანკოვს სუვენირები და ყვავილები გადასცეს. მინდორზე თავად უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვალერი პუსტოვოიტენკო გავიდა და წარსულში ცნობილ ფეხბურთელებს მიესალმა. საზეიმო ცერემონიამ რამდენიმე წუთს გასტანა, შემდეგ კი მატჩიც დაიწყო.

უკრაინის ყველაზე ტიტულიანი გუნდი, კიევის „დინამო" ქვეყნის თასის ფინალს შეჩვეულია. ამ ეტაპზე ისინი ხუთჯერ გასულან, „კრივბასისთვის" კი ეს პირველი გახლდათ.

დებიუტანტებმა „დინამოს" კარს პირველივე წუთებიდან შეუტიეს. ტრავმირებული ალექსანდრ შოვკოვსკის არყოფნაში კარს სათადარიგო გოლკიპერი კერნოზენკო იცავდა, რომელსაც საერთო მოსაზრებით ცუდად არ უთამაშია.

მერე კიეველებმაც შეუტიეს. ჩვეულად ძლიერად თამაშობდა სერგეი რებროვი, რომლისთვისაც ეს ბოლო შეხვედრა გახლდათ. ამის შემდეგ იგი „ტოტენჰემში" გადავა და პრემიერლიგაში იასპარეზებს. კიეველებმა ტაიმის პირველი ნახევრის შემდეგ უპირატესობა იგდეს ხელთ. შეტევები გაახშირეს და მეტოქის კარისკენ რამდენჯერმე შორიდან დაარტყეს. ერთ-ერთი ასეთი ძლიერი გასროლა 45-ე წუთზე ხაცკევიჩის გოლით დასრულდა. ფორვარდმა დაახლოებით 22 მეტრიდან ზუსტად დაარტყა, „კრივბასის" მეკარემ მისკენ წასული დაბალი ბურთი ვერ მოიგერია — 1:0.

შეხვედრა პირველი წუთებიდან მხოლოდ ერთმა ქართველმა, კახა კალაძემ დაიწყო. 71-ე წუთზე კი მოედანზე გიორგი დემეტრაძეც გამოჩნდა. მან შაცკიხი შეცვალა. ჩვენებურმა გამოსვლისთანავე იაქტიურა და „კრივბასის" კარს არაერთი ხიფათი შეუქმნა, გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და არ ჩათვალა.

— კარგი ფინალი გამოდგა — განაცხადა „კრივბასის" თავკაცმა გენადი ლიტოვჩენკომ და დასძინა — შეხვედრამ ინტრიგა ბოლო წუთებამდე შეინარჩუნა, მაგრამ სასწაული არ მოხდა. „დინამო" ზოგჯერ გვჯობდა, შედეგიც ამან განაპირობა. მსაჯობის დონით კმაყოფილი ვარ, მინდვირის მდგომარეობით კი არა. გაზონი მატჩის წინ მორწყეს, მაგრამ არ გაკრიჭეს.

26-ე ტური: ვორსკლა — შახტარი 0:3; დნიპრო — მარიუპოლი 1:0; ტავრია — ნივა 1:1; ზირკა — ცსკა 0:0; მეტალურგი — მეტალისტი 1:1; ჩორნომორეცი — კარპატი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 22 | 3 | 0 | 69:15 | 69 |
| შახტარი | 26 | 17 | 3 | 6 | 47:12 | 54 |
| კრივბასი | 25 | 16 | 6 | 3 | 4822 | 54 |
| ვორსკლა | 26 | 13 | 7 | 6 | 45:26 | 46 |
| მეტალისტი | 26 | 11 | 6 | 9 | 37:32 | 39 |
| მეტალურგი | 26 | 9 | 10 | 7 | 31:27 | 37 |
| კარპატი | 26 | 11 | 3 | 12 | 33:31 | 36 |
| ზაპოროჟიე | 25 | 9 | 8 | 8 | 32:28 | 35 |
| ცსკა | 26 | 8 | 8 | 10 | 2829 | 32 |
| მარიუპოლი | 26 | 9 | 3 | 14 | 35:42 | 30 |
| დნიპრო | 26 | 7 | 8 | 11 | 21:42 | 29 |
| ტავრია | 26 | 6 | 8 | 12 | 29:43 | 26 |
| პრიკარპატიე | 25 | 6 | 7 | 12 | 21:36 | 25 |
| ნივა | 26 | 4 | 10 | 12 | 31:53 | 22 |
| ჩორნომორეცი | 26 | 5 | 7 | 14 | 13:42 | 22 |
| ზირკა | 26 | 0 | 9 | 17 | 11:51 | 9 |

## ინგლისი

### პლეი ოფი. ფინალი

I დივიზიონი

**ბარნსლი 2:4 იფსვიჩი**

1:0 რ. რაიტი (6ს.კ.), 1:1 მოუბრეი (28), 1:2 ნეილორი (51), 1:3 სტიუარტი (58), 2:3 ჰინეტი (78პ), 2:4 როიზერი (90)

*ახალი სეზონიდან „იფსვიჩი" პრემიერლიგაში ითამაშებს*

II დივიზიონი

**უიგანი 2:3დ.დ. (1:1) ჯილინგემი**

0:1 მაკგიბონი (36ს.კ.), 1:1 ჰავორტი (53), 2:1 ბარლოუ (99პ), 2:2 ბატლერი (113), 2:3 ტომსონი (118)

*ახალი სეზონიდან „ჯილინგემი" I დივიზიონში ითამაშებს*

III დივიზიონი

**დარლინგტონი 0:1 პიტერბრო**

0:1 კლარკი (74)

*ახალი სეზონიდან „პიტერბრო" II დივიზიონში ითამაშებს*

## შვედეთი

მე-8 ტური. ჰალმსტადი — იორებრო 0:1; გიოტებორგი — ნორჩიოპინგი 2:2; ტრელებორგი — ჰამარბი 1:2; ელფსბოგი — იორგრიტე 4:1; გაის — აიკ 1:2; ჰელსინგბორგი — სუნდსვალი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 8 | 6 | 0 | 2 | 16:6 | 18 |
| აიკ | 8 | 5 | 1 | 2 | 9:8 | 16 |
| გიოტებორგი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:7 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 14 |
| ჰამარბი | 8 | 4 | 1 | 3 | 88 | 13 |
| იორებრო | 8 | 3 | 3 | 2 | 14:11 | 12 |
| იორგრიტე | 8 | 4 | 0 | 4 | 810 | 12 |
| ნორჩიოპინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| სუნდსვალი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| ტრელებორგი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:7 | 10 |
| ელფსბორგი | 8 | 3 | 0 | 5 | 11:11 | 9 |
| ჰაკენი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:16 | 5 |
| გაის | 8 | 0 | 4 | 4 | 6:13 | 4 |
| ფრიოლუნდა | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |

## შოტლანდია

### თასის ფინალი

**აბერდინი 0:4 რეინჯერსი**

0:1 ვან ბრონკჰორსტი (36), 0:2 ვიდმარი (47), 0:3 დოდსი (49), 0:4 ალბერტცი (51)
აბერდინი: ლეიტონი (უინტერსი 3), ვაიტი, სოლბერგი, ჯესი, დოუ, ბერნარდი, ანდერსონი (ბელაბედი 41), როუსონი, ჟუნტვეტი, მაკალისტერი, სტავრუმი (ზერუალი 68)
მწვრთნელი: ებე სკოვდალი
რეინჯერსი: კლოსი, კ. რეინა, მური (პორინი 71), ვიდმარი, ნუმანი, ბ. ფერგიუსონი, კანჩელსკისი, ვან ბრონკჰორსტი (თუგაი 73), დოდსი, უოლესი (მაკკანი 66), ალბერტცი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: ვაიტი, ბერნარდი
მსაჯი: ჯ. მაკკლოსკი
52 000 მაყურებელი

ერთი თვის წინ მოპოვებულ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს შაბათს „რეინჯერსმა" შოტლანდიის თასიც შემატა და დუბლი შეასრულა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ შოტლანდიაში დღესდღეობით საუკეთესო გუნდი „რეინჯერსია" და დიკ ადვოკაატის ბიჭებს კონკურენციას ჯერჯერობით ვერავინ უწევს.

ფინალი „ჰემპდენ პარკზე" გაიმართა. „რეინჯერსი" „აბერდინს" დაუპირისპირდა. დედაქალაქელებმა 4:0 მოიგეს და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლნენ.

შეხვედრის მესამე წუთზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, რამაც ყველა შეაშფოთა. გლაზგოელ როდ უოლესთან შეჯახების შემდეგ „აბერდინის" ვეტერანმა მეკარემ ჯიმ ლეიტონმა მძიმე ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

ლეიტონი, რომელიც ივლისში 42 წლისა გახდება, ფინალის შემდეგ დიდ ფეხბურთს უნდა გამოთხოვებოდა, იგი გუნდის მეკარეთა მწვრთნელად მუშაობას აპირებს. კარიერის ამგვარ დრამატულ დასასრულს იგი, ცხადია, არ ელოდა. გამოცდილი გოლკიპერი ფინალამდე ამბობდა: „კარიერას საცაა დავასრულებ. „ჰემპდენ პარკზე" რამდენჯერმე მითამაშია, ყველა ეს შეხვედრა ჩემთვის ღირსშესანიშნავია, მაგრამ მომავალი ფინალური მატჩი განსაკუთრებული იქნება".

ლეიტონი უაღრესად გამოცდილი მეკარეა, თითქმის ოცდახუთწლიანი კარიერის განმავლობაში პროფესიონალურ დონეზე 800-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა, შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მაისურა 91-ჯერ მოირგო და სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა.

და ყოველივე ამის შემდეგ ასეთი უიღბლობა — მატჩი ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ უოლესი და ლეიტონი ერთმანეთს შეენარცხნენ. ყველაფერი ლეიტონის ტრავმით დასრულდა.

უცნაურია, „აბერდინს" სათადარიგო მეკარე არც ჰყოლია. რაღას გააწყობდნენ, გოლკიპერის ხელთათმანი თავდამსხმელმა რობი უინტერსმა მოირგო. მან ნახევარი საათი ხელშეუხებლად შეინარჩუნა კარი, მერე კი „რეინჯერსის" შეტევებს ველარ გაუძლო და 4 გოლი გაუშვა.

გამარჯვებით გაიხარა გლაზგოელთა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა, თუმც ლეიტონის ტრავმის გამო სინანული გამოთქვა: „მატჩის შედეგით და თასის მოპოვებით ნამდვილად ვისიამოვნე, მაგრამ რაც ჯიმის დაემართა, გულდასაწყვეტია. მესამე წუთის შემდეგ ყველაფერი გადაწყდა, მინდვრის მოთამაშემ კარი ველარ დაიცვა. ლეიტონი ჩინებული გოლკიპერი იყო და დიდ ფეხბურთს ასე არ უნდა გამოთხოვებოდა" — განაცხადა ჰოლანდიელმა.

## ინგლისი 1:1 ბრაზილია

1:0 ოუენი (39), 1:1 ფრანკა (45)
ინგლისი: სიმენი, გ.ნევილი, კიოუნი, კემპბელი, ფ. ნევილი, ბექემი, ინსი (პარლოუ 60;. ბარმბი 90), უაიზი, სქოულზი, ოუენი (ფილიპსი 84), შირერი (ფაულერი 84)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ბრაზილია: დიდა, კაფუ, ალდაირი, ძაგო (ემერსონ სილვა 81), ემერსონ ფერეირა, სეზარ სამპაიო, სილვინიო (რობერტო კარლოსი 60), ზე რობერტო, რივალდო, ამოროზო (დენილსონი 68), ფრანკა
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუქსემბურგო
მსაჯი: რიჩარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
73 956 მაყურებელი

„ძალიან ბევრი პლუსი დავინახე, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ რალაცრალაცეები დასამუშავებელია“ — განაცხადა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა კევინ კიგანმა ბრაზილიასთან ამხანაგური თამაშის შემდეგ — „ვგონებ, უკეთესადაც შეგვიძლია თამაში. კაცმა რომ თქვას, თავი ჩინებულად დავიცავით და საერთოდაც, მე თუ მკითხავთ, მოწინააღმდეგეს ვჯობდით. რაც შეეხება სამომავლო სამუშაოს, როგორც ამ მატჩმა გვაჩვენა, დაცვიდან ბურთის წინ გადაგდებასა და აუტის ჩაწოდებას მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ“.

მოგეხსენებათ, მეტოქეებმა ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს: ინგლისელთაგან მაიკლ ოუენმა ერთხელაც გამოავლინა უმაღლესი დონის ინდივიდუალური ოსტატობა, ხოლო ბრაზილიელებმა მასპინძელთა მეკარის, დევიდ სიმენის შეცდომით ისარგებლეს.

„ოუენმა ჩინებული გოლი შეაგდო. ის ღირსია მატჩის გმირად დავასახელოთ. გარდა ეფექტისა, მან გაწეული სამუშაოთი ფრიად მომაწონა თავი. მართალია, ორიოდ ეპიზოდში უკეთესი გაგრძელება ვერ იპოვნა, მაგრამ არა უშავს, ჯერ ახალგაზრდაა და, რაც მთავარია, ეტყობა, რომ სწავლა სწყურია“ — დასძინა მწვრთნელმა.

საკუთრივ ოუენი თავისმა გოლმა ერთობ გაახარა: „მსოფლიოს საუკეთესო გუნდის, ბრაზილიის კარში გოლის გატანა დიდი მიღწევაა. ბედნიერი გახლავართ“.

ზოგადად, პირველი ტაიმი გაცილებით კარგი სანახავი გამოდგა, ვიდრე მეორე.



ინგლისი — ბრაზილია 1:1. მაიკლ ოუენმა სამი ბრაზილიელი გააბითურა და ბრაზილიურ სტილში შეაგდო

REUTERS ლონდონიდან

## ჰოლანდია 2:1 რუმინეთი

1:0 ოვერმარსი (43), 2:0 კლუივერტი (68), 2:1 მოლდოვანი (70)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, სტამი (კონტერმანი 46), ფ. დე ბური, ზენდენი, ვინტერი, კოკუ, ზეედორფი, კლუივერტი (ვან ჰოიდონკი 85), ბერხკამპი (მაკაი 72), ოვერმარსი (ვან ფოსენი 89)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
რუმინეთი: ლობონტი, ფილიპესკუ (კონტრა 58), პოპესკუ, ჩებოტარიუ, ჩივუ, პეტრესკუ (დ.მუნტეანუ 46), ლინკარი, მალდარასანუ, მუტუ, ჰაჯი, მოლდოვანი (განეა 74)
მწვრთნელი: ემერიხ იენეი
მსაჯი: ტერი ჰოგი (ნორვეგია)
42 000 მაყურებელი

ფაქტი ასეთია: ჰოლანდიამ რუმინელებს 2:1 მოუგო, მაგრამ მის მწვრთნელს მაინც გაორებული გრძნობა დარჩა. ერთი ეჭვი ფრანკ რაიკაარდს თავდამსხმელებმა გაუჩინეს. ალბათ, მეტი უნდა გაეტანათ. მეორე ეჭვი კი ედგარ დავიდსის არყოფნამ შვა, მაგრამ იყო დადებითი ემოციაც — დენის ბერხკამპმა კარგად ითამაშა.

დავიდსის ამბავი ასეა: მაშინ, როდესაც დაულალავ ნახევარმცველს ყველა მოედნის შუაში ელოდა, მან საავადმყოფოში ამოჰყო თავი, რადგან ფეხის ფრჩხილი თითში შეეზარდა. შესაბამისად, დავიდსი კიდევ რვა დღის განმავლობაში ვერ ითამაშებს და ვერც ივარჯიშებს, რაც ჯეფრი ტალანის ტრავმის ფონზე მდგომარეობას ართულებს. რაიკაარდს 22 ფეხბურთელის დასახელება უჭირს.

„არა, გუნდის ძლიერებაში ეჭვი არ მეპარება, უბრალოდ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნათელი შეხედულება მინდა შევიქმნა“ — განაცხადა რაიკაარდმა.

და მაინც, მწვრთნელი ძირითადად კმაყოფილი დარჩა. მან თქვა: „დასაწყისი კარგი გვქონდა. რუმინეთის ნაკრები მაღალი კლასის ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული ძლიერი გუნდია, რომელიც დავამარცხეთ. პირველ ტაიმში შევუტიეთ, რაც გამარჯვებისთვის ასე აუცილებელია, შესვენების შემდეგ კი უკან დავიხიეთ და მეტოქის თამაში მოვკალით“.

რაიკაარდმა საგანგებოდ აღნიშნა ლონდონის „არსენალის“ თავდამსხმელი დენის ბერხკამპიც. თქვა, რომ იგი ისეთ ფორმაშია, საუკეთესო წლებში რომ იყო.

რაც შეეხება რუმინელთა თავკაცს, ემერიხ იენეის, იგი დაღვრემილი ჩანდა. მართალია განაცხადა, რომ მისი გუნდი ყველა რგოლში გაძლიერდა, მაგრამ დასძინა:

„ვიმედოვნებ, მომავალში უფრო გავძლიერდებით“.

## ხორვატია 0:2 საფრანგეთი

0:1 პირესი (23), 0:2 ტრეზეგე (70)
ხორვატია: ლადიჩი (პავლოვიჩი 10), რ. კოვაჩი (სარიჩი 46), იარნი, სოლდო, შტიმაცი, სიმიჩი, ასანოვიჩი, სტანიჩი (ბუბალო 89), შუკერი, ნ. კოვაჩი, ბოკშიჩი (ვუკო 46)
მწვრთნელი: მიროსლავ ბლაჟევიჩი
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი (ლებეფი 75), დესაი, ლიზარაზუ, დეშამპი, პეტი (ვიეირა 46), ზიდანი (კანდელა 82), პირესი (ტრეზეგე 46), ვილტორდი, ანრი (მიკუ 61)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
მსაჯი: ფრიც სტუჩლიკი (ავსტრია)
15 000 მაყურებელი

ზაგრებში ერთობ საინტერესო შეხვედრა ჩატარდა: ევრო 2000-ის ერთერთმა ფავორიტმა, საფრანგეთის ნაკრებმა ლამაზად მოთამაშე, მაგრამ ასაკოვან ხორვატიას 2:0 მოუგო. რობერ პირესისა და შეცვლაზე შესული დავიდ ტრეზეგეს გოლებმა მსოფლიოს ჩემპიონებს ბელგია-ჰოლანდიაში წასვლის წინ მხნეობა შემატა, ხოლო მაყურებელს გაახსენა ორი წლის წინანდელი ამბავი — ამავე გუნდების დაპირისპირება მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, მაშინაც საფრანგეთმა მოიგო, ოღონდ ხორვატებმა ერთი საპასუხო გოლის შეგდება მოახერხეს.

ამ და იმ შეხვედრებს შორის უმთავრესი მსგავსება ძნელი შესამჩნევი თვით თამაშის დაწყებამდეც არ გახლდათ. საკმარისი იყო შემადგენლობებს გაცნობოდით, რომ შენიშნავდით — ორი წლის წინანდელი მატჩის მონაწილე 22 ფეხბურთელიდან 15 ამჯერადაც მოედანზე იდგა: 7 ფრანგი და 8 ხორვატი.

რაც შეეხება განსხვავებას, იგი ასეთი იყო: ახლა საფრანგეთის ნაკრებს პირველივე წუთიდან ეტყობოდა, რომ მოიგებდა.

შემდეგ ასეთი რამ მოხდა: მე-10 წუთზე მასპინძლებმა გოლკიპერი, დრაჟენ ლადიჩი შეცვალეს. ლადიჩისთვის ეს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 59-ე და ბოლო მატჩი გახლდათ. ამას მეტყველებდა მაისურაზე აღნიშნული ნომერიც — 59. მოედნისა და ნაკრების დატოვების ცერემონიალმა დაახლოებით 5 წუთს გასტანა და ხორვატ ფეხბურთელთა სათითაოდ, ორივე ლოყაზე გადაკოცნისგან შედგებოდა. ამ დროს ხალხი ფეხზე იდგა, ხოლო მეკარეს უზარმაზარი თაიგული ეპყრა.

თამაში რომ განახლდა, ლადიჩის შემცვლელ ჟელკო პავლოვიჩს მალევე მოუხდა საქმეში ჩართვა. ზინედინ ზიდანის გამჭოლ პასთა წყალობით ფრანგი ფორვარდები, სილვენ ვილტორდი, ტიერი ანრი და რობერ პირესი ხელსაყრელ პოზიციაში ხვდებოდნენ, მაგრამ ხორვატი მეკარის გასახარად ხან ვილტორდი ვერ ახერხებდა შეტევის ზუსტად გაგრძელებას, ხან ბურთი მიზანს ცდებოდა და ხანაც თანამსაჯი თამაშგარეს სწევდა.

23-ე წუთზე ანგარიში მაინც გაიხსნა: ანრის მორიგი შეტევა ისევ ულონო დარტყმით დამთავრდებოდა, რომ არა რიკოშეტი, რომლის წყალობითაც ბურთი ვილტორდს მიუგორდა, ამან ბურთი პირესს გადაუგდო და გოლიც გამოიძერწა.

გოლმა ხორვატები თითქოს გამოაცოცხლა და 35-ე წუთზე ანგარიში ლამის გათანაბრდა კიდეც: რობერტ იარნის დაწყებული შეტევა ლამაზი, თითოშეხებიანი პასებით გაგრძელდა, რაც ნიკო კოვაჩის დარტყმით და ფაბიენ ბარტეზის სამეკარეო ოსტატობის დემონსტრაციით დასრულდა.

მეორე ტაიმში შემადგენლობათა ცვლილებებმა თამაშის რიტმი მართალია არია, მაგრამ საბოლოოდ ინიციატივა მაინც სტუმრებმა დაიტოვეს. იყო კიდევ ერთი მომენტი, როდესაც დავორ შუკერის დარტყმული ძელს მოხვდა, ასხლეტილი სტანიჩს მიუვიდა და სტანიჩმა ისევ ძელს გაარტყა.

ხოლო 70-ე წუთზე დავიდ ტრეზეგემ ვილტორდის პასით დაუცველ კარში შეაგდო.

„ჩვენ დღეს მეტოქეს ვჯობდით და გამარჯვება გვეკუთვნოდა“ — აბა ვინ იტყოდა ამ სიტყვებს? არა, ეს საფრანგეთის ნაკრების თავკაც როჟე ლემერს არ უთქვამს, ხორვატმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა განაცხადა, რომელსაც „მაქსიმირზე“ იმ დღეს უსტვინეს.



REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდია — რუმინეთი 2:1. მასპინძელი არონ ვინტერი რუმინელ მარიუს მალდარასანუს ჰოლანდიურად გადაიფრენს

## ნორვეგია 2:0 სლოვაკეთი

1:0 სოლსკიაერი (21), 2:0 ივერსენი (84)
ნორვეგია: მირე (ოლსენი 46), ბერგდოლმო, ბრაგსტადი, ბერგი, ჰეგემი (რისეტი 65), ე. ბაკე (სტრანდი 58), მიუკლანდი (ივერსენი 65), სოლბაკენი (რეკდალი 88), ფლო, სოლსკიაერი, კარეუ (რიისე 76)
მწვრთნელი: ნილს იოჰან სემბი
სლოვაკეთი: სუსკო, დჟურიკი (ნემეტი 84), ლეიტნერი, ტიმკო, ვარგა, კარჰანი, ვალახოვიჩი, კოჟუხი (ფაბუსი 70), სლოვაკი (პინტე 88), დუბოვსკი, მორავჩიკი (უილაკი 32)
მწვრთნელი: იოზეფ ადამეცი
16 518 მაყურებელი

ნორვეგიელთა [illegible] პროგრამა ოსლოში სლოვაკთა 2:0 დამარცხებამ გაალამაზა. გოლები ოლეგუნარ სოლსკიაერმა და სტეფან ივერსენმა გაიტანეს. ივერსენი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ნაკრებში თავისი მეხუთე გოლი შეაგდო. რაც შეეხება სოლსკიაერს, მან 21-ე წუთზე გახსნა ანგარიში.

ნორვეგიელთა შემადგენლობაში ნილს იოჰან სემბმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა. კერძოდ, კარში „სევილიას“ გოლკიპერის, ფროდე ოლსენის ნაცვლად თომას მირე ჩააყენა, ხოლო თავდასხმაში სამი მოთამაშე გაამწესა: სოლსკიაერი, ტორე ანდრე ფლო და „ვალენსიაში“ ახალგადასული იონ კარეუ. ფლო პარტნიორებზე წინ მოქმედებდა, ხოლო სოლსკიაერი და კარეუ ნახევარდაცვასა და ფრონტის ხაზს შორის მოძრაობდნენ, თანაც ფრთებზე.

ოსლოელი ქომაგების წახალისებული ნორვეგიელები თამაშის დასაწყისში ინიციატივას დაეუფლენ, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტი მხოლოდ ერთხელ შექმნეს: კარეუმ ანდრე ბერგდოლმოს პასით თავური დაარტყა, მაგრამ ბურთი პირდაპირ მეტოქის გოლკიპერს მოხვდა.

სლოვაკებს მე-16 წუთზე ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, როდესაც პეტერ დუბოვსკიმ საჯარიმოდან, 25 მეტრიდან სულ ოდნავ ააცილა ბურთი მიზანს.

შემდეგ კი ნორვეგიელებმა ანგარიში გახსნეს. „ლიდს იუნაიტედის“ ნახევარმცველ ერიკ ბაკეს, კარეუსა და ჰენინგ ბერგის წამოწყებული შეტევა მცველებმა წესის დარღვევით შეაწყვეტინეს ხოლო თერთმეტმეტრიანი დარტყმა სოლსკიაერმა შეასრულა.

სოლსკიაერს 34-ე წუთზე მეორე გოლის გატანაც შეეძლო. თანაკლუბელ ბერგთან კომბინაციის გათამაშების შემდეგ დაარტყა კიდეც, მაგრამ მეკარემ აუღო.

მეორე ტაიმში, 71-ე წუთზე კარეუმ ვერ გაიტანა, 74-ზე კარჰანმა ვერ გაათანაბრა, შემდეგ, 76-ზე, ისევ კარეუმ ააცილა (აშკარა საგოლე მომენტი გახლდათ), ხოლო ბოლოს, 84-ე წუთზე, ბერგდოლმოს კუთხურიდან განვითარებული ეპიზოდი ივერსენის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

ნილს იოჰან სემბი: „პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მეორეში მეტოქეს ჯეროვნად ვერ შევუშალეთ ხელი, რამაც გამანაწყენა. ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც ესპანეთსა და იუგოსლავიასთან მოგვიწევს თამაში, ამაზე უკეთ თუ ვერ ვიმოქმედებთ, ცუდი იქნება“.

## კორეა 0:0 იუგოსლავია

იუგოსლაველთა აზიური ტურნე აშკარად უსიამოვნოდ გაგრძელდა — სეულში 0:0 სამხრეთ კორეასთან. ერთი ხნის წინ ჩინელთა 2:0 დამარცხების შემდეგ სამხრეთ სლავებმა უფერულად ითამაშეს და რომ არ წააგეს, მადლობელნი უნდა იყვნენ. მე-13 წუთზე კო იონგ სუს ჩინებული შესაძლებლობა რომ გამოეყენებინა და ბურთი ხარიხისთვის არ გადაეცილებინა, გამარჯვება უთუოდ მასპინძლებს დარჩებოდათ.

თუმცა, განა მხოლოდ ეს მომენტი იყო? იუგოსლავიელებმა თამაში ისე მძიმედ დაიწყეს, რომ აზიელებმა ძელსაც მოარტყეს ბურთი.

მართალია, შესვენების შემდეგ მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და ყოფილმა სოციალისტებმა რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ იმ დღეს ისინი გოლის შეგდებისგან შორს იყვნენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: კორეელები სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადებიან და ამიტომ მოედანზე ძირითადად ახალგაზრდული ნაკრები გაეყვანათ.

## მალტა 0:1 სამხრეთ აფრიკა

0:1 მნგუმნი (89)
მალტა: ბერი, ტეუმა, კარაბოტი, დიმეჩი, დებონო, ბუტიგეგი, კ. ბუზუტილი (ჰოლანდი 78), ტურნერი (აზოპარდი 88), ბრინკატი, ნვოკვო (აგიუსი 46), მიფსუდი
სამხრეთ აფრიკა: არენდსე, ნზამა, სიხაბა, რაბუტლა, ლეკგეტო, მკალელე, ზვანე, მნგუმნი, ნგობე (ისა 81), ბაკლი (საბულა 63), მაიო
მსაჯი: სტივ დანი (ინგლისი)
1 500 მაყურებელი

## საბერძნეთი

34-ე ტური. იონიკოსი – ქსანტი 2:1; აპოლონი – ეთნიკოსი 0:1; არისი – ოფი 3:1; კავალა – პანათინაიკოსი 1:4; პანილიაკოსი – პრუდეფტიკი 4:0; პანიონიოსი – ირაკლისი 2:2; ტრიკალა – პაოკ 3:5; ოლიმპიაკოსი – პანაჰაიკი 5:1; აეკ – კალამატა 6:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 34 | 30 | 2 | 2 | 86:18 | 92 |
| პანათინაიკოსი | 34 | 28 | 4 | 2 | 92:24 | 88 |
| აეკ | 34 | 20 | 6 | 8 | 69:39 | 66 |
| ოფი | 34 | 18 | 9 | 7 | 60:44 | 63 |
| პაოკ | 34 | 15 | 10 | 9 | 64:44 | 55 |
| არისი | 34 | 14 | 8 | 12 | 50:46 | 50 |
| ირაკლისი | 34 | 15 | 5 | 14 | 58:58 | 50 |
| პანიონიოსი | 34 | 14 | 3 | 17 | 50:63 | 45 |
| კალამატა | 34 | 12 | 8 | 14 | 41:57 | 44 |
| ქსანტი | 34 | 11 | 8 | 15 | 36:43 | 41 |
| იონიკოსი | 34 | 10 | 11 | 13 | 40:50 | 41 |
| ეთნიკოსი | 34 | 12 | 5 | 17 | 33:50 | 41 |
| პანილიაკოსი | 34 | 12 | 4 | 18 | 44:48 | 40 |
| პანაჰაიკი | 34 | 9 | 12 | 13 | 37:47 | 39 |
| კავალა | 34 | 8 | 6 | 20 | 33:66 | 30 |
| პრუდეფტიკი | 34 | 7 | 7 | 20 | 27:55 | 28 |
| აპოლონი | 34 | 6 | 6 | 22 | 30:59 | 24 |
| ტრიკალა | 34 | 5 | 6 | 23 | 35:74 | 21 |

## პოლონეთი

30-ე ტური. ლეხი – გროცლინი 0:0; რაძიონკოვი – პოგონი 1:0; პლოცკი – პოლონია 2:1; ვიძევი – სტომილი 2:2; ოდრა – რუხი 2:2; ლეგია – ვისლა 0:2; ამიცა – ლკს 2:1; ზაგლებე – გურნიკი 2:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 30 | 20 | 5 | 5 | 56:25 | 65 |
| ვისლა | 30 | 16 | 8 | 6 | 64:38 | 56 |
| რუხი | 30 | 15 | 10 | 5 | 53:32 | 55 |
| ლეგია | 30 | 14 | 10 | 6 | 53:34 | 52 |
| ზაგლებე | 30 | 12 | 9 | 9 | 42:37 | 45 |
| ამიცა | 30 | 11 | 11 | 8 | 43:37 | 44 |
| ვიძევი | 30 | 11 | 7 | 12 | 48:54 | 40 |
| ოდრა | 30 | 10 | 7 | 13 | 34:38 | 37 |
| რაძიონკოვი | 30 | 11 | 4 | 15 | 38:48 | 37 |
| სტომილი | 30 | 8 | 13 | 9 | 33:43 | 37 |
| გროცლინი | 30 | 11 | 3 | 16 | 29:46 | 36 |
| პოგონი | 30 | 8 | 10 | 12 | 42:53 | 34 |
| პლოცკი | 30 | 9 | 7 | 14 | 35:48 | 34 |
| გურნიკი | 30 | 8 | 8 | 14 | 42:41 | 32 |
| ლკს | 30 | 7 | 7 | 16 | 28:42 | 28 |
| ლეხი | 30 | 6 | 7 | 17 | 34:57 | 25 |

## ლატვია

თასის ფინალი

**სკონტო 4:1 მეტალურგი**

1:0 რუბინსი (8), 2:0 კოლესნიჩენკო (33), 3:0 სტრადინი (52ს.კ.), 4:0 რუბინსი (63), 4:1 ვერპაკოვსკისი (83)

სკონტო: კოლინკო, სტეპანოვსი, ლაიზანსი, ლობანიოვსი, სამუსევასი, მენთეშაშვილი (კორღალიძე 67), რეხვიაშვილი, ბუიტკუსი (ტერეშკინასი 76), რუბინსი, კოლესნიჩენკო (ბლაგონადეჟდინი 75), ჩალაძე

მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვი

მსაჯი: ა. სიპაილო

3 000 მაყურებელი

## ბელარუსი

თასის ფინალი

**სლავია 2:1 ტორპედო მაზი**

0:1 ომელიანჩუკი (42), 1:1 სტრიპეიკისი (77), 2:1 ვასილიუკი (90)

## აზერბაიჯანი

თასის ფინალი

**ქიაფაზი 2:1 ყარაბაღი**

0:1 ბაგიროვი (10), 1:1 მამედოვი (63), 2:1 ახმედოვი (81)

## სომხეთი

თასის ფინალი

**მიკა 2:1 ზვარტნოცი**

1:0 მკრტიჩიანი (32), 1:1 ავანესიანი (43), 2:1 ნურდიკიანი (75)

## ლუქსემბურგი

თასის ფინალი

**ჟენესი 4:1 მონდერკანჟი**

1:0, 2:0, 3:0 ლამბორელი (16, 27პ, 71), 3:1 კრისტოფი (84), 4:1 მოროკუტი (86)

4 000 მაყურებელი

## ავსტრია

36-ე ტური. ტიროლი – აუსტრია 2:1; რიდი – შტურმი 1:1; რაპიდი – ლინცერი 0:1; გრაცერი – ბრეგენცი 0:4; ლუსტენაუ – ზალცბურგი 0:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 36 | 24 | 5 | 7 | 54:30 | 77 |
| შტურმი | 36 | 22 | 8 | 6 | 77:32 | 74 |
| რაპიდი | 36 | 20 | 6 | 10 | 59:29 | 66 |
| აუსტრია | 36 | 16 | 6 | 14 | 49:44 | 54 |
| რიდი | 36 | 15 | 8 | 13 | 56:39 | 53 |
| ზალცბურგი | 36 | 12 | 10 | 14 | 39:45 | 46 |
| გრაცერი | 36 | 12 | 6 | 18 | 41:62 | 42 |
| ლინცერი | 36 | 10 | 9 | 17 | 41:49 | 39 |
| ბრეგენცი | 36 | 10 | 5 | 21 | 39:73 | 35 |
| ლუსტენაუ | 36 | 4 | 7 | 25 | 22:74 | 19 |

## დანია

33-ე ტური. ჰერფიოლგე – კოპენჰაგენი 1:1; ორჰუსი – ვიბორგი 0:4; ბრონდბიუ – ოლბორგი 1:0; ესბიერგი – სილკებორგი 0:3; ლიუნგბიუ – აკადემისკი 0:2; ვაილე – ოდენსე 0:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 33 | 16 | 8 | 9 | 52:49 | 56 |
| ბრონდბიუ | 33 | 15 | 9 | 9 | 56:37 | 54 |
| აკადემისკი | 33 | 14 | 10 | 9 | 52:35 | 52 |
| ვიბორგი | 33 | 15 | 7 | 11 | 56:50 | 52 |
| ოლბორგი | 33 | 12 | 13 | 8 | 57:40 | 49 |
| სილკებორგი | 33 | 13 | 10 | 10 | 49:33 | 49 |
| ლიუნგბიუ | 33 | 14 | 5 | 14 | 51:55 | 47 |
| კოპენჰაგენი | 33 | 12 | 8 | 13 | 44:37 | 44 |
| ოდენსე | 33 | 11 | 10 | 12 | 42:44 | 43 |
| ორჰუსი | 33 | 9 | 9 | 15 | 37:56 | 36 |
| ვაილე | 33 | 7 | 11 | 15 | 38:68 | 32 |
| ესბიერგი | 33 | 8 | 4 | 21 | 41:71 | 28 |

## უნგრეთი

32-ე ტური: ნიირშეგი — დიორ ეტო 2:1; დებრეცენი — მტკ 3:1; უიპეშტი — ვაცი 1:0; ტატაბანია — ზალაეგერსეგი 2:1; ნადიკანიჟა — პეჩი 1:1; შიოფოკი — ვაშაში 0:1; ფერენცვაროში — ჰალადაში 6:2; დიოშდიორი — დუნაფერი 23-ე წუთზე მატჩი ჩაიშალა, „დუნაფერი“ იგებდა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 31 | 23 | 7 | 1 | 76:23 | 76 |
| მტკ | 32 | 18 | 9 | 5 | 64:28 | 63 |
| ვაშაში | 32 | 19 | 4 | 9 | 58:32 | 61 |
| ტატაბანია | 32 | 14 | 13 | 5 | 37:34 | 55 |
| ფერენცვაროში | 32 | 14 | 8 | 10 | 61:39 | 50 |
| დებრეცენი | 32 | 14 | 8 | 10 | 52:41 | 50 |
| პეჩი | 32 | 11 | 12 | 9 | 41:47 | 45 |
| დიორ ეტო | 32 | 12 | 8 | 12 | 52:36 | 44 |
| უიპეშტი | 32 | 11 | 11 | 10 | 47:39 | 44 |
| ნიირშეგი | 32 | 12 | 8 | 12 | 32:42 | 44 |
| ზალაეგერსეგი | 32 | 8 | 15 | 9 | 34:31 | 39 |
| ჰონვედი | 32 | 10 | 9 | 13 | 27:39 | 39 |
| ნადიკანიჟა | 32 | 7 | 10 | 15 | 27:44 | 31 |
| ჰალადაში | 32 | 7 | 8 | 17 | 34:54 | 29 |
| შიოფოკი | 32 | 7 | 7 | 18 | 26:51 | 25 |
| დიოშდიორი | 31 | 5 | 9 | 17 | 26:53 | 24 |
| ვაცი | 32 | 3 | 6 | 23 | 24:85 | 15 |

## რუსეთი

X ტური

**ლოკომოტივი 0:3 ჩერნომორეცი**

0:1 კუზმიჩევი (33), 0:2, 0:3 კოლესნიჩენკო (66, 78)

**კრილია 3:2 სატურნი**

1:0, 2:0 კაინოვი (18, 37), 2:1 ე. სმერტინი (46), 2:2 მედვედევი (69), 3:2 ტეტერინი (82)

**სპარტაკი 3:1 დინამო**

1:0 ტიტოვი (7), 1:1 გუსევი (43პ), 2:1 ბუზნიკინი (57), 3:1 კალინიჩენკო (82)

**ფაკელი 1:1 ნ. ნოვგოროდი**

1:0 ზახაროვი (22), 1:1 ტლეხუგოვი (80)

**როტორი 2:2 ანჟი**

1:0 ზერნოვი (25), 1:1 რანჯელოვიჩი (69), 2:1 მისინი (78), 2:2 რამაზანოვი (88)

**ალანია 1:0 ზენიტი**

1:0 პაულო ემილიო (31)

**ურალანი 2:3 ტორპედო**

0:1 ლუხვიჩი (28), 0:2 გაშკინი (39პ), 0:3 ავაქოვი (56), 1:3 დანჩენკო (78), 2:3 ჯეფერსონი (80)

**ცსკა 1:1 როსტსელმაში**

1:0 კულიკი (17პ), 1:1 კირიჩენკო (75)

სეზონის დაწყებამდე რუსი სპეციალისტები აცხადებდნენ, „ლოკომოტივი“ „სპარტაკს“ ტიტულს ჩამოართმევსო. თავიდან საქმე აქეთკენ მიდიოდა, მაგრამ ბოლო ორი ტურია, რკინიგზელებს რაღაც დაემართათ, ჯერ ფრედ ითამაშეს, ახლა კი დამარცხდნენ, თანაც სამარცხვინოდ. აბა, შინ 0:3 წაგებას სხვა რა ეთქმის. მისი მძლეველი „ჩერნომორეცი“ კი რეკორდის დამყარებას აპირებს. საქმე ისაა, რომ ნოვოროსიისკელებმა წლეულს ხუთიდან ოთხ დედაქალაქურ გუნდს სძლიეს და 12 ივნისს „სპარტაკიც“ თუ დაჯაბნეს, სენსაციური მიღწევა იქნება. კლუბის მწვრთნელი ანატოლი ბაიდაჩნი ამბობს: „ლოკომოტივს“ მოვუგეთ, „სპარტაკთან“ იგივეს გაკეთება რატომ ვერ უნდა შევძლოთ? ჩვენი წარმატებული თამაშის საიდუმლო? — ფეხბურთელებს ვეუბნები, შვილები რომ გკითხავენ, მამა, რა მოგიგიაო, რას უპასუხებთ? ხომ არ ეტყვით, შვილო, მუდამ აუტსაიდერთა შორის ვიყავიო. ჰოდა, ბიჭებიც თამაშობენ“.

ეტყობა, „ალანიას“ ახალმა თავკაცმა ალექსანდრ ავერიანოვმაც რაღაც უთხრა ფეხბურთელებს. გუნდმა თამაშის ხარისხი გააუმჯობესა და სანკტპეტერბურგელებს მინიმალური ანგარიშით სძლია. ისინი ნელ-ნელა სახიფათო ზონიდან თავის დაღწევას ცდილობენ.

წინა უქმეებზე რუსეთის თასის ფინალის მიმოხილვა უფრო ეთნოკონფლიქტებზე საუბარს ჰგავდა. შეგახსენებთ, მოსკოველ არმიელთა პრეზიდენტმა შახრუდი დადახანოვმა განაცხადა, ჩეჩენი რომ ვარ, მსაჯები გუნდსაც ამიტომ მიჩაგრავენო. ასეა თუ არა, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია, ცსკა-მ უკვე ცხრა საჩივრის შეტანა მოასწრო სადისციპლინო კომისიაში და მათგან ექვსი კომისიამ სამართლიანად ცნო, თუმცა დაკარგულ ქულებს და თასს ვინლა დაუბრუნებდა. კლუბს ქომაგები ამოუდგნენ მხარში. მათ ფული შეკრიბეს და ათას დოლარად ღირებული ძვირფასი თასი შეიძინეს, რომელზეც სუვოროვის სიტყვები ამოატვიფრინეს: „*Не слыть, а быть*“. ეს საჩუქარი, როგორც ალტერნატიული თასი, „როსტსელმაშთან“ მატჩის მერე გულშემატკივრებმა არმიელთა კაპიტან ევგენი ვარლამოვს გადასცეს, პატივისცემისა და მხარდაჭერის ნიშნად.

როსტოველებთან შეხვედრაში კი კრასნოდარელი არბიტრი აშკარად გამოხატავდა სიმპათიას ცსკა-ს მიმართ, ალბათ, ფიქრობდა, ესენი მეც მიჩივლებენო. რუსული პრესის მიხედვით, მისი მსაჯობა არათუ ლოიალური, სუპერლოიალური იყო. მაგრამ რად გინდა — 81-ე წუთზე კულიკმა პენალტი გააფუჭა და მოსკოველები ფრეს დასჯერდნენ.

„ლუჟნიკიზე“ კი მილიციელთა განსაკუთრებული მოზღვავება იყო — „სპარტაკი“ „დინამოს“ ხვდებოდა. არეულობები მე-7 წუთიდან დაიწყო, როდესაც ტიტოვმა დინამოელთა კარში პირველი გოლი შეაგდო. თეთრ-წითელთა გახარებულმა ქომაგებმა ტრიბუნაზე ფოიერვერკი მოაწყვეს და ყვითელი გაზის ბურუსიც ჩამოწვა. როდესაც ღრუბლები გაიფანტა, სავალალო მდგომარეობა გამოჩნდა — აქედან ხელკეტიანი მილიციელები, იქიდან მოგლეჯილი სკამებით შეიარაღებული გულშემატკივრები დარეოდნენ ერთმანეთს. ამ გაწევ-გამოწევაში კი ყველაზე მეტად სტადიონი დაზარალდა — 4550 დოლარის ღირებულების 325 ინდივიდუალური სკამი თავიდან არის დასამონტაჟებელი. თავად თამაში კი ჩინებული სანახავი გამოდგა. 21 რეალური საგოლე მომენტი — ამ მაჩვენებლით ეს მატჩი რუსეთის ჩემპიონატის ისტორიაში მეორე ადგილზეა. სამით მეტი იყო წინა სეზონში, „ჟემჩუჟინა“ — „სპარტაკის“ შეხვედრაში, რომელიც მოსკოველებმა 7:3 მოიგეს.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 10 | 9 | 1 | 0 | 23:5 | 28 |
| ლოკომოტივი | 10 | 7 | 2 | 1 | 12:4 | 23 |
| ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 13:5 | 21 |
| ანჟი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:8 | 20 |
| ჩერნომორეცი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:4 | 18 |
| დინამო | 10 | 5 | 2 | 3 | 8:8 | 17 |
| როსტსელმაში | 11 | 2 | 6 | 3 | 7:7 | 12 |
| კრილია | 10 | 4 | 0 | 6 | 11:14 | 12 |
| სატურნი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:11 | 12 |
| ზენიტი | 11 | 3 | 3 | 5 | 7:11 | 12 |
| როტორი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:19 | 12 |
| ფაკელი | 10 | 2 | 5 | 3 | 12:17 | 11 |
| ცსკა | 10 | 2 | 2 | 6 | 7:13 | 8 |
| ალანია | 10 | 2 | 2 | 6 | 8:15 | 8 |
| ურალანი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:15 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 11 | 0 | 5 | 6 | 5:13 | 5 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ახრჩობს მისი მილიცია

# საქმიფოდ ლიბიაში

დიქტატორ კადაფის ქვეყანაში მყოფი ინგლისური „მიდლსბრო“ ადგილობრივთა ეროვნულ გუნდს შეხვდა და 0:1 დამარცხდა. ერთადერთი გოლი სტუმართა კარში თავად ქვეყნის მმართველის ვაჟმა, საადი კადაფიმ გაიტანა. თითქოს მოულოდნელი შედეგია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ „მიდლსბროში“ ძირითადად ახალგაზრდები თამაშობდნენ, ხოლო კარს ერთ-ერთი ნახევარმცველი იცავდა, ბევრი რამ გასაგები შეიქნება.

არადა, ლიბიელებმა ბრაიან რობსონის გუნდს ზუსტად მილიონი დოლარი გადაუხადეს ორდღიანი სტუმრობისთვის. „მიდლსბროც“ ძირითადი შემადგენლობით ჩავიდა ტრიპოლიში, თუმცა...

მატჩის წინა დღეს ლიბიაში ბრიტანეთის საელჩომ თანამემამულე ფეხბურთელები ერთ-ერთი დიპლომატის ვილაში მიიწვია და... „ბიჭები ისე ალეგზნენ, როგორც ბავშვები ტკბილეულობის მაღაზიაში“ — თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა. მოგეხსენებათ, მუსლიმურ ლიბიაში ალკოჰოლი აკრძალულია, საზოგადოებრივ მიდლსბროელებს კი გართობა ესაჭიროებოდათ და აიშვეს კიდეც. პოლ გესკო-



ინსა და მის მეგობრებს დილის ოთხ საათამდე უქეიფიათ, ერთმა ბიზნესმენმა კი ისიც თქვა — გაზას ავტოგრაფი ვთხოვე, ის კი გამეხუმრა, თუ „მასტირკას“ მიშოვი, კი ბატონოო. მოკლედ, მეორე დღეს მცხუნვარე ტრიპოლიში თამაშის თავი მხოლოდ ახალბედებს შერჩათ. ამათაც მხოლოდ 0:1 წააგეს.

„მიდლსბრომ“ ოთხთა ტურნირის მეორე შეხვედრაც ამავე ანგარიშით დათმო, ამჯერად იტალიურ „ბარისთან“.

**გიგა კობახიძე**

## ნორვეგია ევრო 2000-ზე

ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბმა დაასახელა ის 22 რჩეული, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ

### მეკარეები

მორტენ ბაკე ........ მიოლდე
ტომას მირე ........ ევერტონი, ინგლისი
ფროდე ოლსენი ........ სევილია, ესპანეთი

### მცველები

ტრონდ ანდერსენი ........ უიმბლდონი, ინგლისი
ჰენინგ ბერგი ........ მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი
ანდრე ბერგდოლმო ........ რუსენბორგი
ბიორნ ოტო ბრაგსტადი ........ რუსენბორგი
დან ეგენი ........ ალავესი, ესპანეთი
ვეგარდ ჰეგემი ........ ლივერპული, ინგლისი
სტიგ ინგე ბიორნებიუ ........ ბრონდბიუ, დანია

### ნახევარმცველები

ერიკ ბაკე ........ ლიდს იუნაიტედი, ინგლისი
ერიკ მიუკლანდი ........ მიუნხენ 1860, გერმანია
კეტილ რეკდალი ........ ვალერენგა
იონ არნე რიისე ........ მონაკო, საფრანგეთი
ვიდარ რისეთი ........ სელტიკი, შოტლანდია
ბენტ სკამელსრუდი ........ რუსენბორგი
სტალე სოლბაკენი ........ ოლბორგი, დანია

### თავდამსხმელები

იონ კარეუ ........ ვალენსია, ესპანეთი
ტორე ანდრე ფლო ........ ჩელსი, ინგლისი
სტეფან იევერსენი ........ ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი
ოლე გუნარ სოლსკიაერი ........ მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი
როარ სტრანდი ........ რუსენბორგი

# სანამ ევროპა გახურდებოდეს

## ტარდელი უილკინსონის წინააღმდეგ

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. I ტური**

UEFA UNDER-21 Championship

### A ჯგუფი

**ხორვატია 1:2 ჰოლანდია**

1:0 მილადინი (20), 1:1 ვან ბომელი (42), 1:2 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (84)
ხორვატია: პლეტიკოშა, მილადინი (ბრაიკოვიჩი 49), სერიჩი, ბისკანი, ტუდორი, სმოიე, ბალაბანი (მიკიჩი 63), ვრანიეში, შოკოტა (ფილიპოვიჩი 83), ლეკო, სიმიჩი
მწვრთნელი: ივან სუშაკი
ჰოლანდია: სეგერსი, ვან ბომელი, ბოუმა (ბოსხაარტი 69), კორნელისე (ვისგერჰოფი 46), ბროერსი, ვან დერ ლეეგტი, ლურლინგი, ნუივენბურგი (კნოპერი 62), რუდგე, სიკორა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მწვრთნელი: ჰანს ბერგერი
გაფრთხილება: რუდგე, ნუივენბურგი, კნოპერი
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
959 მაყურებელი

**ესპანეთი 1:1 ჩეხეთი**

0:1 ლუკას დოშეკი (55), 1:1 ლუკე მარტოსი (90)
ესპანეთი: არანსუბია, ლაკრუსი, ამაია, მარჩენა, რუის სალმონი (ალბელდა 67), გარსია, რომერო, ხავი, პუიოლი (დორადო 18), ფერონი (ივან ანია 67), ლუკე მარტოსი
მწვრთნელი: ხოსე იგნასიო საესი
ჩეხეთი: ჩვალოვსკი, ლუკას დოშეკი, პეტროუსი, გრიგერა, ლენგიელი, ტაისი, სიონკო (იაროშიკი 70), იუფალუსი, იანკულოვსკი, პოლაკი (იაროლიმი 41), ჰეინცი (ლიბორ დოშეკი 86)
მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი
გაფრთხილება: სიონკო, მარჩენა, გრიგერა, რომერო, იაროლიმი, ტაისი
მსაჯი: ლესლი ირვინი (ირლანდია)
8 281 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### B ჯგუფი

**სლოვაკეთი 2:1 თურქეთი**

1:0 გრეშკო (6), 1:1 დურსუნი (63), 2:1 ცისოვსკი (67)
სლოვაკეთი: ჩენტოფალსკი, გრეშკო, გლინკა, ლერანტი, კრსკო, კისელი, ნემეტი, ცზინეგი (სედლაკი 86), ბაბნიჩი (მესაროში 68), ბარჩიკი (ჰრნჩარი 73), ცისოვსკი
მწვრთნელი: დუშან რადოლსკი
თურქეთი: აქთასი, ალი გიუნეში, გიულდურენი, ოზთურქი, ოზბეი, სიულუნი (დიოკმე 54), კაველი (ილმაზი 84), დურსუნი, ბასტურკი, ალბაირაქი, იუსალი (ორჰანი 46)
მწვრთნელი: რაშით ჩეტინერი
გაფრთხილება: ოზთურქი, კრსკო, კისელი, გიულდურენი
მსაჯი: კარლ ერიკ ნილსონი (შვედეთი)
6 000 მაყურებელი

**იტალია 2:0 ინგლისი**

1:0 კომანდინი (24), 2:0 პირლო (45)
იტალია: აბიატი, გრანდონი, ძანკი, გატუზო (პეროტა 86), კომანდინი, ბარონიო, ვენტოლა (სპინეზი 72), პირლო (ვანუკი 81), კოკო, ჩირილო, ძანეტი
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ინგლისი: ვიავერი, მილსი, ჯონსონი, კარაგერი, ლამპარდი, კორტი (იანსენი 66), მერფი, ჰენდრი (დანი 46), ტომპსონი (ჩადვიკი 74), ჯეფერსი, კინგი
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
გაფრთხილება: გატუზო, გრანდონი, ჯონსონი
მსაჯი: ჰელბერტ ფანდელი (გერმანია)
3 522 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ინგლისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სლოვაკეთში კონტინენტის 21-წლამდელთა ნაკრებების პირველობა გაჩაღდა. ჭაბუკთა ფეხბურთის მიმართ ინტერესი დღითიდღე ღვივდება. მსოფლიოს წამყვანი კლუბები ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეებს სულ უფრო ყურადღებით აკვირდებიან. ამ ათი დღის განმავლობაში სლოვაკეთს, ალბათ, არაერთი გრანდ-კლუბის ხელმძღვანელი და სელექციონერი ესტუმრება და იქნებ მავანმა ფეხბურთელებმა ტურნირის დასრულებისთანავე ხელსაყრელი წინადადებებიც მიიღონ.

დღეისთვის ევროპის რვა უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრები ორ ჯგუფში იასპარეზებს. A და B ჯგუფიდან თითო-თითო გამარჯვებული 4 ივნისს ფინალში შეხვდება ერთმანეთს. აგრეთვე გაიმართება მატჩები მესამე-მეოთხე და მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის, სადაც, შესაბამისად მეორე და მესამეადგილოსნები იპაექრებენ.

21-წლამდელთა ჩემპიონატში მოთამაშე გუნდებში რამდენიმე ცნობილი ახალგაზრდა ფეხბურთელიც ირიცხება. პირველობის დაწყებამდე საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა" ნაკრებები წარადგინა და ფავორიტებიც გამოკვეთა. მათი აზრით, ჩემპიონატზე ძლიერი გუნდები ინგლისელებს, იტალიელებს, ესპანელებსა და ჰოლანდიელებს ეყოლებათ.

ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებს ჰოვარდ უილკინსონი ავარჯიშებს. გუნდში არიან ვესტჰემელი ფრენკ ლამპარდი, ლივერპულელი ჯეიმი კარაგერი, ასტონვილელი ლი ჰენდრი. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის „ასტონ ვილას" მცველი გარეტ ბერი, „ლივერპულის" ნახევარმცველი სტივენ ჟერარდი და „ნიუკასლის" ნახევარმცველი კირონ დაიერი ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა კევინ კიგანმა ევრო 2000-ზე სასპარეზოდ მიიწვია, ამიტომ ისინი გუნდს სლოვაკეთში ვერ ჩაჰყვნენ. ტრავმის გამო ჩემპიონატს „ლიდსის" ფორვარდი მაიკლ ბრიჯისი და „ვესტ ჰემის" ნახევარმცველი ჯო კოული გამოტოვებენ.

უილკინსონი ამბობს: „ჩვენ ჩემპიონატზე ყველაზე სახეშეცვლილ გუნდს წარვადგენთ. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდა, თუმცა სიძლიერით, ალბათ, არავის ჩამოვრჩებით".

იტალიელთა ახალგაზრდულ გუნდს, რომელსაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მარიო ტარდელი წვრთნის, წამყვანი ნახევარმცველები, მილანელი მასიმო ამბროზინი და იუვენტუსელი ჯანლუიჯი ძამბროტა ვერ დაეხმარებიან. მათ დინო ძოფის „სკუადრა აძურაში" მიწვევა მიიღეს. ახალგაზრდულ ნაკრებს ლიდერად, ალბათ, მილანელი ჯენარე გატუზო მოევლინება, რომელიც ევრო 2000-ის მიღმა დარჩა.

„როიტერის" წინასწარი ინფორმაციით, ესპანელებს სლოვაკეთში „მილანის" თავდამსხმელი ხოსე მარი, ბარსელონელები ხავი და გაბრი უნდა ჩაჰყოლოდნენ, მაგრამ პირველი ჯგუფური მატჩის განაცხადში მათგან ერთიც ვერ მოხვდა, ამიტომ საეჭვოა, რომ სამივენი ესპანეთში დარჩნენ. ტურნირს ნამდვილად გამოაკლდება „რეალის" მეკარე იკერ კასილიასი, რომელსაც ესპანეთის ნაკრების თავკაცი ხოსე ანტონიო კამაჩო ბელგია-ჰოლანდიაში ევრო 2000-ზე საასპარეზოდ იახლებს. ახალგაზრდულ გუნდში თამაშობენ „ბარსელონას" მცველი კარლოს პუიოლი, მადრიდის „რეალის" მცველი ხავიერ დორადო, „ვალენსიას" ნახევარმცველი ფრანსისკო ფარინოსი და მადრიდის ატლეტიკოელი ხუან კაპდევილა. თუმცა ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი, ვალენსიელი ფარინოსი პირველ შეხვედრაში მინდორზე არ გამოჩენილა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით კი, ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და შესაძლოა, ნაადრევად მოუწიოს სამშობლოში დაბრუნება.

ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ფავორიტის — იტალიისა და ინგლისის დაპირისპირება. აპენინელებმა ბრიტანელი თანატოლები ამჯერად დაჯაბნეს და 2:0 მოუგეს. გოლები 24-ე და 45-ე წუთებზე ჯანი კომანდინიმ და ადრეა პირლომ გაიტანეს. ინგლისელები ბევრს ცდილობდნენ, აქტიურობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. იტალიელთა კარს ჩინებულად დარაჯობდა მილანელი კრისტიან აბიატი. ინგლისელთაგან საუკეთესოებმა — ფრენკ ლამპარდმა და „უიმბლდონის" ფორვარდმა კარლ კორტმაც ვერ გამოიჩინეს თავი. იტალიელებს სამბურთიანი სხვაობით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა „ბარის" ფორვარდმა ჯონათან სპინეზიმ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა კარს.

იტალიელები ჯგუფში ლიდერობენ, თუმცა მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების ხარჯზე. მეორეზე სლოვაკები არიან, რომლებმაც თურქები 2:1 დაამარცხეს. მასპინძელთა მწვრთნელი დუშან რადოლსკი თავის ამბიციებს არ მალავს. „ჩინებული მატჩი იყო — განაცხადა სპეციალისტმა — თუ ინგლისთანაც და იტალიასთანაც ასე გავაგრძელებთ, ალბათ, წარმატებასაც მივაღწევთ, თუმცა რაიმე პროგნოზის გაკეთება მიჭირს".

B ჯგუფში ლიდერობა ჰოლანდიელებმა იგდეს ხელთ, მათ ხორვატებს 2:1 სძლიეს. გამარჯვების გოლი 84-ე წუთზე ვეენეგოორ ოფ ჰესელინკმა გაიტანა. ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა ესპანეთმა ჩეხებთან ქულა გაიყო, შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

ნიკა ზუბლაძე



საქართველოს ჩემპიონატი

# ნახევარფინალი

სამ მოგებამდე

## ბასკო — სდასუ 0:0

## ანონსი

30 მაისი. ვერის ბაღი. 14.00
სდასუ — ბასკო

2 ივნისი. ბათუმი
ბასკო — სდასუ

3 ივნისი. ბათუმი
ბასკო — სდასუ

თუ საჭირო გახდა

5 ივნისი. ვერის ბაღი
სდასუ — ბასკო

8 ივნისი. ბათუმი
ბასკო — სდასუ

ბათუმის „ბასკო" მიზანმიმართულად მიიწევს პირველი ტიტულისკენ. კალათბურთის სპეციალისტები ზღვისპირულ კლუბს სადებიუტო სეზონშივე ტრიუმფს უწინასწარმეტყველებენ. ასეა, „ბასკო" ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად ითვლება და მართლაც კარგი შანსი აქვს, შინაური კალათბურთის ტახტის მესამე მემკვიდრე გახდეს.

სდასუ, ისევე როგორც მისი მეტოქე, არასდროს ყოფილა ფინალში, თქმაც არ უნდა, რომ ამ სტუდენტურ კლუბს დიდი სურვილი აქვს, მეცხრე ეროვნულის დამაგვირგვინებელი აკორდი ჩამოჰკრას, ამისთვის კი „ბასკოსაც" უნდა გადაახტეს და საკუთარ თავსაც. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, აჭარის გუნდი მოწინააღმდეგეზე ძლიერია და ამ წყვილშიც ფავორიტად სწორედ იგია მიჩნეული.

ერთადერთხელ, ორი წლის წინ მოახერხა სდასუ-მ პრიზიორთა მარაქაში გარევა. თამაზ ოქრუაშვილის მწვრთნელობის დროს გუნდმა ბრინჯაო ლევან მოსეშვილის „დინამოს" წაჰგვარა. მოსეშვილი სდასუ-ს ამჟამინდელი თავკაცია და იგიც სულ ცოტა იმავე შედეგს უმიზნებს.

ეს დაპირისპირება ქვეყნის ორი საუკეთესო მწვრთნელის დუელიცაა. მართალია, „ბასკოს" დამრიგებელ ზურაბ ტომარაძეს უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ლევან მოსეშვილის ნაქები დისციპლინა და თითქმის შეუმცდრად შერჩეული ტაქტიკა სდასუ-ს გადამწყვეტ შეხვედრებში საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს-ხოლმე. თუნდაც ექვსეულში ამ კლუბის „ვითასთან" მატჩიც გამოდგება მაგალითად. იმ შეხვედრაში მკაფიოდ გამოჩნდა მოსეშვილის უნარი, ამას კალათბურთელთა ერთსულოვნებაც დაერთო და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კონკრეტულ სიტუაციაში სდასუ-ს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს.

განა ასეთი რა შთააგონა შეგირდებს მოსეშვილმა? — ეს ყველაზე უკეთ თავად იცის. ჩანდა, რომ უკლებლივ ყველა წვრილმან-მსხვილმანი შესაშური სიზუსტით იყო გათვლილი და მწვრთნელი კალათბურთელთაგან მათ ზედმიწევნით შესრულებას ითხოვდა.

ზურაბ ტომარაძეც არავისზე ნაკლები ტაქტიკოსი არ არის. ზედიზედ ორჯერ „ვითას" გაჩემპიონებაში მან ფასდაუდებელი წვლილი დაიდო. ახლა კი „ბასკოსთან" ერთად სურს საჩემპიონო მანტიის წამოსხმა.

ბათუმელთა გუნდიდან ვერც ერთ სათამაშო რგოლს ვერ გამოარჩევ. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „ბასკო" ყველა ამპლუაში ძლიერად და თანაბრად არის დაკომპლექტებული. გამთამაშებლის პოზიციაზე ყველაზე ხშირად მამუკა აბრამიძეს ენდობა ტომარაძე, ამ ფუნქციების შესრულებას დროგამოშვებით დავითულიანსა და ბელიაევსაც ავალებს ხოლმე.

ლევან ქარაბაკისა და ვალერი კილაძის შეხმატკბილებული ქმედება ზღვისპირელთა წინა ხაზსაც სოლიდურ იერს აძლევს. დუეტს საჰაერო ორთაბრძოლებში ანტონ არხიპოვიც ეხმარება. ფრთაზე კი ვლადიმერ ბეჟანიშვილი ირჯება და საკმაოდ გონივრულადაც.

სდასუ-ს ჰყავს ერთადერთი ნომინალური ცენტრი — შოთა მაჭარაძე. სტუდენტურ გუნდს ფარზე სწორედ მან უნდა მოუხსნას პრობლემა, რაც ეულად, ალბათ, ძალიან გაუჭირდება. ამ მიზეზით შესაძლოა ზონურ დაცვას მიანიჭოს უპირატესობა ლევან მოსეშვილმა, რადგან პერსონალური თავდაცვა მეტოქის სიმაღლეში უპირატესობას უფრო თვალსაჩინოს გახდის.

ბათუმელები ყველაზე მეტად ირაკლი ხოშტარიას უნდა უფრთხოდნენ. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ სტუდენტთა შეტევები ძირითადად მათ კაპიტანზეა აგებული. ხოშტარიას სავარაუდოდ დავითულიანს, ანაც ბელიაევს აადევნებს ტომარაძე, რადგან დაცვაში თამაში სწორედ ამ ბიჭებს ეხერხებათ. თავის მხრივ, სდასუ-საც ჰყავს გამორჩეულად ძლიერი დაცვის მოთამაშე. გიორგი ჩხეიძეს მწვრთნელისგან, ალბათ, იმ მოთამაშის გაუვნებლება დაეკისრება, ვინც ყველაზე დიდ ხიფათს შეუქმნის სტუდენტურ გუნდს. ბასკოელებს კი შოთა უძილაურის წინააღმდეგ დიდი ყურადღება მართებთ, იგი შეტევაში მეტისმეტად აგრესიულია და დამაგვირგვინებელ ფაზაშიც იშვიათად ცდება.

„ბასკოს" გრძელი სკამი აქვს. ამან იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობაც იქონიოს საბოლოო შედეგზე, რადგან მომქანცველი ნახევარფინალური სერია ხუთი-ექვსი კაცით მოთამაშე სდასუსგან ულევ ენერგიას მოითხოვს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, დღეს „ბასკოს" უკლებლივ ყველა სდასუ-ზე წინ აყენებს და გამარჯვებაც, ალბათ, ზღვისპირელებს დარჩებათ. წლეულს სდასუ, ვფიქრობთ, მხოლოდ ბრინჯაოს თუ შეუტევს. ოქროს გზაზე მას „ბასკო" ელობება, გუნდი, რომლისგანაც ქომაგები მხოლოდ პირველობას ითხოვენ.

საქართველოს ჩემპიონატი

# ნახევარფინალი

სამ მოგებამდე

## აზოტი — სტუ 0:0

## ანონსი

30 მაისი. სტუ-ს დარბაზი. 17.00
სტუ — აზოტი

2 ივნისი. რუსთავი
აზოტი — სტუ

3 ივნისი. რუსთავი
აზოტი — სტუ

თუ საჭირო გახდა

5 ივნისი. ვერის ბაღი
სტუ — აზოტი

8 ივნისი. რუსთავი
აზოტი — სტუ

ნახევარფინალურ სერიაში დამარცხება „აზოტისთვისაც" და სტუსთვისაც დიდი ტრაგედია იქნება. ამან შესაძლოა ფსიქოლოგიურადაც გაანადგუროს გუნდები, ისე, რომ შემდეგ ბრინჯაოსთვისაც ვეღარ გაიბრძოლონ. გარკვეულწილად პატივია პრიზიორობა, თორემ ბრინჯაოს გაგონება, ალბათ ტანშიც კი ზარავს მეტოქეთ. წინა წელს სტუ-მ ამ სინჯის მედალი რომ დაისაკუთრა, მაშინვე ჩირად ულირდა. ზედიზედ ორგზის ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს" კი კარგა ხანია, ვერცხლიც მოყირჭებია და ტრადიციულად ახლაც ოქროზეა დაგეშილი.

უდავოა, დიდი ბრძოლების მომსწრენი გავხდებით, დღეიდან ქართული კალათბურთის ორი გრანდი უპირისპირდება ერთმანეთს. ოთარ ხმელიძის ერთ მუშტად შეკრული „აზოტი" ნუგზარ ჭეიშვილის საათივით აწყობილი მექანიზმის წინააღმდეგ — ქომაგს მოთმინების ფიალა აევსო...

ამ გუნდების წლევანდელი ურთიერთშეხვედრები მეტოქეთა ტოლ-სწორობაზე მიგვანიშნებს. ორჯერ „აზოტმა" იმარჯვა, ორჯერაც სტუ-მ. ბოლოდროინდელი თამაშებით თუ ვიმსჯელებთ, სტუდენტები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ და აკი ექვსეულებშიც ორჯერვე დაჯაბნეს ვიცე-ჩემპიონი.

საერთოდაც, ბოლო ხანს ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა სტუ. ჭეიშვილს ამისათვის დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწია. რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში სტუდენტურ კლუბს ხშირად ჰქონდა ჩავარდნა, არასტაბილურად გამოიყურებოდა, მაგრამ მერე და მერე რიხით ათამაშდა და ძალიან ბევრს აგემა სიმწარე. მწვრთნელები მთელი სეზონი ძიებაში იყვნენ და ამან, ბოლოს და ბოლოს, გამოიღო ნაყოფი. გამოიკვეთა გუნდის ძირითადი ბირთვი, რომელსაც მეტად ეყრდნობა ჭეიშვილი. სათადარიგოც უკლებლივ ყველა სრულფასოვანი ჰყავს სტუ-ს, რაც ამ გუნდის წისქვილზე ასხამს წყალს. ნებისმიერ მოთამაშეს ძალუძს, ლიდერობა იტვირთოს. ეს კი, დამეთანხმებით, წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა.

„აზოტი" მოკლებულია ამგვარ ფუფუნებას, სკამის სიმოკლე რუსთავულ კლუბს მეტისმეტად ზღუდავს, მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძესაც საკმაოდ მწირი არჩევანი აქვს, თუმც ამ ნაკლს ძირითადი მოთამაშეების ოსტატობა და მათი დიდი გამოცდილება ავსებს.

გუნდის ლიდერი უდავოდ რამაზ გოგობერიშვილია. მეტოქისთვის იგი ძალიან სახიფათოა. უკანახაზელის პოზიციიდან გოგობერიშვილი ნებისმიერს უჩენს თავსატეხს და თუ სტუდენტურ კლუბს ფინალში თამაში სურს, უპირველესად რუსთაველთა ცამეტი ნომრის გაუვნებლებაზე უნდა იზრუნოს. გოგობერიშვილი მსროლელია, იგი უმეტესად შორი მანძილებიდან აწიოკებს მოწინააღმდეგეთ, თუმც სწრაფი და დროული გარღვევებიც ეხერხება, აქვს საკმაოდ დახვეწილი პასის კულტურა და ჩინებულად აზროვნებს.

რუსთაველთა შეტევებს გამთამაშებელი არჩილ ჟღენტი ხელმძღვანელობს. უპირველესად იგი შეეცდება, სტუ-ს „აზოტისთვის" სასურველი თამაში მოახვიოს თავს. ჟღენტი საკმაოდ სწრაფი და მოქნილია, ტაქტიკურად განსწავლულია და პარტნიორებსაც დამაჯერებლად კარნახობს თამაშს.

ნახევარფინალურ სერიაში ჟღენტს ძალიან სერიოზული ოპონენტი ეყოლება სტუ-ელი დავით თორთლაძის სახით. სწორედ იგია სტუდენტთა გამთამაშებელი და იმავდროულად გუნდის სული და გული. თორთლაძე მართავს თამაშის რიტმს და განაგებს ტექნიკოსთა ტაქტიკურ ქმედებებს. მისი შეჩერება „აზოტს" გაუძნელდება, თუმც რუსთავულ კლუბშიც მოიძებნება ისეთი, ვისაც ხელეწიფება სტუდენტთა დირიჟორთან გამკლავება. ზაზა გაბისონია სწორედ დაცვითი თამაშით გამოირჩევა და სავსებით შესაძლებელია, ხმელიძემ თორთლაძის დაკეტვა მას დააკისროს.

ყველაზე დიდ პრობლემას „აზოტი" წინა ხაზში აწყდება. ეს მით უფრო პირველ ორ შეხვედრაში გამოჩნდება, რადგან ფედერაციისგან სამი მატჩით დისკვალიფიცირებულ რუსთაველთა ცენტრს, მიხეილ ბერუაშვილს თამაში არ ეკუთვნის. მოგეხსენებათ, არც პორტუგალიიდან დაბრუნებულ ირაკლი ჯაფარიძეს დართეს უფლება, მშობლიურ კლუბს დახმარებოდა. ყოველივე ამან კი ოთარ ხმელიძეს საფიქრალი მოუმატა. ამ სიტუაციაში ფარქვეშ თამაშის სიმძიმე ზვიად ბაბიაშვილსა და ივანე გოგოლაძეს დააწვებათ მხრებზე. წინა ხაზში ლევან წიკლაურიც უნდა შეეშველოს თავისიანთ, თორემ მეტოქის ძლიერი და გამოცდილი მაღლების წინააღმდეგ ვიცე-ჩემპიონს მეტისმეტად გაუჭირდება. სტუ-ს ერთბაშად ხუთი კალათბურთელი ჰყავს ისეთი, რომელთაც ფარქვეშ წარმატებით თამაში შეუძლიათ — კორძაძე, ოთიურიძე, ჩუბინიძე, ორმოცაძე და მინაშვილი.

ამ წყვილში რომელიმეს ფავორიტად შერაცხვა არ ეგების. ორივე კარგი გუნდია და ფინალში მოხვედრის თანაბარი შანსებიც აქვთ. ცხადია, სხვადასხვა კომპონენტში მეტოქეთ გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ, მაგრამ ეს ნამდვილად არ კმარა საიმისოდ, წინასწარ რაიმე იწინასწარმეტყველო.

ყველაფერს მაინც მწვრთნელების მიერ არჩეული ტაქტიკა გადაწყვეტს. „აზოტი" — სტუ-ს დაპირისპირება ხომ მათი თავკაცების, ოთარ ხმელიძის და ნუგზარ ჭეიშვილის ჭიდილიცაა.

**გიორგი ბიჭაშვილი**

თურქეთი



დევიდ რივერსმა „თოფაში" ხელახლა გააჩემპიონა

# თოფაში!

პლეი ოფის ფინალი
(ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 1 |
| თოფაში | 4 |

**ეფესი 96:99 თოფაში**

(ძირითადი დრო 86:86)

ეფესი: მულაომეროვიჩი (18), თურქოღლუ (15), ონანი (3), ვქილოღლუ, ქუთლუაი (18), ბეშოქი (10), ვინსლოუ, დრობნიაკი (32)
თოფაში: ფარსი (6), რიმაცი (13), ბაში (6), ქონუქი (2), ერდენი, ილმაზი (8), ოქური (1), გრიფიტი (23), რივერსი (40)

„დამიჯერეთ, ბიჭებო! ამ თამაშს მოვიგებთ. ამისთვის მხოლოდ ერთი ბურთის ჩაგდებაა საჭირო. დევიდ, რაშარდ, სლავენ — პირველ რიგში თქვენს გასაგონად ვამბობ" — ბურსას „თოფაშის" მწვრთნელმა თოლგა ონგორენმა დამტვრეული ინგლისურით და ყვირილისგან ჩახლეჩილი ხმით დამოძღვრა შეგირდები და ამით მატჩის ბოლო წუთშესვენებაც დამთავრდა. დამატებითი დრო იწურებოდა, სირენამდე წუთნახევარი რჩებოდა.

თოფაშელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ონგორენის დავალება: ერთის ნაცვლად რამდენიმე ბურთი ჩააგდეს. ბურსას „თოფაში" თურქეთის ჩემპიონია! ბოლო ორი სეზონია ეს გუნდი არავის უთმობს არც ჩემპიონობას და არც თასს.

ვინ იფიქრებდა, რომ საქმე დამატებით დრომდე მივიდოდა. „თოფაშს" ჩემპიონობამდე ერთი მოგებაღა აკლდა. თავის მხრივ, სტამბოლის „ეფესიც" ხვდებოდა, რომ ფინალის მეხუთე მატჩში გამარჯვება სერიის გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო. შინ, „აბდი იპექჩის" 12-ათასიან დარბაზში „ეფესმა" რიხიანად დაიწყო მატჩი და თავიდანვე დაწინაურდა. გუნდის ხორვატმა გამთამაშებელმა დამირ მულაომეროვიჩმა თითქოს იპოვა თავის თამაშიო და ცალკე გარღვევებით შეაწუხა სტუმრები, ცალკე კი იუგოსლაველ პრედრაგ დრობნიაკს ამარაგებდა ფარქვეშ პასებით. „თოფაშს" გუნდური თამაში არ გამოსდიოდა, რის გამოც შესვენებისთვის „ეფესის" უპირატესობამ თორმეტ ქულას უწია — 47:35.

მეორე ტაიმი ბურსელთათვის ძალიან ცუდად დაიწყო. მის მოშლილ დაცვაში დრობნიაკთან ერთად ჰიდაიეთ თურქოღლუმაც დაიწყო ნავარდი და „ეფესმა" სხვაობა ჩვიდმეტ ქულამდე გაზარდა — 64:47. წესითა და რიგით, საქმე დამთავრებული იყო, სტამბოლელებს მომდევნო მატჩზე უნდა დაეწყოთ ფიქრი.

„თოფაშის" ამერიკელ გამთამაშებელ დევიდ რივერსს, ეტყობა, მეტი თამაში აღარ უნდოდა და ფინალის სტამბოლშივე დამთავრება გადაწყვიტა. იმას, რაც რივერსმა მეორე ტაიმი ჩაიდინა, ახსნა არა აქვს. ამას სასწაულს ვერ დავარქმევთ, რადგან რივერსის ნამოქმედარი სასწაულზე გაცილებით მეტი იყო. 35 წლის და 185-სანტიმეტრიანმა გამთამაშებელმა ყველაფრის კეთება თავად დაიწყო: მეტოქის მოედანზე ბურთი გადმოქონდა, ათამაშებდა, ნებისმიერი სიტუაციიდან ესროდა და... უკლებლივ ყველა ნასროლს აგდებდა. გაოგნებული ეფესელები ვერაფერს უხერხებდნენ ამ ჩია კაცს, მერე უხეშობაზეც გადავიდნენ, მაგრამ რივერსმა ერთი-ორჯერ წაქცეულმაც კი ჩააგდო.

რივერსის თავგამოდების შედეგად „თოფაშმა" სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა. აქ კი მოიკრიბეს ძალა ეფესელებმა და ბურსელებს რვა ქულით დაშორდნენ — იბრაჰიმ ქუთლუაიმ ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, მათ შორის კი ბურსელმა გრიფიტმა ივარგა.

„ეფესს" ახლა მაინც უნდა ამოესუნთქა შვებით, მაგრამ დევიდ რივერსმა არ დააცადა: ერთი-ორი გარღვევა და ეფესელთა უპირატესობიდან ორი ქულაღა დარჩა — 86:84. დამთავრებამდე 31 წამით ადრე სტამბოლელ არდა ვექილოღლუს ყველაფრის გადაწყვეტა შეეძლო, მაგრამ არ გამოუვიდა: ორივე საჯარიმო ააცილა და „თოფაში" ბოლო შეტევისთვის გაემზადა.

რივერსმა დიდხანს ათამაშა ბურთი და არავის მისცა, სანამ სლავენ რიმაცი არ გაიხსნა. „თოფაშის" ხორვატს სამქულიანის მოსამზადებლად დრო ჰქონდა, მაგრამ ცუდად ესროლა — ბურთი რგოლს მოხვდა და სანამ მოედნიდან გადავარდებოდა, უკანასკნელი ეფესელი ქუთლუაი შეეხო. რჩებოდა შვიდი წამი. რივერსი აღარავის ენდო და თავად დაასრულა შეტევა — 86:86, დაინიშნა დამატებითი დრო.

დამატებით დროში ხან ერთი მეტოქე გადიოდა წინ, ხან მეორე. ის იქამდე გაგრძელდა, სანამ თოფაშელმა ალფერ ილმაზმა სამქულიანი არ ჩააგდო და თავისიანები 94:92 დააწინაურა. ამას მოჰყვა წუთშესვენება და წრილის დასაწყისში მოყვანილი თოლგა ონგორენის მონოლოგი.

უტევს „ეფესი". ბურთით დამირ მულაომეროვიჩია. სტამბოლელთა ხორვატ გამთამაშებელს არავინ გაეხსნა, ამიტომ მან თავად გადაწყვიტა სროლა. ჰაერში აწეული მულაომეროვიჩის წინ რაშარდ გრიფიტის ვეება სხეული ამოიზარდა. სროლას აზრი დაეკარგა: ბურთი „თოფაშის" ამერიკელის იოლი ლუკმა გახდებოდა. მულაომეროვიჩი ჰაერშივე შემოტრიალდა, ყველა თანაგუნდელი ამოკეტილი იყო. მიწაზე დაშვებისთანავე ეფესელს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ისე, რომ იატაკზე არ დაცემულა: ბურსელი სლავენ რიმაცი იქვე იდგა და თვისტომი მეტოქის ეს ერთგვარი პასი რამდენიმე წამში ორ ქულად აქცია.

ეს დარტყმა სანოკაუტო აღმოჩნდა „ეფესისთვის". დარჩენილ დროში სტამბოლელები შეგნებულად ჯარიმდებოდნენ, თან, მაინცდამაინც რივერსზე, რომელიც საჯარიმოს საჯარიმოზე აგდებდა. ერთი-ორი ბურთი ეფესელებმაც ჩააგდეს, მაგრამ მათ „თოფაშის" ხელახალი გაჩემპიონებისთვის ხელის შეშლა აღარ შეეძლოთ.

„თოფაშმა" თურქეთის ჩემპიონობით სუპერლიგაში თამაშის უფლება მიიღო. „ეფესს" კი ამის იმედი ჯერ არ დაუკარგავს — იქნებ ფიბა-მ მისთვის ორი „უაილდ ქარდიდან" ერთ-ერთი გაიმეტოს. დევიდ რივერსი ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს. აღსანიშნავია, რომ მეხუთე მატჩის წინა დღეს ჩია ამერიკელმა „უცხოეთში მოთამაშე ამერიკელ კალათბურთელთა ასოციაცია" ჩამოაყალიბა და სათავეშიც თავად ჩაუდგა. ჩვენი მიზანი სხვადასხვა კონტინენტებზე მოთამაშე ამერიკელების ყველანაირი პრობლემის მოგვარება იქნებაო — თქვა რივერსმა, რომელიც არც გაისად აპირებს „თოფაშიდან" წასვლას.

იტალია

# ეს რა უქნია მაიერსს...


LA GAZZETTA DELLO SPORT

ფორტიტუდოელი კარლტონ მაიერსი (№10) ისმაელ სანტოსმაც ვერ შეაჩერა

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 2 |
| ბენეტონი | 1 |

**ფორტიტუდო 82:70 ბენეტონი**

ფორტიტუდო: მაიერსი (32), ვრანკოვიჩი (5), ბაზილე (9), ფუჩკა (8), გალანდა (10), იარიჩი (15), პილუტი, რუჯერი (3), ანკიზი, გაი

ბენეტონი: ედნი (13), პიტისი (12), შეპარდი (15), ნიკოლა (4), მარკონატო (4), ნეესი (4), ტრაინა (7), სანტოსი, დი სპალატრო, ბულერი (11)

ფინალის მესამე მატჩის მეათე წუთზე ბოლონიის „ფორტიტუდო“ 29:10 უგებდა ტრევიზოს „ბენეტონს“. ამ ხანში ბოლონიურ გუნდს თორმეტი სამქულიანიდან შვიდი ჰქონდა ჩაგდებული. გუნდის ლიდერმა კარლტონ მაიერსმა კი 15 ქულა ზედიზედ მიითვალა. მაიერსი მატჩის გმირი გახდა: 37 წუთში 32 ქულა გააკეთა, რვადან ექვსი სამქულიანი, ხუთიდან ოთხი ორქულიანი და ექვსიდან ექვსი საჯარიმო ჩააგდო. მისი შეჩერება ამ დღეს ვერავინ მოახერხა, მათ შორის ვერც ევროპაში დაცვის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, ესპანელმა ისმაელ სანტოსმა.

მატჩის დასაწყისშივე გატეხილი „ბენეტონიდან“ ბრედ ტრაინამ სცადა მდგომარეობის გამოსწორება. მისმა ორმა სამქულიანმა მხოლოდ თორმეტ ქულამდე შეამცირა „ფორტიტუდოს“ უპირატესობა — 37:25. სანტოსმაც დროებით ალკვეთა მაიერსის თარეში, თუმცა „ბენეტონის“ დაცვამ აურია: მარკო იარიჩი ორჯერ დარჩა უპატრონოდ, ხოლო მასიმო რუჯერიმ სამქულიანი ჩააგდო. ბოლონიელებმა 45:30 მოიგეს ტაიმი.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე „ბენეტონმა“ ექვსი ქულა მიითვალა: რიკარდო პიტისმა ზედიზედ დააჯარიმა სტოიან ვრანკოვიჩი და ჯაკომო გალანდა. თანაგუნდელის მხარდაჭერა მარსელო ნიკოლამაც გადაწყვიტა, მაგრამ მისი ორივე სამქულიანი რგოლს მოხვდა. სიტუაცია მაიერსმა დააწყნარა, რომელმაც ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა.

„ბენეტონის“ მწვრთნელმა პიერ ლუიჯი ბუჩიმ ავანტიურას მიმართა: მოედანზე ოთხი ტანდაბალი და შორიდან მსროლელი კალათბურთელი დატოვა, ცენტრად კი ფორვარდი ნიკოლა გაამწესა. ამ გადაადგილებას მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოუღია, რადგან ფორტიტუდოელმა ვრანკოვიჩმა ფარზე არავინ გაახარა. საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთლით იმას, რომ მაიერსის არყოფნაში ბულერიმ ზედიზედ რვა ქულა გააკეთა, ხოლო მოგვიანებით, იმავ მაიერსს ტრაინა ეუხეშა, რისთვისაც მოედნიდან გააგდეს.

„ფორტიტუდოს“ იუგოსლაველმა მარკო იარიჩმა მხარი იტკინა და, შესაძლოა, დარჩენილი თამაშები გამოტოვოს. სხვათა შორის, მან შარშანდელ ნახევარფინალში ტრავმის გამო ვერ ითამაშა. მისი გუნდი მაშინაც „ბენეტონს“ ხვდებოდა. მატჩის შემდეგ იარიჩმა თქვა: „ჩემს მხარს არ დავეძებ, მთავარია — მოვიგეთ. ჩემმა თანაგუნდელებმა ჩინებულად ითამაშეს. მომდევნო მატჩიც უნდა მოვიგოთ, რათა მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრა თავიდან ავიცილოთ“.

„ბენეტონის“ მწვრთნელ ბუჩის აზრი კი ამგვარია: „მატჩი მაიერსმა მოიგო, მაგრამ მხოლოდ ის არ გახლდათ ჩვენი მარცხის მიზეზი. ცუდად ვითამაშეთ, ბევრი შეცდომები დავუშვით, თუმცა არ მინდა, კონკრეტულად ვინმე დავადანაშაულო. ვეცდებით შინ მოვიგოთ და გადამწყვეტ მატჩამდე მივაღწიოთ“.

ფინალის მეოთხე მატჩი დღეს გაიმართება ტრევიზოში.

საფრანგეთი

# ლიმოჟი!


REUTERS

ლიმოჟელები ჰარპერ ვილიამსი, სტეფან დიუმა და იან ბონატო საფრანგეთის ჩემპიონის სარგო თასით

პლეი ოფის ფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 1 |
| ლიმოჟი | 2 |

**ლიმოჟი 71:65 ვილერბანი**

ვილერბანი: სონკო (20), ლარანიაგა (6), პლუვი (4), პერსევო, სილსი (10), ბლომი (2), მაქსი (14), ლოვერნი, ბილბა (10), სი

ლიმოჟი: დიუმა (5), ბრაუნი (9), ჰემი (3), ბონატო (20), სტაჟიჩი, მეტელი (6), რუპერი, ვილიამსი (21), ფრიგუ (4), ვეისი (10)

საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულის მეცხრედ მომგები „ლიმოჟი“ გაურკვევლობაშია. დღეს საბოლოოდ გადაწყდება მისი ბედი. კალათბურთის ეროვნულმა ლიგამ დღეს უნდა ამცნოს ქვეყანას, დაუშვებს თუ არა „ლიმოჟს“ პრო A-ში მომავალ სეზონში. კაპიტანი იან ბონატო და მისი თანაგუნდელები იმედოვნებენ, რომ ამ მშვენიერი სეზონით არ დამთავრდება მათი ლიმოჟელობა. „ჩემი უდიდესი სურვილია, აქ დავრჩე, თუმცა თუ ერთი საფეხურით დავქვეითდით და ფინანსური სტაბილურობაც არ იქნება, ემიგრირება მოგვიწევს“ — ამბობს ბონატო.

სეზონის დასაწყისიდანვე ფინანსურ გაჭირვებაში მყოფი კლუბი, რომლის ვალიც 20 მილიონ ფრანკს (დაახლოებით 5,4 მილიონი ლარი) შეადგენს, თითქოს უფრსკულში გადაჩეხვას უნდა გადარჩეს. მისმა პრეზიდენტმა ჟან-პოლ დე პერეტიმ განაცხადა, რომ აზიელი ინვესტორები მზად არიან, 40 მილიონი ფრანკი გაიღონ. ამის ნახევარი უკვე გადარიცხული ყოფილა კლუბის ანგარიშზე, ნახევარიც მოგვიანებით გადაირიცხება. ახლა სიტყვა ლიგაზეა, ხოლო თუ ლიგა მაინც გაჯიუტდა და პირვანდელი გადაწყვეტილება არ შეცვალა, მაშინ დე პერეტის შეუძლია, საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციაში შეიტანოს საჩივარი და იქნებ...

სუპროლიგის საგზურმოპოვებულ „ლიმოჟს“, თუ სურს, ევროსარბიელზე არ შერცხვეს, ბიუჯეტი 30-40 მილიონიანი მაინც უნდა ჰქონდეს. სხვანაირად ძლიერი კალათბურთელების შენარჩუნება და ახლების ყიდვა წარმოუდგენელია. გუნდს ამერიკელი მარკუს ბრაუნი, მისი თანამემამულე ჰარპერ ვილიამსი და საფრანგეთის ნაკრების ცენტრი ფრედერიკ ვეისი დატოვებენ. დანარჩენები კი, თუ ხელფასები ექნებათ, მზად არიან დასარჩენად.

ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მეოთხედ დამარცხებულ „ვილერბანსაც“ არ უდგას კარგი დროება. სავარაუდოდ, მისი შემადგენლობაც საკმაოდ გადახალისდება. გამთამაშებელ მუსტაფა სონკოს ძლიერ უნდა ნბა-ში ძალების მოსინჯვა. ცენტრები, ამერიკელი მარლონ მაქსი და ჟან-გაელ პერსევოს, ალბათ, დატოვებენ კლუბს. ირლანდო-ამერიკელი ჯეი ლარანიაგას თუ ხელფასი არ მოუმატეს, წასვლა გადაუწყვეტია. საფრანგეთის ნაკრების კაპიტან ჯიმ ბილბას კი ესპანური „მალაგა“ ეკურკურება.

თუმცა ეს მომავლის საქმეებია. შაბათს კი ამ გუნდებმა ფინალის მესამე, გადამწყვეტი მატჩი გამართეს და „ლიმოჟმა“ სტუმრად 78:66 იმარჯვა. თამაში მაღალ ტემპში და დაძაბულად დაიწყო. ორივე გუნდმა თავიდან ფარქვეშ გაბატონება სცადა, თუმცა უპირატესობას ვერც ერთმა მიაღწია. მაქსის მიერ ჩაჭრილი ბურთის და ჩატენვისა და ლარანაგას სამქულიანის შემდეგ მასპინძლები ხუთი ქულით დაწინაურდნენ (11:6, მე-6 წუთი). მიუხედავად ანგარიშში სხვაობის შემცირებისა (13:12), „ლიმოჟი“ მეტოქეზე უფრო შებოჭილი ჩანდა. მაგალითად ბონატოს მიერ ზედიზედ გაცუდებული ოთხი საჯარიმო ტყორცნაც იკმარებს. თუმცა, მე-13 წუთზე ანგარიში მაინც გათანაბრდა — 20:20. აქ ბილბამ და სილსმა იყოჩაღეს და „ვილერბანი“ 6 ქულით (31:25) დააწინაურეს. ეს იყო მასპინძელთა ყველაზე დიდი უპირატესობა. შესვენებამდე დარჩენილი ორი წუთით „ლიმოჟმა“ 5:0 მოიგო და მატჩის სათავისოდ შემობრუნების იმედიც დაიტოვა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ეს იმედი რეალობად იქცა. ვილიამსმა და ბონატომ აიწყვეს და ხუთ წუთში სტუმრები 11 ქულით (44:33) გაიჭრნენ წინ. დროის ამ მონაკვეთის 2:14 წაგებამ „ვილერბანი“ ძალიან დააბნია, მათ სხვაობის შემცირება კარგა ხანს ვერ მოახერხეს. რეგულარული სეზონის გამარჯვებულს ვეღარც კი იცნობდით. მასპინძლების თამაშს სილაღე და თავდაჯერებულობა აკლდა. შედეგად, მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში მათ მხოლოდ 8 ქულის მოხვეჭა შეძლეს და მიუხედავად იმისა, რომ საფინალო სირანამდე 8 წუთით ადრე სონკომ თითქოს მოახერხა თამაშის დალაგება და ოთხ წუთში ანგარიშში სხვაობაც ქულამდე შემცირდა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ჯერ ბრაუნმა ჩააგდო სამქულიანი, შემდეგ ბონატომ ორიანი და „ლიმოჟმა“ მატჩი და ჩემპიონატი გამარჯვებულმა დაასრულა.

იმავე საღამოს ათასზე მეტი ქომაგი დახვდა „ლიმოჟს“ ქალაქის აეროპორტში. კლუბის პატარა თვითმფრინავიდან პირველი პირში სიგარაგაჩრილი ფრედერიკ ვეისი გამოვიდა. მას „კაპიტანი სიმამაცე“ იან ბონატო მოჰყვა, რომელსაც თავისი სიგარა ყურში გაეჭარა. კალათბურთელებმა ჟურნალისტებს და ფოტოგრაფებს ჯერ დააჯერეს, რომ ჯილდო ვილერბანში დარჩა და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოუჩინეს. შემდეგ კი ტელე და ფოტოკამერების წინ იწონებდნენ თავს. აეროპორტში შესულებმა კი ნაღდად მოისაკლისეს ჩემპიონთა თასი, რომელიც ასაფრენ ბილიკზე, თვითმფრინავის ტრაპთან დარჩენოდათ და ერთ-ერთ მეხანძრეს მოჰქონდა.

„გმადლობ, „ლიმოჟ!“ — ყვიროდნენ ქომაგები, რომლებმაც ორი წლის წინ ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის განადგურების შემდეგ ფრანგ გულშემატკივართა ფრაზაც გაიხსენეს: „და ერთი, და ორი, და სამი ნული!“ მართალია, „ლიმოჟმა“ 3:0 არ მოიგო, მაგრამ სამაგიეროდ ამ სეზონში კორაჩისა და საფრანგეთის თასების შემდეგ მესამე ტიტული მოიპოვა, რაც ბრწყინვალე შედეგია.

საღამოს „ყვითელი ბიჭების“ ერთგულ გულშემატკივართა საყვარელ ბარ „ალმოსავლეთის ექსპრესში“ გააგრძელეს მხიარულება ვილერბანის „ასტრობალის“ გმირებმა. მათთან ერთად კი მათი ნახვის, დალაპარაკებისა და ავტოგრაფის მსურველ ქომაგთა რამდენიმე ათასეული იყო (უმეტესობა ქუჩაში). დღეს კი კლუბს ქალაქის მერიაში აქვს ოფიციალური მიღება. საკითხავია, რა ხასიათზე იქნებიან ჟან-პოლ დე პერეტი და მისი არწივები?

**გაიოზ თალაკვაძე**

ესპანეთი

# ორი რეალი

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1 |
| რეალი | 1 |

**ბარსელონა 64:72 რეალი**

ბარსელონა: როდრიგესი, გოლდვაიერი (20), დე ლა ფუენტე (4), ალსტონი (15), ელსონი (4), დიგბო (1), გუროვიჩი (8), დუენიასი (5), ნავარო (4), რენციასი (3), გასოლი

რეალი: ა. ანგულო (11), სტრიულენსი (18), ჯორჯევიჩი (16), ლ. ანგულო (10), გალილეა (6), ბეტისი (2), სკოტი (9), მიხაილოვი, იტურბე


EFE ბარსელონიდან

ბარსელონელი ენტონი გოლდვაიერი (მარცხნივ) რეალელი ლუსიო ანგულოს წინააღმდეგ

ფინალური სერია ბარსელონას „პალაუ ბლაუგრანაში“ გაიხსნა და პირველ მატჩს რვა ათასი მაყურებელი დაესწრო, რომელიც თავის გუნდის დამარცხების მოწმე გახდა. მადრიდის „რეალის“ კალათბურთელები უფრო კონცენტრირებულნი იყვნენ, დაცვაში ყურადღებით ირჯებოდნენ. ამიტომ პირველი ტაიმის განმავლობაში სულ წინ იყვნენ, შესვენებაზე კი ორქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 31:29.

მეორე ტაიმში „ბარსელონა“ უკეთ გამოიყურებოდა. „რეალმა“ დაცვა შეარბილა, რის გამოც მასპინძლებს ხელფეხი გაეხსნათ და ძალისმიერად ათამაშდნენ. თუმცა, ბოლო წუთებზე მადრიდელებმა მოინდომეს და ალბერტო ანგულოსა და ალექსანდრ ჯორჯევიჩის წყალობით დაწინაურდნენ. მატჩის მიწურულს „ბარსელონა“ სამქულიანებს მიეძალა, მაგრამ უშედეგოდ.

„ბარსელონას“ უკანაზახელმა როდრიგო დე ლა ფუენტემ მარჯვენა მუხლი დაიშავა და, სავარაუდოდ, ფინალს ველარ გააგრძელებს. წინასწარი გამოკვლევით დე ლა ფუენტეს ჯვარედინი იოგების დაწყვეტა დაუდგინეს. ექიმებმა ურჩიეს კალათბურთელს, ხელმეორე გამოკვლევას ნუ დაელოდები, სასწრაფოდ ოპერაცია გაიკეთეო.

**ბარსელონა 83:55 რეალი**

ბარსელონა: როდრიგესი (7), გოლდვაიერი (11), ალსტონი (11), ელსონი (4), დიგბო (8), გუროვიჩი (7), დუენიასი (5), ნავარო (12), რენციასი (10), გასოლი (8)

რეალი: ა. ანგულო (11), სტრიულენსი (2), ჯორჯევიჩი (16), ლ. ანგულო (2), გალილეა (5), ბეტსი (6), სკოტი (7), მიხაილოვი (4), იტურბე (2)

ნაღდად იგივე ხალხმა ითამაშა, თორემ კაცი იფიქრებდა — „რეალმა“ პირველი მატჩის მომგები შემადგენლობა დაასვენა და მეორეჯერ ქუჩაში შეკრებილი ბიჭები დაუპირისპირა „ბარსელონასო“. მადრიდელებს არაფერი ეტყობოდათ, რომ ორი დღის წინ მასპინძლები გაამწარეს და საკუთარი მოედნის უპირატესობა აართვეს. „ბარსელონა“ კი პირიქით — არნახული შთაგონებით თამაშობდა და თავიდანვე დამაჯერებლად იგებდა. პირველ ტაიმში საუკეთესო იყო კატალონიელთა ბერძენი ეფტიმიოს რენციასი, რომელმაც 9 ქულა გააკეთა (ოთხი ნასროლიდან ოთხივე ჩააგდო).

მეორე ტაიმის დასაწყისი „ბარსელონამ“ 10:0 მოიგო, რაც საკმარისი აღმოჩნდა მეტოქის გასანადგურებლად. მასპინძელთა დაცვის მარწუხებში მოქცეული „რეალი“ დანებდა და მატჩი 28 ქულით დათმო. სერია ხვალ გაგრძელდება მადრიდში.

კონფერენციათა ფინალები (ოთხ მოგებამდე)

# ნუ ივიწყებთ, ვისთან გაქვთ საქმე!

## დასავლეთი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 3 |
| პორტლენდი | 1 |

26 მაისი

**პორტლენდი 91:93 ლეიკერსი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (19), სმიტი (14), პიპენი (12 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ვოლესი (19), საბონისი (11); ოგმონი (8), ველსი (3), ენტონი (3), შრემპფი (2), გრანტი, ჯ. ონილი

ლეიკერსი: ჰარპერი (12), ბრაიანტი (25), რაისი (8), გრინი (6), ონილი (26 ქულა, 12 მოხსნა); ფიშერი (7), ფოქსი (5), ჰორი (4), შოუ სეილი

28 მაისი

**პორტლენდი 91:103 ლეიკერსი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (4), სმიტი (20), პიპენი (11), ვოლესი (34 ქულა, 13 მოხსნა), საბონისი (14); გრანტი (5), ველსი (3), ენტონი, ოგმონი

ლეიკერსი: ჰარპერი (18), ბრაიანტი (18), რაისი (21), გრინი (2), ონილი (25 ქულა, 11 მოხსნა); ჰორი (9), ფიშერი (7), ფოქსი (3), სილი, ნაითი



REUTERS პორტლენდიდან

პორტლენდი — ლეიკერსი. პორტლენდელებმა სკოტი პიპენმა (მარცხნივ) და რაშიდ ვოლესმა შუაში მოიქციეს კობი ბრაიანტი

26 მაისს, მაშინ როდესაც სრულიად საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობდა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „პორტლენდი" შინ „ლეიკერსს" ამარცხებდა. ეს თავიდან, მერე კი მისთვის ყველაფერი შავ ფერებში წარიმართა — დამარცხდა და წლევანდელ პლეი ოფში პირველ შინაურ წაგებას მეორეც მიაყოლა. ახლა „პორტლენდი" სერიაში ორი გამარჯვებით ჩამორჩება მის მძლეველ მეტოქეს და თუ განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ველარც ფინალში ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, იქ მოხვედრის უმცირესი შანსიღა დარჩენია. ამ ორმა გამარჯვებამ კი „ლეიკერსს" გზა გაუხსნა ფინალისკენ, სადაც ამ ტიტულიან გუნდს ცხრა წელია, არ უთამაშია.

არადა, „ლეიკერსმა" პირველი პორტლენდული შეხვედრა დუნედ დაიწყო. ჩანდა, ჯერაც სერიის მეორე თამაშში შინ 29 ქულაში დამარცხებით გამოწვეულ შოკში იყო. სამაგიეროდ, მასპინძლები რიგიანად ირჯებოდნენ და დამაჯერებლადაც ლიდერობდნენ. სტუმართა მთავარი დამრტყმელი ძალა, შაკილ ონილი ნამდვილად ვერ იყო ხასიათზე, ფარქვეშ რამდენიმე მასპინძლის გარემოცვაში მყოფი იშვიათად იღებდა პასებს და სროლის საშუალება თუ მიეცემოდა, უეჭველად აცილებდა. ერთადერთი კაცი, რომელიც მასპინძლებს გაქცევის საშუალებას არ აძლევდა, კობი ბრაიანტი გახლდათ. მის ანგარიშზე პირველ ტაიმში 18 ქულა მოდის და სწორედ კობის დამსახურებაა, „ლეიკერსმა" ნახევარი მხოლოდ ათი ქულის სხვაობით (55:45) რომ დათმო.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ფილ ჯეკსონისგან მკაცრად დამოძღვრილი სტუმრები გავეშებულნი ეკვეთნენ მეტოქეს, ერთი მონაკვეთი 20:6 მოუგეს და აქ ონილმა, ვისაც პირველ ტაიმში სულ რვა ქულა გაეკეთებინა, ათი ქულა მიითვალა. „პორტლენდი" გვიან გამოფხიზლდა, მიხვდა რომ ათქულიანი სხვაობისგან ალარაფერი დარჩენილიყო. მასპინძლებს კვლავ მოუხდათ უპირატესობის მოპოვებისთვის ზრუნვა. მაგრამ აი, ისევ ვფეთქდნენ სტუმრები. ონილმა ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო და მორიგი, სამწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოაგებინა თავისიანებს. „ლეიკერსი" 87:81 დაწინაურდა. აქ „ბლეიზერსს" მშველელად სკოტი პიპენი მოევლინა, რომელსაც მანამდე რიგიანი ბევრი არაფერი გაუკეთებია. პიპენმა ჯერ საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ ბურთი ჩაჭრა და სამქულიანით სხვაობა ორამდე შეამცირა. მანვე უპასუხა ბრაიანტის ორქულიანს, მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე კი გაათანაბრა — 91:91. მისი თავგამოდება მასპინძლებს ვერაფერში გამოადგათ. „პორტლენდი" დალუპა პიპენის ყოფილმა თანაგუნდელმა „ჩიკაგოში" რონ ჰარპერმა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 35 წამით ადრე ფარიდან სამ მეტრში კობი ბრაიანტის პასი მარტო მყოფმა მიიღო და ბურთი აუღელვებლად ჩაუშვა კალათაში. ეს სროლა გადამწყვეტი აღმოჩნდა და მატჩის გმირიც ჰარპერი გახდა. „ჩვენ კარგად ვერ გავაცნობიერეთ, რომ ჰარპერი, მიუხედავად ყოველთვის ჩრდილში ყოფნისა, მაღალი დონის მოთამაშეა, მარტო დავტოვეთ და ამისთვის დავისაჯეთ კიდეც — ამბობდა წაგებით გულგატეხილი პორტლენდელი სტივ სმიტი — ასეთ დროს, როცა ყოველი ჩაგდებული ბურთი ბევრს წყვეტს, ნებისმიერ მოთამაშეს უნდა უფრთხილდე, მით უმეტეს, რომ ჰარპერი არცთუ დიდი ხნის წინ ვარსკვლავი იყო, თამაშში ოც ქულას აგროვებდა და „ოლ სტარიც" უთამაშია. მისი ახლანდელი პასიურობა, თამაშის დონის დაქვეითებით არ არის გამოწვეული. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მაშინ გავათვითცნობიერეთ, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო".

რონ ჰარპერს არც მომდევნო თამაშში შეურცხვენია თავი. პირიქით, იგი უჩვეულოდ აქტიურობდა და ქულებიც უხვად მოინაგრა. მან აშკარად აჯობა 20 სანტიმეტრით დაბალ მეურვეს, დეიმონ სტუდემაიერს. მისი 18 ქულა საუკეთესოა წლევანდელ პლეი ოფში. ჰარპერს არ ჩამორჩა გლენ რაისი და თავისი 33-ე დაბადების დღე, რომელიც თანაგუნდელებთან ერთად გადაიხადა, 21 ქულით აღნიშნა. ამ ორის და, ცხადია, ონილის და ბრაიანტის წყალობით, „ლეიკერსს" ამ თამაშის მოსაგებად ნაკლები პრობლემა შეექმნა, ვიდრე ორი დღის წინ.

## აღმოსავლეთი

27 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 2 |
| ნიუ იორკი | 1 |

**ნიუ იორკი 98:95 ინდიანა**

ნიუ იორკი: ვორდი (14 ქულა, 9 პასი), ჰიუსტონი (28), სპრიუელი (32), ჯონსონი (14), დადლი (2); ტომასი (4), ჩაილდსი (4), კემბი

ინდიანა: ჯეკსონი (3), მილერი (19), როუზი (26), დევისი (10 ქულა, 16 მოხსნა), სმიტსი (25); ბესტი (9), როშერი (3), პერკინსი, მაკკეი

„ნიუ იორკი" პლეი ოფში ყოველთვის უკეთ თამაშობს, ვიდრე რეგულარულ ჩემპიონატში, უკეთესად თამაშობს მაშინაც, როცა მას წინასწარ განწირულად თვლიან. „ნიქსს" ტრავმირებული ლიდერი, ცენტრი პატრიკ იუინგი აკლდა. მას კრის დადლი ცვლიდა, რომლის სტატისტიკა კი ამ თამაშში ასეთია: 25 წუთი, ორი ქულა და ხუთი ჯარიმა. „ნიუ იორკის" ვერც სხვა მაღლების — კურტ ტომასის და მარკუს კემბის სტატისტიკა მეტყველებს მათი პატრონების ვაჟკაცობაზე. რაღა გასაკვირია, რომ „ნიქსმა" მთელ თამაშში 28 მოხსნა გააკეთა და პირწმინდად დათმო ფარი, მაგრამ გამარჯვება მაინც მასპინძლებს დარჩათ. როგორც ჩანს, „ინდიანას" დაავიწყდა, ვისთან ჰქონდა საქმე და შინ ორი გამარჯვების შემდეგ სტუმრად თამაშისთვის რიგიანად არ მოემზადა. ნიუორკელებს არც შარშან ჰყავდათ პატრიკ იუინგი, მაგრამ კონფერენციის ფინალში მაინც მიუგეს „ინდიანას".

იუინგის არყოფნამ ორივე გუნდის სათამაშო ტაქტიკაში შეიტანა კორექტივები. „ინდიანამ" ფარქვეშ სიხალვათე იგრძნო და ფონს გასვლასაც აქედან ცდილობდა. ცენტრმა რიკ სმიტსმა სულ თავბედი აწყევლინა მეურვე კრის დადლის, რომელიც პერსონალურს პერსონალურზე იღებდა. სტუმართა თავდამსხმელი დეილ დევისი კი ფარქვეშ გაბატონდა და მარტო მან მთელ თამაშში ორივე ფარზე ასხლეტილი ბურთების მეოთხედი მოხსნა. მეტოქის საპირისპიროდ, მასპინძლებმა თამაში ფარსგარეთ გამოიტანეს, აქედან კი „ნიქსის" დაბლები ჰიუსტონი, ვორდი და სპრიუელი ყოჩაღობდნენ. „ინდიანას" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს. ჯეკსონ-მილერის დუეტი ერთობ სახიფათოა შეტევაში, მაგრამ აი, დაცვაში ნამდვილად მოიკოჭლებს. მათ ჰიუსტონის და სპრიუელის შეჩერებას საშველი ვერ დააყენეს. განსაკუთრებით სპრიუელი გადაირია, რომელმაც უნივერსალიზმი გამოავლინა და ყველგან იყო, სადაც გუნდს დასჭირდებოდა. ამ საკმაოდ დაძაბული თამაშის მოგებაში ლომის წილიც მან დწაიდო. „სპრიმ" (სპრიუელმა) სასწაულები მოახდინა. მას რომ ისევე „კარგად" ეთამაშა, როგორც ინდიანაპოლისში, განადგურებას ვერ ავცდებოდით. — ამბობს ნიუორკელი ლარი ჯონსონი — იგი სწორედ მაშინ გადაირია, როცა ყველაზე უფრო გვჭირდებოდა... ვისურვებდი, ყოველთვის ასეთი გადარეული ყოფილიყოს".

**ირაკლი ფირაშვილი**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე). მე-3 ტური

31 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ჰოლანდია-ესპანეთი | | | |
| 502 | ჩეხეთი-ხორვატია | | | |
| 503 | თურქეთი-იტალია | | | |
| 504 | ინგლისი-სლოვაკეთი | | | |

ამხანაგური მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 30 მაისი | | | |
| 507 | ირლანდია-შოტლანდია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 31 მაისი | | | |
| 508 | რუსეთი-სლოვაკეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 509 | ინგლისი-უკრაინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 3 ივნისი | | | |
| 510 | დანია-ბელგია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 511 | უნგრეთი-ისრაელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 512 | მალტა-ინგლისი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 513 | ნორვეგია-იტალია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 514 | რუმინეთი-საბერძნეთი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 515 | გერმანია-ლიხტენშტაინი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| 516 | შვედეთი-ესპანეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 4 ივნისი | | | |
| 517 | ჰოლანდია-პოლონეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

მჩ შესარჩევი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 ივნისი | | | |
| 518 | პარაგვაი-ეკვადორი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 519 | ურუგვაი-ჩილე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 4 ივნისი | | | |
| 520 | პერუ-ბრაზილია | 4,7 | 3,0 | 1,65 |
| 521 | არგენტინა-ბოლივია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 522 | კოლუმბია-ვენესუელა | 1,05 | 7,0 | 14,0 |

ჰოლანდია. მე-5 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 30 მაისი | | | |
| 030 | როზენდალი-ცვოლე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 031 | კამბური-ექსელსიორი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 31 მაისი | | | |
| 032 | ალმელო-გრონინგენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 033 | მაასტრიხტი-ემენი | 1,7 | 3,2 | 4,2 |

შვედეთი. თასის ფინალი. II მატჩი

1 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | იორგრიტე-აიკ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | *I მატჩი: 2-0* | | | |

კალათბურთი

30 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 802 | ინდიანა-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

ჰოკეი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 30 მაისი | | | |
| 807 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | 1 ივნისი | | | |
| 808 | ნიუ ჯერსი-დალასი | | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ცოდვილის დაბრუნება



REUTERS

მარტინა ჰინგისი

მარტინა ჰინგისმა შარშან პარიზი ცრემლებითა და ღრმა დეპრესიით დატოვა, თუმცა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამჯერად იგივე შეცდომის გამეორებას აღარ აპირებს.

მანდილოსანთა ფინალში შტეფი გრაფთან შეხვედრაში 19 წლის შვეიცარიელმა სამაგალითოდ შეირცხვინა თავი, წვრილმანი თაღლითობებითა და მსაჯთან თავხედური კამათით პარიზელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა და მსოფლიოს მასმედიისგანაც მწარედ მოხვდა.

წლეულს საფრანგეთის დედაქალაქში რამდენიმე დღით ადრე ჩასულმა მარტინამ საჯაროდ აღიარა, საშინლად მოვიქეციო და მასპინძლებს პატიებაც სთხოვა: „მსურს, დავივიწყო, რაც მაშინ მოხდა. იმ მატჩმა ძალიან ბევრი რამ მასწავლა და იმედი მაქვს, ხალხი ჩემს წინააღმდეგ აღარ განეწყობა. წარსული წარსულია და აღარაფერი ეშველება, მთავარია, ამიერიდან როგორ მივიქცევი".

შეუნდობენ თუ არა ჰინგისს ფრანგები, ჯერ კიდევ საკითხავია, თუმცა ორშაბათს მას მაინც დიდი პატივი დასდეს და განახლებულ ცენტრალურ კორტზე პირველი შეხვედრის ჩატარება მიანდეს.

ახალი, თანამედროვე ტექნიკით, მოთამაშეებისა და მაყურებლებისთვის გაცილებით კომფორტული პირობებით გამორჩეული კორტი, შარშან ზაფხულში ძველის მიწასთან გასწორების შემდეგ ააგეს. კვირას მის გახსნას თვით საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ესწრებოდა, რომელსაც ექსკურსიამძღოლობა დევისისა და ფედერაციის თასის ნაკრებების წევრებმა გაუწიეს.

ჰინგისის მეტოქეს, ბელგიელ საბინე აპელმანსს ცენტრალური კორტით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა — შვეიცარიელი ხუმრობის ხასიათზე სულაც არ გახლდათ და, ეტყობა, მატჩის რაც შეიძლება სწრაფად დასრულების სურვილი კლავდა.

მარტინამ პირველი სეტი სულ რაღაც 18 წუთში მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ აპელმანსმა ამის შემდეგ ხელი გამოიღო და მცირეოდენი წინააღმდეგობაც გასწია, გამარჯვებულის ბედი ეჭვს აღარ იწვევდა — 6:0, 6:4.

„ვფიქრობ, მან შთამბეჭდავად ითამაშა. მარტინა ბურთს ძლიერ ქარშიც კი სრულყოფილად აკონტროლებს, თანაც აშკარად ეტყობა, რომ ბოლომდე არ იხარჯება და შეუძლია, გაცილებით მეტი გააკეთოს" — ბელგიელი იმ მოთამაშეთა რიგებს შეუერთდა, რომლებიც ჰინგისს როლან გაროსის ტიტულის დაუფლებას უწინასწარმეტყველებენ.

მარტინას არ იყოს, კაცებს შორის უპირველესმა ფავორიტმა, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმაც სულ იოლად გააღწია მეორე წრეში.

19 წლის ნიჭიერ შვედ ანდრეას ვინსიგერას წესით არაფერი უნდა დაეთმო სახელოვანი მეტოქისთვის, მაგრამ „გუგას" შეჩერება, უბრალოდ, შეუძლებელი გამოდგა — 6:0, 6:0, 6:3, სულ რაღაც საათსა და 13 წუთში.

„პარიზში ფავორიტობა ჩემთვის ახალი არ არის, ამიტომ რაიმე დამატებით ზეწოლასაც არ ვგრძნობ, ვგონებ, პირიქით, ის უფრო ნერვიულობდა. წლეულს ტრავმის გამო შედარებით ნაკლებ ტურნირებზე ვიასპარეზე, ამიტომ თავს გადაღლილად არ ვგრძნობ და მზად ვარ, ყველაფერს გავუძლო" — გააფრთხილა მომავალი მეტოქეები მატჩის შემდეგ კუერტენმა.

პირველი წრე

**ქალები: ნატალი ტოზია** (7, საფრანგეთი) — კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) 6:3, 6:3; **სანდრინ ტესტიუ** (10, საფრანგეთი) — სედა ნურლანდერი (ჰოლანდია) 7:6 (8:6), 6:1; **მეგან შონესი** (აშშ) — ჟული ალარი (12, საფრანგეთი) 7:6, 6:4; **ჯულია აბე** (გერმანია) — მარიონ მარუშკა (ავსტრია) 1:6, 6:3, 6:4; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 3:6, 7:6 (7:3), 6:4; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4.

**კაცები: ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — ნიკოლას კიფერი (8, გერმანია) 6:3, 7:5, 6:1; **ნიკოლას ლაპენტი** (11, ეკვადორი) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:0; **ტიმ ჰენმანი** (13, ინგლისი) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 7:5, 7:5, 6:4; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:1, 6:2, 2:6, 6:3; **სებასტიან გროსჟანი** (საფრანგეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:4, 6:2, 1:6, 6:1.



REUTERS

სლოვაკეთის ნაკრები: მიროსლავ მეჩირჟი, დომინიკ ჰრბატი, კაროლ კუჩერა და იან კროსლაკი

# ახლა ჭამის დროა

**დიუსელდორფი. გერმანია. ATP ტურის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. თიხნარი. საპრიზო 2 მილიონი $**

ფინალი

**სლოვაკეთი 3:0 რუსეთი**

**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:4, 7:6 (7:1); **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 6:2; **ჰრბატი და იან კროსლაკი** — კაფელნიკოვი და საფინი 6:4, 6:2.

მარატ საფინიც უბრალო მოკვდავია და როგორც აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ მეტოქეებს რობოტივით მუსრავს, იგი თურმე ბურთსაც აცილებს და ცუდადაც თამაშობს.

20 წლის ზორბა რუსმა შაბათს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში თავი ველარაფრით გამოჩინა და შედეგად რუსეთის საჩემპიონო ამბიციებსაც ბოლო მოეღო — მთავარი ჯილდო და 500 ათასი დოლარი სლოვაკებს ხვდათ წილად.

ბოლო ერთ თვეში დამარცხებას გადაჩვეულ საფინს ლაგამი კაროლ კუჩერამ ამოსდო. საოცრად მოქნილმა და სწრაფმა სლოვაკმა, რომელსაც სრულიად მართებულად „პატარა კატას" ეძახიან, მეტოქეს თავიდანვე აართვა მოწოდება და მოთმინებიდან გამოიყვანა იმით, რომ ერთი შეხედვით აუღებელ ბურთებს უსწრებდა.

მეორე სეტში განერვიულებულმა საფინმა ბურთი ტრიბუნებს გადააცილა და მახლობელ ტყეში გადაუძახა, თუმცა მატჩის შემდეგ ნერვები მოთოკა: „დღეს გადაღლილი ვიყავი. ბოლო ხანს იმდენი რამ მოხდა, ამაზე საფიქრალადაც არ მეცალა. ახლა კარგი სადილი და ორი-სამი დღით დასვენება მჭირდება. ჩვენ აქ გაისადაც დავბრუნდებით და აუცილებლად გავიმარჯვებთ".

თუ საფინის მარცხი მოულოდნელი იყო, როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვი დომინიკ ჰრბატისთან წინასწარ განწირულად ითვლებოდა: მანამდე ხუთიდან ოთხი პირადი შეხვედრა ხომ სლოვაკის გამარჯვებით დასრულდა.

ბოლო ხანებში თავის საკმაოდ დაბალი სტანდარტებითაც კი უჯიგროდ მოთამაშე ჟენიამ მატჩში შემოკლებულების დარტყმაში გაივარჯიშა, ზედმეტ ოფლისღვრას მოერიდა და მოგვიანებით მეტად მართებულადაც აღნიშნა, საფრანგეთის ღია პირველობისგან ბევრს არაფერს მოველიო.

სლოვაკთა ბანაკში, ცხადია, სულ სხვა განწყობა სუფევდა. „მსოფლიოს ჩემპიონობა შესანიშნავი გრძნობა და დიდი პატივია. კარიერაში ასეთი მნიშვნელოვანი ტიტული პირველად მოვიგე" — აღნიშნა კუჩერამ.

რაც შეეხება ჰრბატის, პარიზში ის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

**სენტ პოლტენი. ავსტრია. რაიფესენის დიდი პრიზი. თიხნარი. საპრიზო 450 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ანდრეი მედვედევი (3, უკრაინა) 6:4, 2:6, 6:2; **ენდრიუ ილი** (7, ავსტრალია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 7:5, 6:3; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:7 (6:8), 6:3, 6:4; **ხუან-ანტონიო მარინი** (კოსტა რიკა) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:3, 6:4.

ნახევარფინალი: **ილი** — მარინი 6:1, 7:6 (7:3); **პაველი** — პორტასი 2:6, 6:3, 6:2.

ფინალი: **პაველი** — ილი 7:5, 3:6, 6:2.

რუმინელმა ანდრეი პაველმა ბოლო ცამეტიდან თორმეტი მატჩი, თან კარიერის მეორე ტიტულიც მოიგო და როლან გაროსზე მასთან შეხვედრის სურვილი ბევრს გაუქრო.

**ავთანდილ სვანიძე**

ცურვა

# ინგემ მქლავი გაშალა



ინგე დე ბრუინი

„ერიჰაა!" — უეჭველად შესძახებდა შაბათს შეფილდის საცურაო არენის ტრიბუნას შეხიზნული მავანი ინგლისელი ჯენტლმენი ინგე დე ბრუინისგან ნაჩვენები სასწაულების შემდეგ. იმ ღირსშესანიშნავ დღეს მრავალმა მაყურებელმა იხილა ჰოლანდიელის საცურაო ფოკუსთა აპოგეა. სენსაციური წინა დღეებშიც ბევრი მოხდა და შემდეგაც. დე ბრუინმა წინა კვირას მონაკოდან დაიწყო, სადაც ერთი მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა და ევროპისა მოხსნა, შეფილდის „სუპერ გრან პრიზზე" კი პარასკევს თავისუფალი სტილით 50 მეტრზე ცურვაში ჩინელი ლე ჯინგუის კარგა ხნიერი რეკორდი გაიმეორა, მერე კი იმავე მანძილზე ბატერფლაიში თავისივე მონაკოური ცინცხალი მსოფლიოს რეკორდი დაამხო. მთავარი წინ იყო — შაბათს დე ბრუინმა ბატერფლაით 100 მეტრი ყველაზე სწრაფად გაცურა და შარშან აგვისტოში ამერიკელი ჯენი ტომპსონისგან ნაჩვენებ შედეგსაც ისტორიის არქივში გადაუძახა, მაგრამ გაუმჯობესებაცაა და გაუმჯობესებაც! აი, მაგალითად, როცა იგივე ტომპსონი რეკორდსმენი გახდა, მისგან ამერიკელივე მერი. მიგერის რეკორდისგან ჩამოჭრილი დრო წამის ხუთი მეასედი იყო, ხოლო მიგერის რეკორდის ასაკი — 18 წელი. დე ბრუინმა 56,69 წამი უჩვენა, რაც ტომპსონის შედეგზე 1,19 (!) წამით ნაკლებია.

კვირას დე ბრუინმა არ მოისვენა და ახლა თავისუფალი სტილით ასი მეტრის რეკორდულ დროში გაცურვა სცადა. ეს რეკორდიც ნახსენები ჩინელის კუთვნილება ყოფილა და მასაც არ ეწერა დიდი დღე. შვიდი წლის წინანდელ მიღწევას დე ბრუინმა 0,21 წამი მოაკლო და 53,80 წამში დაფარა ის ასი მეტრი. რა დოპინგი მიიღო, ნეტავ, ასეთი?

**დავით გულუა**

ავტორბოლა

# რომ ინსპექტორის სახელი მრქმას...



THE SUN

ჯენსონ ბატონი

**ყველა როდია ლირსი.** აი, ფრანგული ტულუზიდან მონაკოში მიმავალ ტრასაზე მდგარ ავტოინსპექტორ კლოდ ლეფევრზე ძვირს ნამდვილად ვერავინ იტყვის. თვით ფორმულა 1-ის ბრიტანელი პილოტი, 20 წლის ჯენსონ ბატონი, რომელიც ზემოთნახსენებმა ლეიტენანტმა შაბათს 5000 ფრანკით დააჯარიმა.

საქმე ასე იყო. ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მრბოლი უახლესი BMW 330 D-თი ტულუზიდან მონაკოსკენ მიიჩქაროდა. უფრო სწორად, მიფრინავდა — მისი სიჩქარე 228კმ/სთ იყო. არადა, გზის იმ მონაკვეთზე მხოლოდ 125კმ/სთ-ით გავლა ყოფილა შესაძლებელი. ჰოდა, მუსიე ლეფევრმა და მისმა კოლეგამ იმდენი შეძლეს, მქროლავ მძღოლს დაეწიენ, მანქანა გააჩერებინეს და საბუთებიც კი მოსთხოვეს.

ეს ყველაფერი ნაცნობი სურათია, ამის მერე კი... „მშვენიერი 10 წუთი მქონდა. ჯენსონი ნამდვილი ბრიტანელი ჯენტლმენი ყოფილა. საინტერესოდ ვისაუბრეთ. ბოლოს კი დავაჯარიმეთ" — თქვა ფრანგმა ავტოინსპექტორმა. ნაწყენი არც ჯენსონ ბატონი დარჩენილა, მითუმეტეს, რომ ინგლისში ასეთ დარღვევაზე მართვის მოწმობის ჩამორთმევაა გათვალისწინებული: „გადასარევი ხალხი იყო. ჯარიმა რომ გადავიხადე, ყავაზე დამპატიჟეს და ბოლოს ავტოგრაფიც გამომართვეს".

*მიეცით ხელფასი ქართველ ავტოინსპექტორებს!*

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრაისტჩერჩი: თორმეტში პირველი მესამედ

# შავი თოვლი კანბერაში

**ზე 12. ფინალი**

27 მაისი

**კანბერა (ავსტრალია) 19:20 კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია)**

კანბერა: 1 ლ — სმიტი; 1 გ. და 4 ს — მორტლოკი
კრაისტჩერჩი: 1 ლ — კრიბი; 5 ს — მერთენსი

ზე 12-ის ფინალს მოუთმენლად ელოდნენ რაგბის ქომაგ-სპეციალისტები. ფინალი მართლაც მშვენიერი გამოდგა თუმცა არა კანბერას ლაღი და ძლიერი თამაშით (როგორც მოსალოდნელი იყო), არამედ, სამხრეთ ნახევარსფეროში ზამთარის მოახლოების გამო. ავსტრალიურ ქალაქს ხან აწვიმდა და ხან ათოვდა, რაც მასპინძლებს ხელით თამაშის საშუალებას ერთიორად უკვეცავდა. პირველი თოვლით გამოწვეული სიხარული კი ადგილობრივებს ახალზელანდიელებმა „ჩაუშავეს“ — კრაისტჩერჩმა ფავორიტ კანბერას ძლევით ზედიზედ მესამე მოიპოვა სამხრეთ ნახევარსფეროს უძლიერესი კლუბის ტიტული.



კრაისტჩერჩელთაგან ერთადერთი ლელო რონ კრიბმა გაიტანა

არადა, თითქმის მთელი თამაშის მანძილზე მასპინძლები უტევდნენ და დროის უმეტესი ნაწილიც ისინი აკონტროლებდნენ ბურთს. სტუმრები კი დაცვაში გმირულად იბრძოდნენ და შესაბოჭ მანძილზე მიახლოებულ მეტოქეს წაუქცევლად არ უშვებდნენ. ალბათ, მატჩის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა. თანაც კანბერას დამრტყმელი და ტურნირის ყველაზე შედეგიანი მორაგბე სტირლინგ მორტლოციც არ იყო ჩვეულ ფორმაში და როდესაც საჯარიმოებს მიყოლებით აფუჭებდა, მისი მეტოქე ენდრიუ მერთენსი თითქმის ყველა შანსს იყენებდა ქულების მოსახვეჭად. მან პირველი საჯარიმო მე-3 წუთზე გაიტანა, 25 წუთში კი მისი წყალობით კრაისტჩერჩი უკვე 12:0 იგებდა. უოლკერი, ბართოლომეუსი და სხვები კი ვერაფრით ახერხებდნენ ახალზელანდიელთა რკინის დაცვის გარღვევას.

კანბერამ ქულების მოპოვება მხოლოდ მაშინღა შეძლო, როცა მოწინააღმდეგე 10 წუთით რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა — გრეგ სომერვილმა ერთ-ერთ ავსტრალიელს ფეხით გადაუარა, მსაჯმაც ყვითელი ბარათით დასაჯა. როგორც იქნა, მორტლოკმა საჯარიმო გაიტანა, მაგრამ შესვენებამდე მასპინძლებმა ანგარიში ველარ შეამცირეს (3:12).

თამაშის განახლებისთანავე კანბერას იერიშებიც განახლდა. უმეტეს დროს ბურთი მაინც მათ მფლობელობაში იყო, მაგრამ ტერიტორიული უპირატესობის ანგარიშში ასახვას მორტლოკი აგვიანებდა. რამდენიმე გაცუდებული საჯარიმოს შემდეგ, მან როგორც იქნა იხეირა (48-ე წუთი). მგონი, ამის შემდეგ ბურთი პირველად მოიხელთა კრაისტჩერჩმა და ბრწყინვალედაც გამოიყენა. მერთენსმა მორკინალ კრიბს მიაწოდა პასი, მან კანბერას დაცვის პირველი ხაზი იოლად გაჭრა, ბურთი ფეხით დაკიდა მეორე ხაზის უკან, ყველაზე სწრაფიც თავად აღმოჩნდა და შედეგად ულამაზესი ლელო მოიმკო.

მასპინძლებს მხსნელად შეცვლაზე შემოსული ჯორჯ სმიტი მოევლინათ. მან სკოტ როდერტსონის და მერთენსის შებოჭვებს თავი დააღწია და ბურთი კრაისტჩერჩის ძელებს შორის დადო. გარდასახვის შემდეგ ანგარიში 13:17 გახდა და, მატჩის ბოლო ორივე გუნდის ქომაგებისთვის ძალიან სანერვიულო გამოდგა. მორტლოკმა ანგარიში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე მან კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და კანბერა პირველად დაწინაურდა — 19:17. თუმა ავსტრალიელთა სიხარული ერთობ ხანმოკლე გამოდგა.

შეხვედრის დამთავრებას ალარაფერი უკლდა, მასპინძლები თავისი სალელოე მოედნიდან 40 მეტრში რომ დაჯარიმდნენ, მერთენსისთვის კი 40 მეტრი რა ბედანაა. ჰოდა, „შავების“ დამრტყმელმა კიდევ ერთხელ ივარგა, თავისიანები 20:19 დააწინაურა და მსაჯის მიერ წამატებულ დროში ვალმოხდილმა დაუთმო თავისი ადგილი ახალგაზრდა მაუგერს.

ბოლო შეტევებმა კანბერას ველარაფრით უშველა და ზე 12-ში ახალზელანდიელთა ბატონობა კიდევ ერთი წლით გაგრძელდა. ეს ტურნირი უკვე ხუთჯერ გაიმართა და ხუთჯერვე კუნძულელების ზეობით დასრულდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ტურნირის საუკეთესო მელელოეები

| | |
|---|---|
| ენდრიუ უოლკერი (კანბერა, 13 მატჩი) | 13 |
| მარიკა ვუნიბაკა (კრაისტჩერჩი, 13) | 11 |
| ბრეიტონ პაულსი (კეიპტაუნი, 11) | 10 |
| კრისტიან კალენი (ველინგტონი, 11) | 10 |
| კალებ რალფი (კრაისტჩერჩი, 13) | 8 |
| რონი კრიბი (კრაისტჩერჩი, 13) | 7 |
| კრის ლეტჰემი (ბრისბენი, 11) | 7 |
| მარკ ბართოლომეუსი (კანბერა, 13) | 7 |

### ტურნირის ყველაზე შედეგიანები

| | |
|---|---|
| სტირლინგ მორტლოკი (კანბერა, 13) | 194 ქულა |
| ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი, 13) | 160 |
| მეტიუ ბარკი (სიდნეი, 11) | 158 |
| ტონი ბრაუნი (დანიდინი, 12) | 153 |
| ლუის კოენი (იოჰანესბურგი, 12) | 132 |
| ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი, 11) | 129 |
| ჯანი დე ბეერი (პრეტორია, 11) | 125 |
| დევიდ ჰოლუელი (ველინგტონი, 11) | 105 |

თბილისი
27 მაისი

**უნივერსიტეტი 18:19 (8:3) ასკ**

უნივერსიტეტი: ჯანუყაშვილი (სანაძე), ჯ... თარაშვილი, წიკლაური (ალიბეგაშვილი), ქირიკაშვილი, კობიაშვილი (ჩქა... რეული), გუნდიშვილი, მჭედლიშვილი, მუავანაძე, მოდებაძე, ბარამიძე (აფსა... ჯანიშვილი), ჯაში, ელოშვილი, კიზი... რია (დანელია), მხეიძე, ჭუმბურიძე
2ლ — მხეიძე, მუავანაძე; 1გ — მოდებაძე; 2ს — მოდებაძე
ასკ: მაგრაქველიძე, სუჯაშვილი, ქავთა... რაძე (მაისურაძე), ჭელიძე, მათიაშვილი, სვანიძე, ცხადაძე, გაფრინდაშვილი, გეგეშიძე (სამხარაძე), ძამიაშვილი, კოდუა, ბალანჩივაძე (მაღრაძე), კაპა... ნაძე, მინაშვილი, კიკნაძე
2ლ — სუჯაშვილი, გაფრინდაშვილი; 3... — კიკნაძე
მსაჯი: რ. სანებლიძე
მეთვალყურე: მ. რობიტაშვილი

ბათუმი
28 მაისი

**დათვები 11:18 ლოკომოტივი I**

დათვები: 1ლ — ხონელიძე; 1გ — ე. ძაგნიძე; 1ს — ე. ძაგნიძე
ლოკომოტივი I: 2ლ — გუგავა, ასათიანი; 1გ — კვინიხიძე; 2ს — კვინიხიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

### წყნარი ოკეანის ჩემპიონატი

მეორე ტური
27 მაისი

**ფიჯი 25:22 ტონგა**

**იაპონია 21:36 აშშ**

*სამოა და კანადა ისვენებდნენ*

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 72:44 | 9 |
| აშშ | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 36:21 | 5 |
| კანადა | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 29:11 | 4 |
| ტონგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 33:54 | 1 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 43:83 | 0 |
| სამოა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23

მძლეოსნობა

# ამბავი ქალისა და ორი კაცისა

ჰოლანდიურ ჰენგელოში კვირას ადრიაან პაულენის მემორიალი ჩაიშალა. აქ აშკარა უიღბლობაზეა ლაპარაკი: თავიდან ტურნირი მეზობლად მომხდარი შემზარავი აფეთქების გამო გადაიდო (მაშინ სირბილი ვის ახსოვდა) და როცა ორგანიზატორებმა მისი გამართვა მაინც გადაწყვიტეს, ახლა ბუნებამ არ შეუწყო ხელი. უქმეებზე ჰენგელოში იმგვარი ქარაშოტი ქროდა, სარბენად აბა, ვინ წავიდოდა. ახლა მასპინძლები იქით კვირას ელიან და თუ გაამართლა, იქნებ ველირსოთ ეთეოპიელი ჰაილე გაბრესელასიეს ნახევარწლიანი შვებულებიდან დაბრუნებას, აქილევსის მყესის ჭირვეულობამ რომ გამოიწვია. ეთეოპიელზე ერთ ცნობას მაინც მოგაწვდით: სიდნეის ოლიმპიადაზე იგი მხოლოდ 10 000-მეტრიან დისტანციას ირბენს, ორჯერ ნაკლებ გზას კი თანამემამულეთა სასიკეთოდ ჩამოეცლება. „ეთიოპიაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მორბენალია — მამულიშვილურად განაცხადა კვირას გაბრესელასიემ, რომელსაც საერთოდ მორიდებულ და თავმდაბალ კაცად იცნობენ — მე მათ ხელს არ შევუშლი, დაე, თავისუფლად ირბინონ და ოლიმპიურ ოქროს წაეპოტინონ. თუ მოიგეს, ხომ კარგი, თუ არა და მომდევნო ოლიმპიადებისთვის საჭირო სკოლას გაივლიან“. ჰაილე პატივისცემას იმსახურებს და გერმანელი დიტერ ბაუმანიც, სამართლის შეუპოვარი და მოუღლელი ძებნისთვის. ვინ აღარ შეაწუხა ბაუმანმა, გუბერნატორამდე იარა, მაგრამ თავისი საქმე იოტის ოდენადაც ვერ წასწია წინ. მას, გეხსომებათ, დოპინგის მოხმარებაში ედება ბრალი და სანამ თავისი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაცია საბოლოო მსჯავრს დასდებდეს, ამას წინათ შეჯიბრებებში დროებით გამოსვლაზეც უარი სტკიცეს. ის შეჯიბრებები ბაუმანს სიდნეის ოლისპიადისთვის ფორმის აღსადგენად უნდოდა. წაგებამ მძლეოსანი ვერ შეაჩერა და რა უნდა ვთქვათ, კაცი რომ ამდენს ცდილობს, იქნებ ცოტა მართალიც იყოს, მით უფრო ბაუმანისმაგვარი, ძირს დოპინგიო, მთელი შეგნებული ცხოვრება რომ გაჰყვიროდა. ბაუმანისგან მოსული სიახლე ის გახლავთ, რომ იგი ამჯერად გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის შესაძლო უარყოფითი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს — თუ ორწლიან დისკვალიფიკაციას გამოუწერენ, არ გაჩერდება. ეს აქედანვე განაცხადა, დაახლოებით იმ დროს, როცა შორს, ამერიკულ ფინიქსში განთქმული მეჭოკე ქალბატონი, სტეისი დრაგილა თავისი ახალი მსოფლიოს მიღწევით ხარობდა. ღია ცის ქვეშ ჭოკით ხტომაში აქამდე არსებული რეკორდი დრაგილასა და ავსტრალიელი ემა ჯორჯის ზიარი საკუთრება იყო, ახლა კი მთლიანად ამერიკელის გახდა შედეგით — 4 მეტრი და 62 სანტიმეტრი. 2 სანტიმეტრით ნაკლებია მსოფლიოს რეკორდი დარბაზებისთვის და ვინაა მისი ავტორი? ნაწყვეტი დაახლოებით სამით თვის წინანდელი „სარბიელიდან“. „გუშინწინ ამერიკელი სტეისი დრაგილა ახტა, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი და ჩამოხტა, როგორც რეკორდსმენი...“ იმის მერე უფრო მაღლა არავინ ამხტარა.

**დავით გულუა**



სტეისი დრაგილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პელოტონმა თოვლიანი მთებიც გადალახა

# წინ, ლიეტენანტო გარძელი!

giro d'italia 2000

გაპროფესიონალებიდან სამი წლის თავზე, იტალიელმა ენრიკო კასანიმ პირველი ეტაპი მოიგო, თანაც „ჯიროდიტალიაზე". „ვიცოდი, რომ ფინიშზე სპრინტის მომგები არ ვიყავი და შეტევით ფონს გასვლა დავაპირე — უთხრა ჟურნალისტებს კასანიმ მას შემდეგ, რაც პოდიუმზე შედგა და ანგელოზივით გოგოებმა ორივე ლოყა დაუკოცნეს — გამიმართლა". იტალიელის იერიში 184-კილომეტრიანი მე-12 ეტაპის გავლამდე 2 კილომეტრით ადრე დაიწყო. ბოლომდე გაურკვევლობა იყო, მაგრამ ფინიშის ხაზზე კასანი უახლოეს მდევარზე წამით ადრე მაინც გამოჩნდა, რამაც საშუალება მისცა, იგი იმ ეფექტურ პოზაში გადაელახა (ხელები მაღლა და ა.შ.), როგორიც სხვისგან არაერთხელ უხილავს და იქნებ დასიზმრებია კიდეც. მთლიანად ეტაპზეც ერთი-ორი სიტყვის თქმა შეიძლება. ყურადსაღები ის არის, რომ გამარჯვებულთა ოცეულში საერთო ჩათვლის არც ერთი ლიდერი არ გარეულა. მათ ამჯერად ალბათ გადაწყვიტეს, ახალგაზრდობისთვის მეტი თავისუფლება მიეცათ და თავად იმ მძიმე ბრძოლისთვის შემზადებულიყვნენ, მომდევნო ეტაპებზე დოლომიტის მთებში რომ ელოდათ. ლამის სტარტიდანვე პელოტონს 25 კაცი მოსწყდა და მათში არც ერთი ფავორიტი არ ყოფილა. მთავარ ჯგუფში ვარდისფერი მაისურათი მიმქროლავი ფრანჩესკო კასაგრანდე მოხდარს არ შეუშფოთებია, რახან ყველა ძირითადი მეტოქე თავისთან ჰყავდა დაგულებული და, თუ მოწინავეებში რამე აინტერესებდა, თავისი უმცროსი ძმისა და თანაგუნდელის, ფილიპოს შედეგი. ფილიპომ სანაქებოდ ირბოლა და საბოლოოდ მეექვსე იყო ანუ იმ თორმეტკაციანი ჯგუფის წევრი, ვალიკოს მთის გადასვლისას, ზღვის დონიდან 1075 მეტრ სიმაღლეზე დანარჩენ ცამეტს რომ მოსწყდა და დაწინაურდა, ფინიშამდე 42 კილომეტრით ადრე. ბოლოს რაც იყო, გითხარით და ახლა მომდევნო ეტაპის შესახებ, რომელმაც დოლომიტის მთებში ერთობ დაძაბულად ჩაიარა. კასაგრანდემ დიდად მოინდომა, რომ ლიდერობა შეენარჩუნებინა, თუმცა მისი დაკარგვაც ერთი შეხედვით მომწიფებული ჩანდა: თითებზე ჩამოსათვლელი წამებით ჩამორჩებოდნენ იტალიელს თვისტომები — ვლადიმერ ბელი, დანილო დი ლუკა და რუსი პაველ ტონკოვი. სხვებიც მოახლოვებულიყვნენ და ამ კრიტიკულ წუთში კასაგრანდემ აიწყვიტა, მთებში საკმაო ნებისყოფა გამოიჩინა და ლიდერობა გაიმყარა, ოღონდ ის ეტაპი არ მოუგია. გზის სიგრძე 186 კილომეტრი იყო და ფინიშიც აღმართის ბოლოს შეერჩიათ. პელოტონი, როგორც ამ შემთხვევაში ტრადიციულად ხდება ხოლმე, ჩამორჩა და ეტაპის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე ესპანელი ხოსე ლუის რუბეირა და იტალიელი ჯილბერტო სიმონი დაწინაურდნენ, მათგან 31 წამის სავალზე კი კასაგრანდე და „მერკატონეუნოელი" სტეფანო გარძელი მიუყვებოდნენ მთის მოასფალტებულ ბილიკს. ვითარება ბოლომდე უცვლელი დარჩა, ველომრბოლებმა კი შეყვარებულებივით წყვილ-წყვილად გადალახეს ფინიშის ხაზი, ოღონდ წამის გადამწყვეტი მეასედების ამბავში ქუდბედიანები რუბეირა და გარძელი გამოდგნენ, ამიტომაც პირველი და მესამე ადგილები მათ ერგოთ, მე-13 ეტაპიდან კი ყველაზე მეტი ხეირი მაინც კასაგრანდემ ნახა, რადგან მისი უშუალო კონკურენტები გვარიანად ჩამორჩნენ და საერთო ჩათვლაში დროის სოლიდური მარაგი მიიღო. ეტაპის შემდეგ მეორე პოზიციაზე დამკვიდრდა ს ტეფანო გარძელი და წინასწარ შევნიშნავთ, რომ ვერც მე-14 ეტაპმა შეცვალა ვერაფერი, ამიტომ ამ ახალგაზრდაზე ცოტასაც ვიტყვით. იგი იტალიელია და აქამდე იმით იცნობდნენ, რომ „მერკატონე უნოში" მარკო პანტანის უსაჩინოესი ლეიტენანტი იყო (ლეიტენანტი რბოლისას გუნდის ლიდერის დამხმარეს ჰქვია). მაგრამ ახლა პანტანი ფორმაში ვერ არის და გარძელმა, ეტყობა, გუნდისგან კარტ-ბლანში მიიღო, რომლის წარმატებით გამოყენებაც არ დააყოვნა. მისი აქამდე ნაჩვენები შედეგებით იმას დავასკვნით, რომ გარძელი სულ მალე ლეიტენანტობას ითაკილებს და უფრო მაღალ იდეალებზე ფიქრს შეუდგება. მას საამისო პოტენციალი აქვს და მე-13 ეტაპის შემდეგ ეს კასაგრანდემაც აღიარა. „გარძელი და სიმონი ჩემი გამარჯვების ახალი და ნომერ პირველი მტრები არიან" — მისი სიტყვებია, პანტანიზე კი არაფერი უთქვამს: „მეკობრეს" ან ცუდად აქვს საქმე, ანაც, „ტურ დე ფრანსისთვის" ჯანს უფრთხილდება. მე-13 ეტაპი მისთვის ადრინდელებზე სამარცხვინო გამოდგა, პანტანიმ რუბიერასთან 17 წუთი და 32 წამი წააგო; მეტისმეტია... გამარჯვებულს რაც შეეხება, იგი „ჯიროზე" გამარჯვების ხამი არ არის, სამი წლის წინათაც მოუგია ერთი ეტაპი.

ზემოთ ნახსენები სიმონი კი ის კაცია, ვინც „ჯიროს" მე-14 ეტაპი მოიგო და სახელად ჯილბერტო ჰქვია. ეტაპი ცუდ პირობებში წარიმართა. წვიმდა, ციოდა, მთებზე თოვლი იდო და ნისლის საბურველში გახვეული სპორტსმენები სლიპინა გზებზე ხრამებში გადაჩეხვას უფრთხოდნენ. ფინიშთან მისული ოთხი ველომრბოლიდან ერთი თვით კასაგრანდე იყო და სხვებიც იტალიელები გახლდნენ: სიმონი, ედი მაზოლენი და ვლადიმერ ბელი. სხვები ჩამორჩნენ, ვინ შვიდი, ვინ თერთმეტი წამით და მეტითაც. დასკვნითი სპრინტი სიმონიმ მოიგო, რამაც საერთო ჩათვლაში მეხუთედან მესამე ადგილზე გადაიყვანა. თუ ასევე დაამთავრებს, მინიმუმ პოდიუმზე შედგება, თუმცა სიმონის უფრო მასშტაბური აზრები აქვს, „ჯიროს" მოგებაზეც უარს არ ამბობს. მომდევნო ეტაპისა დიდად არ ეიმედება, რადგან იგი დოლომიტის მთების დატოვების შემდეგ შედარებით მოსწორებულ ადგილას უნდა მოეწყოს, მაგრამ მერე ველოექსპედიცია თავს ალპებში შერგავს და თქვენ მაშინ ნახეთ. „ხუთშაბათს პრატონევოზოს ეტაპზე ომი იქნება" — პირდაპირ განუცხადა მასმედიას სიმონიმ და ამას კასაგრანდემ მოჰკრა ყური, იქვე გვერდით იდგა. „მართალი ხარ, ხომ იცი!" — მიუგო ლიდერმა მდევარს ვაჟკაცურად და შემდეგ ბევრიც აქო. გავიას აღმართზე, თქვა კასაგრანდემ, როცა მე გამწარებული ვიბრძოდი ლიდერობის შესანარჩუნებლად, შევნიშნე, ყველა ჩემმა მეტოქემ ქოშინი ატეხა, სიმონის გარდაო. „თუმცა მის იერიშებსაც გავუმკლავდი — დაასრულა კასაგრანდემ — მაინც ვუფრთხი და ჩემს პირველ კონკურენტად აღვიქვამ. საერთოდ, გარძელიც მაგარია, აგერ მეორე ადგილზეცაა, მაგრამ ის უფრო დაღლილი ჩანს". ახლა სიმონი დაეთანხმა კოლეგას და თქვა, გარძელის წამალი მე ვიცი, მალე განახებთო. ჟურნალისტებთან მეტოქეთა ტკბილი საუბარი ამით მორჩა.

**დავით გულუა.**

| მე-12 ეტაპი. ბაბიონე — ფელტრე, 184 კმ |
| --- |
| 1. ენრიკო კასანი (იტალია, „პოლტი") — 4:05:18 |
| 2. დავიდე ბრამატი (იტალია, „მაპეი") — +1 |
| 3. დმიტრი კონიშჩევი (რუსეთი, „ფასა ბარტოლო") |
| 4. მირკო გუალდი (იტალია, „მობილვეტა") |
| 5. ედი ენგელსი (ჰოლანდია, „რაბობანკი") — ყველას იგივე დრო |

| მე-13 ეტაპი. ფელტრე — სელვა გარდენა, 186 კმ |
| --- |
| 1. ხოსე ლუის რუბეირა (ესპანეთი, „კელმე") — 5:16:45 |
| 2. გილბერტო სიმონი (იტალია, „ლამპრე") — იგივე დრო |
| 3. სტეფანო გარძელი (იტალია, „მერკატონე უნო") — +31 |
| 4. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, „ვინი კალდიროლა") — იგივე დრო |
| 5. ერმან ბუენგაჰორა (კოლუმბია, „სელე იტალია") — +35 |

| მე-14 ეტაპი. სელვა გარდენა — ბორმიო, 203 კმ |
| --- |
| 1. სიმონი — 5:38:09 |
| 2. ედი მაზოლენი (იტალია, „პოლტი") |
| 3. კასაგრანდე |
| 4. ვლადიმირ ბელი (იტალია, „ფასა ბარტოლო") — ყველას იგივე დრო; |
| 5. დარიო ფრიგო (იტალია, „ფასა ბარტოლო") — +7 |

| საერთო ჩათვლა |
| --- |
| 1. კასაგრანდე — 69:51:57 |
| 2. გარძელი — +33 |
| 3. სიმონი — +57 |
| 4. ბელი — +1:05 |
| 5. ფრიგო — +1:52 |

PLAY OFF

NHL

## ნახევარფინალი

# შეირყა: ლინდროსის ტვინი და ფილადელფია

### აღმოსავლეთი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 3:4**

26 მაისი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 1:2**

0:1 1:0 0:1

0:1 ელიაში 6'44 (6); 1:1 ტოკეტი 26'01 (5); 1:2 ელიაში 57'28 (7)

„სასწაული არცთუ იშვიათად ხდება. მთავარია რწმენა, მერე ყველაფერი გამოვა" — აღტაცებით საუბრობდა ნიუ ჯერსის ბედნიერი მწვრთნელი ლარი რობინსონი. მართალიც გახლდათ. მისი გუნდი ხომ ნჰლ-ის ისტორიაში პირველია, რომელმაც კონფერენციის ფინალში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ მეტოქის დამარცხება შეძლო.

გადამწყვეტი, მეშვიდე თამაში დაძაბული და უკომპრომისო გამოდგა. ორივე მხარეს შესწევდა ძალა, სასწორი თავის მხარეს გადაეხარა. პირველ წუთებში მასპინძლები აქტიურობდნენ. თავის გუნდში ერთ-ერთმა საუკეთესო ერიკ ლინდროსმა მეექვსე შეხვედრამდე განაცხადა, რომ ფორმას ძალიან სწრაფად იბრუნებს. მართლაც იგი ჯონ ლეკლერთან ერთად პირველ სამეულში მოგვევლინა და, „მფრინავთა" ლიდერებმა პირველივე ცვლაში შეუტიეს სახიფათოდ. თუმც ყინულზე მათი მესამე გამოსვლა უილბლო გამოდგა — ასევე პირველ ტრიოში მოთამაშე კეიტ ჯონსმა უადგილოდ იუხეშა და დაჯარიმდა. სტუმართა ლიდერებმა ეს შანსი უმალ გამოიყენეს. ჯეისონ არნოტის კარს უკნიდან მოწოდებული ზუსტი პასი პატრიკ ელიაშმა ასეთივე ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. რამდენიმე წუთში კი ოციათასიანი „ფერსტ იუნიონ სენტრი" შოკში ჩავარდა. მეტოქის ზონაში შეჭრილ ლინდროსს მოულოდნელად სკოტ სტივენსი დახვდა და ძალისმიერი ილეთით ყინულს დაანარცხა. როგორც გაირკვა, ერიკმა კიდევ ერთი, ბოლო სამ თვეში მესამე (!) ტვინის შერყევა მიიღო და ახლა მის კარიერას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

ამ ინციდენტმა ძალიან დააბნია „მფრინავები". ისინი პერიოდის ბოლომდე გონს ვერ მოვიდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ რიცხვმრავლობაში იყვნენ, შეტევაში ვერაფერი მოახერხეს. თუმც მეორე მესამედში თამაშს ისინი კარნახობდნენ და არამარტო გაათანაბრეს ანგარიში, პერიოდის მიწურულს ისე აფეთქდნენ, ლამის წინაც გავიდნენ, მაგრამ მარტინ ბროდომ რამდენჯერმე იხსნა თავისიანები. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ფილადელფიას მთლად გამოელია ძალა. მასპინძლები თითქმის აღარც ფიქრობდნენ შეტევაზე და ნიუ ჯერსიმ თანდათან იგდო ხელთ ინიციატივა. საბოლოოდ ეს ყველაფერი ფილადელფიელთათვის სავალალოდ დასრულდა — მეორედ გაიტანა. დარჩენილ დროში „მფრინავებმა" ვეღარაფერი იღონეს.

### დასავლეთი

**დალასი — კოლორადო 4:3**

27 მაისი

**დალასი — კოლორადო 3:2**

2:0 1:0 0:2

1:0 ზუბოვი 6'36 (2); 2:0 მოდანო 19'54 (9); 3:0 ლიაშენკო 25'31 (2); 3:1 ფორსბერგი 45'25 (7); 3:2 ჰეიდუკი 47'26 (5)

რეი ბურკმა დაარტყა, ადამ დედმარშმა ყვანჯი ოსტატურად დაუხვედრა, შაიბამ გაოგნებულ ედ ბელფორს ჩაუქროლა და ცარიელი კუთხისკენ გასრიალდა, მაგრამ ძელს მოხვდა. ერთი სანტიმეტრით მარცხნივ რომ წასულიყო, გუნდები ოვერტაიმს ველარ ასცდებოდნენ. გადამწყვეტი, მეშვიდე მატჩის ბოლო წამებზე შექმნილმა ამ მომენტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რაოდენ თანაბარძალოვანი და ღირსეული მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს. შარშანდელის დარად, მეშვიდე თამაშში „ევლანშმა" ფინალისკენ მიმავალი გზა თავის იღბლიან მეტოქეს დაუთმო. დალასი თავიდანვე უდიდეს უპირატესობას ფლობდა. მასპინძლებმა, როგორც კი რიცხვმრავლობაში დარჩნენ, მეტოქე ზონაში ჩაკეტეს და რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ სერგეი ზუბოვმა გახსნა ანგარიში. საერთოდ, სწორედ რიცხვმრავლობაში ასპარეზობა გახლდათ ამ სერიის კვანძი. ამ მხრივ დალასმა — როგორც კი მეტოქე კაცნაკლული რჩებოდა, ძალიან აგრესიულად და ეფექტურად უტევდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დალასელთა მეორე გოლი. პერიოდის დასრულებამდე 16 წამით ადრე, დეივ ანდრეიჩუკმა თავი ვერ შეიკავა და ეს დრო სავსებით ეყოთ მასპინძლებს, გაეთამაშებინათ ლამაზი კომბინაცია, რომელიც მაიკ მოდანომ დაასრულა — მართალია, მას დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ მოულოდნელი მიმართულებით წასული შაიბა პატრიკ რუას მხარმა აისხლიტა და კარში შეგორდა. მოკლედ, დალასმა თავისი სიმძლავრე, ფიზიკური ძალა სრულად გამოიყენა, აშკარად დაჯაბნა მოწინააღმდეგე და მიუხედავად იმისა, რომ რომან ლიაშენკოს გოლი (შაიბა რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ მისი ფეხიდან მოხვდა კარში), ისევე როგორც მოდანოს შაიბა, შემთხვევითი იყო, ანგარიში მაინც სრულად გამოხატავდა იმას, რაც ყინულზე ხდებოდა. ამის შემდეგ დალასმა დაახლოებით 5 წუთს კიდევ იაქტიურა და... საქმე მოთავებულად ჩათვალა.

ეს იყო და, კოლორადოელთა ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა უმცირესობაში (!) გაიტანა, ხოლო 49-ე წუთზე მისი სამეულის კიდევ ერთი შეტევის შემდეგ მინიმუმამდე შემცირდა სხვაობა. ბოლოს და ბოლოს ჰიჩკოკის შეგირდები. მაინც მოეგნენ გონს, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მეტოქეს აღარ მისცემოდა შესაძლებლობა, ანგარიში გაეთანაბრებინა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ფოტოსურათი

დალასელმა დეივ მენსონმა (№6) კოლორადოელი დეივ ანდრეიჩუკი კარს არ გაჰკარა

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. II ტური**

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ჩეხეთი 3:1 ჰოლანდია | იტალია 1:1 სლოვაკეთი |
| ესპანეთი 0:0 ხორვატია | ინგლისი 6:0 თურქეთი |





# რონალდო და რონალდი რიოში

შახლოეს სამ-ოთხ თვეს, ტრავმის გამო ფეხდალუქული რონალდო მშობლიურ ბრაზილიაში გაატარებს. მას, მის ცოლ მილენასა და ჩვილ რონალდ რონალდოს ძეს რიოს აეროპორტში დახვედრიან რონალდოს დედა სონია და და იონე, მილანიდან კი ლამის პელეს გამოუცილებია, რომელიც წინა კვირაში იტალიაში იმყოფებოდა და შინაც სწვევია რონალდოს, პატარა რონალდს შენს რამეებთან ერთად ჩემებიც დავანათლოო.



# ბოლოსწინა უემბლი



ინგლისი მაგარია! „უემბლიზე“ მისულ პატარა ბიჭებს ვერ შეედავები. გასულ შაბათს „უემბლიზე“ ბოლოსწინა გამოთხოვება შედგა, მასპინძლები ამხანაგურ თამაშში გაეჯიბრნენ ბრაზილიას. ზეგ, ამავე სტადიონზე ინგლისელები უკრაინელებს გაეთამაშებიან, მერე კი უემბლის ოვალურ ალაყაფს ბოქლომი დაედება სამუდამოდ. ბიჭუნები კი გაიხსენებენ, ჩვენ მაშინ ვიყავით სანამ დაანგრევდნენ, არა მამა? რა თქმა უნდა, აბა, დანგრეულ სტადიონზე ფეხბურთს არ თამაშობენ — ინგლისური სერიოზულობით მიუგებენ მამები.

# ჯიმი წაიქცა



ბევრი ჩვენგანი ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დაიარებოდა და თვლას სწავლობდა, როცა ჯიმ ლეიტონი შოტლანდიის ნაკრების კარში იდგა. მოქანცული იერის მეკარე კვლავ რჩება პროფესიონალ ფეხბურთელად — და კვლავაც „აბერდინის“ კარში დგას. თუმცა, შოტლანდიის თასის ფინალში უკვე მეხუთე წუთზე უმტყუნა ბედმა — ჯიმი შეჯახებისას დაშავდა. „აბერდინმა“ კი 0:4 წააგო „გლაზგო რეინჯერსთან“.

# მორის რიშარი აღარ არის

ლეგენდარული რაკეტა, ჰოკეის ერთ-ერთი ღვთაებათაგანი, სიცოცხლეშივე ძეგლებით და პატივით უკვდავყოფილი მორის რიშარი ამ კვირას გარდაიცვალა. ბოლო წლებში დიდ მოთამაშეს კიბომ დარია ხელი. მორის რიშარი პირველი იყო ჩრდილოამერიკულ ჰოკეიში, ვინც ორმოცდაათ შეხვედრაში ორმოცდაათი შაიბა გაიტანა. დღეს მის ძეგლთან მშობლიურ მონრეალში ისინი მიდიან, ვისაც სწამს, რომ რიშარი კანადისა და კვებეკის სიამაყე და სამაგალითო ადამიანი იყო.




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge